ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 080 (12 759) 7 აპრილი სამშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


## შუშაკი სომხეთის ნაკრებში ინიშნება

ჩვენს ძველ ნაცნობს ანიჭაურებენ



» 5

# შერმადინი სნაიპერია



» 12

## პანათინაიკოსის მწვრთნელი ობრადოვიჩი: გიორგიმ გაამართლა





## მანჩესტერში 2004 აღარ იქნება

წინათქმა » 6



# ნადი!

## ხალხი მარადონას წინააღმდეგ

» 10

## ერთი გასრიალებით ორი ლეგენდა და სხვა სიახლეებით...



» 11

ინტერვიუ ირაკლი ჭაფარიძესთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## საქართველოს XX ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
XXVI ტურის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტრიგის გაგრძელება

### უკომპრომისო... ლოგიკა

საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატმა ისე დაგვაჩვია სიურპრიზებს, უკვე ის გვიკვირს, კონკრეტულ ტურში მეტ-ნაკლებად ლოგიკური შედეგები რომ ფიქსირდება. აი, ახლაც, თითქმის ყველა მატჩი ისე დასრულდა, მოულოდნელობის ეფექტი რომ არ ყოფილა. თითქმისო, იმიტომ ვამბობთ, რომ ტურის ცენტრალურ დაპირისპირებაში („დინამო"-„ოლიმპი") ნებისმიერი შედეგი იყო მოსალოდნელი. თუმცა ამ წყვილშიც მცირე უპირატესობას მაინც მასპინძლებს ვანიჭებდით, თანაც, ერთდროულად, რამდენიმე ფაქტორის გამო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, წინა ორისაგან განსხვავებით, ლოგიკური ტური გამოდგა; შედეგიანობაც არ დაეწუნებოდათ ფეხბურთელებს — ხუთ შეხვედრაში თხუთმეტი გოლი გავიდა! მაგრამ, მთავარი მაინც უკომპრომისობა იყო — ჩემპიონატის განმავლობაში მესამე შემთხვევა ვნახეთ, როცა ხუთ მატჩში არც ერთი ფრე დაფიქსირდა! ასეთი რამ, პირველად მეექვსე ტურში მოხდა, მეორედ — მეთხუთმეტეში; თანაც, ბოლოს მსგავსად, მეთხუთმეტე ტურშიც იგივე გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, ანუ, უკომპრომისო მეტოქეებთან გვქონდა საქმე.

საინტერესო და დასამახსოვრებელი კიდევ ბევრი იყო ამ ტურში: მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი გამარჯვებები, სარეკორდო სერიის შეწყვეტა, ლეგიონერთა გოლები და... ინტრიგის გაგრძელებაც! ჰო, ჩემპიონობისათვის ბრძოლაშიც არაფერი შეცვლილა და მესამე ადგილის მფლობელის ვინაობასაც, ალბათ, ბოლო ტურამდე ვერ გავიგებთ; აღარაფერს ვამბობთ ცხრილის ბოლოში მყოფი გუნდების ერთადერთ მიზანზე — უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება რომ ჰქვია. თუმცა, ადრინდელის მსგავსად, კვლავ... ახმაურდნენ „ბოროტი ენები", რომელთა თქმითაც სეზონის ბოლოს ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს და გადაიხედოს. იმედი დავიტოვოთ, რომ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელობა ამ ორგანიზაციის დაარსების დღიდან აღებულ კურსს არ გადაუხვევს და კვლავაც მხოლოდ სპორტული პრინციპით იხელმძღვანელებს. ანუ, უფრო მარტივად და „გასაგებ ენაზე" რომ ვთქვათ, საქართველოს 2008-2009 წლების XX ეროვნული ჩემპიონატის რეგლამენტი არ დაირღვევა!..

### სტანდარტული გამარჯვება

13 სექტემბრიდან (ანუ, ჩემპიონატის დასაწყისიდან) დღემდე თითზე ჩამოსათვლელი შეხვედრები თუ ყოფილა, სტადიონზე მისულ გულშემატკივარს სიამოვნება რომ მიუღია. საინტერესოა, რომ „დინამოსა" და „ოლიმპის" სამივე მატჩი ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა! თუმცა, ყველაზე უცნაური ის იყო, რომ სამივე შეხვედრაში... სხვადასხვა მწვრთნელის დაპირისპირებას ვხედავდით! პირველ წრეში **რაინერ ცობელმა** აჯობა **ხვიჩა ქასრაშვილს**, მერე, რუსთავში უკვე **ვარლამ კილასონიამ** ყველაფერში დაჯაბნა გერმანელი კოლეგა. და აი, ახლა „დინამოს" მთავარი მწვრთნელის რანგში სადებიუტო მატჩს **კახა კაჭარავა** ატარებდა და პირველივე შეხვედრაში გაიმარჯვა! მასპინძელთათვის ამ მატჩის შედეგს უდიდესი მნიშვნელობა რომ ჰქონდა, ალბათ, ბევრი მტკიცება არ სჭირდება. შესაძლოა, გუნდმა ყველა თამაში ვერც მოიგოს, მაგრამ მარტში „დინამოს" თამაშში აშკარა კრიზისი რომ შეინიშნებოდა, ესეც ფაქტია. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ცობელის გათავისუფლება მთლად მოულოდნელი ამბავი არც უნდა ყოფილიყო: შედარებით სუსტ გუნდებთან ვერმოგების გარდა, „დინამო" ნამდვილად ვერ აჩვენებდა „საჩემპიონო" თამაშს. ახალ თავკაცს კი ერთობ სერიოზული გამოცდა ელოდა — მატჩს უდიდესი სატურნირო მნიშვნელობაც ჰქონდა და მეტოქის ფაქტორიც ცალკე თემა იყო. ჰო, რუსთავის „ოლიმპს" ხომ ჩემპიონატშიც და თასზეც მაღალი მიზნები აქვს და შთამბეჭდავად წაუგებელი სერიითაც „მოვიდა" ამ შეხვედრამდე. კახა კაჭარავას საკადრო პრობლემაც მრავლად ჰქონდა: **მილოშ კრშკო** და **მათე ვაწაძე** დღევანდელ „დინამოში" შეუცვლელ და წამყვან ფეხბურთელებად მიიჩნევიან; სხვადასხვა სახის დაზიანების გამო მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს **ოლეგ გველესიანმა** და **მარკო ჩარასმა**. მოკლედ, ჩემპიონატის ერთ-ერთ გამორჩეულ გუნდთან საპაექროდ, საკმაოდ ექსპერიმენტული შემადგენლობით მოასპარეზე „დინამო" ვიხილეთ. თუმცა იმავე **ლევან ხმალაძისა** და **გიორგი ნერგაძის** უნივერსალიზმზე ადრეც არაერთხელ გვითქვამს. სამაგიეროდ, სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ძირითადში 18 წლის **ვაჟა ნემსაძის** გამოჩენა — საქართველოს ნაკრების ექსკაპიტნის, **გიორგი ნემსაძის** ვაჟმა ენერგიული და აქტიური თამაშით დაგვამახსოვრა თავი; ამასთან, იმედი დავიტოვოთ, რომ ეს ნიჭიერი ბიჭი მომავალშიც ასეთივე მონდომებითა და ჟინით გააგრძელებს თამაშს. გაამართლა მწვრთნელის კიდევ ერთმა არჩევანმაც



დინამო-ოლიმპი 2:1

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

— თავდასხმაში ასევე ახალგაზრდა **დონალდ ჯუისი** რომ ამჯობინა მეორე ლეგიონერს **ილია სპასოევიჩს**. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ჯუისის ზუსტი თავური დარტყმა გამოდგა კიდეც გადამწყვეტი ამ შეხვედრაში — როცა **ალექსანდრე კოშკაძის** კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ზუსტად გადაგზავნა **მიხეილ ალავიძის** კარში. ჰო, კოშკაძე რომ არ ვახსენოთ, არ გამოვა — „დინამოს" მარცხენა ნახევარმცველმა მეორე ეტაპზე, უდავოდ, საუკეთესო მატჩი ჩაატარა! სხვათა შორის, მასპინძელთა პირველი გოლიც „სტანდარტული" მდგომარეობიდან გავიდა და ეს იმაზე მიუთითებდა, რომ „ოლიმპთან" შეხვედრამდე „დინამო" ვარჯიშებზე სერიოზულად ემზადებოდა ამ კომპონენტის დასახვეწად. აი, რაც შეეხება სტუმრებს, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატში გამოცხადებულმა სანაკრებო პაუზამ „ოლიმპზე" აშკარად უარყოფითად იმოქმედა. თანაც, რუსთაული კლუბი წინა ტურშიც ისვენებდა და ისე გამოვიდა, რომ „დინამოსთან" შეხვედრამდე „ოლიმპის" ფეხბურთელებს, ფაქტობრივად, სამკვირიანი უქმობა გამოუვიდათ. სხვათა შორის, „ოლიმპის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ანგარიშში ორბურთიანი ჩამორჩენის მიუხედავად, ბრძოლა არ შეუწყვეტია — ამას კი, დაგვეთანხმებით, ქართული გუნდებისგან მიჩვეული არა ვართ. სტუმართა შეტევები მაშინ უფრო მწვავე გახდა, როცა მოედანზე **გიორგი მეგრელაძე** გამოჩნდა — ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა არაერთი ხიფათი შეუქმნა „დინამოს", მაგრამ **დიდიე ოვონომ** ამ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. ამას გარდა, გაბონელი მეკარე არც ... „ცელქობას" ერიდებოდა და არც „ეშმაკურად" დროის გაყვანას; თუმცა, ერთ ეპიზოდში ისიც უძლური იყო, როცა... თანამემამულე **ერნესტ აკუასაგამ** აუღებელი დაურტყა. სამწუხაროდ, რუსთაველებს მეორე გოლის გასატანად დრო არ ეყოთ და ასე დასრულდა „ოლიმპის" 19-მატჩიანი წაუგებელი სერია...

### ყველა სიახლე

დანარჩენ მატჩებზე ბევრს არ ვისაუბრებთ და მხოლოდ გამორჩეულ მოვლენებსა თუ ფაქტებზე გავამახვილებთ ყურადღებას. რა თქმა უნდა, ერთპიროვნული ლიდერის გამარჯვებით უნდა დავიწყოთ: „დინამოს" მსგავსად, „ვიტ ჯორჯიამაც" შეძლო ზედიზედ ორი ფრის მერე გამარჯვების მოპოვება. აღსანიშნავია, რომ მატჩი საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა. თუმცა ორივე გუნდის ფეხბურთელებს კიდევ არაერთი მომენტი ჰქონდათ. **რამაზ მუმლაძის** საჩემპიონოდ „მომართულმა" გუნდმა დაცვაში რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და სტუმართა ახალგაზრდა შემტევებს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, „ვიტ ჯორჯიას", ცოტა არ იყოს, გაუჭირდებოდა კიდეც (ამასთან, **გრიგოლ ბედიაშვილმაც** ორ-სამ ეპიზოდში გადაარჩინა საკუთარი გუნდი).

ბოლნისის „სიონი" რომ „მესხეთს" უპრობლემოდ დაამარცხებდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ასეც მოხდა — უძლიერესი შემადგენლობით მოასპარეზე „სიონმა" (სათადარიგოთა სკამზეც ერთიმეორეზე ცნობილი და გამოცდილი ფეხბურთელები რომ ჰყავდა) **გიორგი ხიდეშელის** „დუბლით" აჯობეს „მესხეთს" (სხვათა შორის, ეს იყო ამ ტექნიკური ნახევარმცველის პირველი გოლები ახალ გუნდში). ამ ტურში კიდევ ერთმა ფეხბურთელმა გაიტანა ერთ მატჩში ორი გოლი — ბელარუსიდან საქართველოში დაბრუნებული **გიორგი ჭედია** უკვე მერამდენე ტურია შედეგიანად თამაშობს. ფაქტია, რომ ამ ახალგაზრდა ფორვარდმა **ბესიკ შეროზიას** ისედაც სოლიდური გუნდი საკმაოდ გააძლიერა და გამოცდილ **გია თოდუასთან** ერთად მეტოქეებს უამრავ თავსატეხს უჩენს.

ახლა კი ტურის კიდევ ერთ მატჩზეც, სადაც, ერთი შეხედვით, ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა: უფრო მეტად მოტივირებულმა „გაგრამ" შეძლო და ფაქტობრივად, განწირული და ბედის ამარა მიტოვებული „ბორჯომი" დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ ეს იყო „გაგრას" პირველი გამარჯვება... მეორე ეტაპზე; ამას გარდა, ჩემპიონატის დაწყებიდან პირველად მოხდა, რომ გუნდმა სტუმრად მოიგო; თანაც, ასევე პირველი წარმატება იყო ახალი მწვრთნელის, უკრაინელი **ვიქტორ კაშჩეის** ხელმძღვანელობით. სიახლეებზე ვსაუბრობთ და ისიც ვთქვათ, რომ ახალი გუნდის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა **ბაჩანა ცხადაძემ**, მეორე გოლი კი **ერეკლე ფილიას** ანგარიშზეა, ვინც „გაგრას" შემადგენლობაში საკმაოხნიანი პაუზის მერე გამოჩნდა. აი, მასპინძელთა შორის კი თავი კვლავაც ახალგაზრდა **ილია პავლიაშვილმა** გამოიჩინა — მატჩის თვითმხილველთა თქმით, ამ ნიჭიერმა ჭაბუკმა კვლავაც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა. დაბოლოს, მეოცე ჩემპიონატის აბსოლუტურ რეკორდზეც — „ბორჯომი" მოედანზე ახალმა თავკაცმა **ლერი გაჩეჩილაძემ** გაიყვანა, ვინც სეზონის დაწყებიდან ამ გუნდის... მეხუთე მწვრთნელია!

**გია ტუხაშვილი**




**XXVI ტური**

**4 აპრილი, შაბათი**

| | |
|---|---|
| მგლები-სპარტაკი | 2:1 |
| ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი | 3:1 |

**5 აპრილი, კვირა**

| | |
|---|---|
| დინამო-ოლიმპი | 2:1 |
| ბორჯომი-გაგრა | 1:2 |
| სიონი-მესხეთი | 2:0 |

*ზესტაფონი ისვენებდა*

**სულ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 24 | 15 | 8 | 1 | 40-13 | 53 |
| 2. დინამო | 24 | 16 | 4 | 4 | 50-18 | 52 |
| 3. ზესტაფონი | 23 | 13 | 4 | 6 | 29-15 | 43 |
| 4. ოლიმპი | 24 | 11 | 9 | 3 | 26-13 | 42 |
| 5. სიონი | 24 | 9 | 9 | 6 | 26-20 | 36 |
| 6. მგლები | 24 | 8 | 5 | 11 | 28-30 | 29 |
| 7. ლოკომოტივი | 23 | 8 | 5 | 10 | 25-24 | 29 |
| 8. მესხეთი | 24 | 5 | 8 | 11 | 15-31 | 23 |
| 9. გაგრა | 24 | 5 | 6 | 13 | 18-38 | 21 |
| 10. სპარტაკი | 23 | 3 | 6 | 14 | 21-39 | 15 |
| 11. ბორჯომი | 24 | 2 | 6 | 16 | 18-55 | 12 |

**შინ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 12 | 10 | 2 | 0 | 34-10 | 32 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 12 | 7 | 4 | 1 | 21-8 | 25 |
| 3. ზესტაფონი | 11 | 8 | 0 | 3 | 18-6 | 24 |
| 4. ოლიმპი | 11 | 6 | 5 | 0 | 13-2 | 23 |
| 5. მგლები | 13 | 7 | 1 | 5 | 19-10 | 22 |
| 6. ლოკომოტივი | 12 | 5 | 2 | 5 | 12-8 | 17 |
| 7. სიონი | 12 | 4 | 5 | 3 | 14-10 | 17 |
| 8. გაგრა | 12 | 4 | 4 | 4 | 13-15 | 16 |
| 9. მესხეთი | 11 | 3 | 4 | 4 | 10-11 | 13 |
| 10. სპარტაკი | 11 | 1 | 4 | 6 | 10-18 | 7 |
| 11. ბორჯომი | 13 | 1 | 4 | 8 | 10-24 | 7 |

**სტუმრად**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიტ ჯორჯია | 12 | 8 | 4 | 0 | 19-5 | 28 |
| 2. დინამო | 12 | 6 | 2 | 4 | 16-8 | 20 |
| 3. ოლიმპი | 12 | 5 | 4 | 3 | 13-11 | 19 |
| 4. სიონი | 12 | 5 | 4 | 3 | 12-10 | 19 |
| 5. ზესტაფონი | 12 | 5 | 4 | 3 | 11-9 | 19 |
| 6. ლოკომოტივი | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| 7. მესხეთი | 13 | 2 | 4 | 7 | 5-20 | 10 |
| 8. სპარტაკი | 12 | 2 | 2 | 8 | 11-21 | 8 |
| 9. მგლები | 11 | 1 | 4 | 6 | 9-20 | 7 |
| 10. ბორჯომი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-31 | 5 |
| 11. გაგრა | 12 | 1 | 2 | 9 | 5-23 | 5 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 13 |
| მერებაშვილი (დინამო) | 13 |
| ვაწაძე (დინამო) | 10 |
| თოდუა (მგლები) | 10 |

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ზესტაფონი

# დინამომდე მერანი

**ზესტაფონი-მერანი 6:1**

1:0 იონანიძე (21-პენ), 2:0 ნ. კვასხვაძე (30), 2:1 კაპანაძე (43), 3:1 გ. ნუგ. ჭელიძე (51), 4:1 ლ. მელქაძე (68), 5:1 ლ. მელქაძე (78), 6:1 ჭანკოტაძე (80)

ზესტაფონი: მამალაძე (55. რ. კვასხვაძე), ლობჟანიძე, კაჭკაჭიშვილი (57. კვესიეშვილი), გორგიაშვილი, მაკარიანი, დაუშვილი, გრიგალაშვილი (46. ჭანკოტაძე), გ. ნუგ. ჭელიძე (57. კაკალაძე), ნ. კვასხვაძე (44. ზენაშვილი/63. გ. ნუგ. ჭელიძე*), იონანიძე (46. გელაშვილი), ლ. მელქაძე.

ამ უქმეებზე ჩატარებულ ტურში „ზესტაფონი" ისვენებდა და სანაკრებო პაუზაც რომ დავუმატოთ, ხანგრძლივად დასვენება გამოუვიდა. ამიტომაც დაიგეგმა ამხანაგური მატჩი - ზესტაფონელები „დინამოსთან" პრინციპულ მატჩს (10 აპრილი) მომზადებულები უნდა შეხვდნენ. **გია გეგუჩაძის** გუნდი ჯერ საჩხერეს ეწვია, პირველი ლიგის ლიდერ „ჩიხურას", ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით დაუპირისპირდა და 1:0 წააგო.

მეორე საკონტროლო მატჩი „ზესტაფონმა" პირველი ლიგის დასავლეთი ზონის ერთ-ერთ ლიდერ მარტვილის „მერანთან" საკუთარ მოედანზე გამართა. მასპინძლებმა მეტოქე დიდი ანგარიშით, 6:1 დაამარცხეს. „ზესტაფონის" პრესსამსახურის ცნობით, ანგარიში პენალტით გაიხსნა. იმერელთა უბერებელმა მეგოლე **ზურაბ იონანიძემ** მის მიერვე მოპოვებული 11-მეტრიანი აქცია გოლად. 9 წუთში **ნიკა კვასხვაძემ** ანგარიში ორამდე გაზარდა. ტაიმის მიწურულს მარტვილელებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს და თითქოს, მეორე ნახევარში რაღაც შანსი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ... განახლდა თუ არა თამაში, **გიორგი ჭელიძემ** ორბურთიანი სხვაობა აღადგინა, რასაც **ლევან მელქაძის** დუბლი და **გიორგი ჭანკოტაძის** ბოლო აკორდი მოჰყვა.

**დავით ცაბაძე**

შენიშვნა: * - დაბრუნდა მოედანზე



ნაკრებმა, რომელმაც წლეულს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უნდა ჩაებას, 31 მარტსა და 4 აპრილს პირველი საერთაშორისო მატჩები გამართა. ამაზე მწირ ამბებს გაწვდიდით, ახლა კი თავად გუნდის დამრიგებელ **გიორგი დევდარიანისგან** შეიტყობთ უფრო ტევად ინფორმაციას.

მოკლედ, 31 მარტს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ამსტერდამის „აიაქსის" 18-წლამდელებს შეხვდა და 0:2 დამარცხდა. ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: **ლეგაშვილი, ტვილდიანი (ხარაბაძე), პარუნაშვილი, დოლიძე, რეხვიაშვილი, ხუბუა, მამფორია (კვარაცხელია), ქავთარაძე, ხარლამოვი, ხოჭოლავა, სამუშია (ყაზაიშვილი).**

*„როგორც ჩანს, მგზავრობისა და აკლიმატიზაციის ბრალი იყო, რომ „აიაქსთან" თამაშის წინა დღეს ჩვენს ხუთ ფეხბურთელს ტემპერატურამ აუწია, თანაც ერთი წლით უფროსებთან გვიწევდა თამაში. 90-ე წუთამდე „აიაქსის" ჩვენს კარში თამაშიდან ერთხელაც არ დაურტყამს, პირველი გოლი კი 11-მეტრიანით გაგვიტანეს. კუთხური ჩააწოდეს და ბურთი ჰაერში რომ იყო, მსაჯმა მაშინ*

U 17

# მოუმატეთ სისწრაფეს!

## დევდარიანი ჰოლანდიური ტურნეთი კმაყოფილია

*ჩასტვინა. გაუგებარი დარჩა, რისთვის დანიშნა მსაჯმა პენალტი. მატჩს შოთა არველაძეც დაესწრო და ისიც გაოგნებული იყო, მივიდა არბიტრთან და უთხრა - ფეხბურთში ასეთი რამ არ ხდებაო. ერთი სიტყვით, „აიაქსმა" თამაშით ნამდვილად ვერ გვაჯობა, ჩამოვიტანე ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი და იქ ეს ყველაფერი კარგად ჩანს. ერთადერთი, რაშიც უპირატესობა ჰქონდა „აიაქსს", ფეხბურთელები წონა და სიმაღლე იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ აიაქსელებს ჩვენებზე მეტი ძალა აქვთ, მაგრამ ჩვენ მათ დავუპირისპირეთ გუნდური თამაში, მოედნის იმ მონაკვეთზე, სადაც ბურთი ტრიალებდა, რიცხობრივ უპირატესობას ვქმნიდით. ერთი-ერთზე ჩვენებს მეტოქესთან, ფაქტობრივად, შანსი არ ჰქონდათ, რადგან პოზიციის შერჩევისას უფრო მაღალ და უფრო მეტი წონის მქონე ფეხბურთელს ვერ ვაჯობებდით. თუ შენზე ჯანიანი მეტოქე გწვდება და გეხება, მასთან მარცხდები. მაგრამ აიაქსელებმა ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს. სხვათა შორის, გუნდურ სისწრაფესა და მოძრაობაში მოწინააღმდეგისთვის ტოლი არ დაგვიდია"*, - გვითხრა დევდარიანმა, რომელსაც იქვე ვკითხეთ, თუ როგორ აპირებს ხარვეზების გამოსწორებას.

*„ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ რევაზ არველაძეს ვესაუბრე და მივიღე დაპირება, რომ თუ ადრე ოთხკვირიანი შეკრება გვქონდა, ახლა შეკრება ექვსკვირიანი გვექნება, სათანადო კვებითა და ვიტამინებით"*, - დაიმედებულია 17-წლამდელთა დამრიგებელი.

მომდევნო მატჩი 4 აპრილს ესენის (გერმანია) „როტ ვაისთან" იყო დაგეგმილი, მაგრამ ბოლო მომენტში განრიგი შეიცვალა და ქართველი ჭაბუკები ამსტერდამის ერთ-ერთ სამოყვარულო გუნდს დაუპირისპირდნენ. დევდარიანმა ასეთი შემადგენლობა დააყენა: **ბრაჭული, ზარნაძე, დრიაევი, დოლიძე, ტვილდიანი, პარუნაშვილი, ხუბუა (ხარაბაძე), რეხვიაშვილი, ყაზიაშვილი, ხარლამოვი, ხოჭოლავა.**

*„მეორე შეხვედრაში მეტოქეს ყველაფერში ვაჯობეთ და გავიმარჯვეთ, გოლი ყაზიაშვილმა გაიტანა. პირველ ორ დღეს „აიაქსის" ბაზაზე ვვარჯიშობდით, მერე სხვა სტადიონზე გადავედით. საერთო ჯამში, ჰოლანდიური ტურნეთი კმაყოფილი დავრჩი. გამოჩნდა, რომ ყველასთან შეგვიძლია კარგად თამაში, ისიც კარგად დავინახეთ, რომ კვებისა და ვიტამინიზაციის მხრივ საქმე უნდა გამოვასწოროთ. დავესწარი ლუის ვან გაალის ვარჯიშსაც. ვარჯიშზე ბურთი ისე სწრაფად დაქროდა, ისეთი ძალით კეთდებოდა გადაცემები, რომ საქართველოს ჩემპიონატში ასეთი ძალით მხოლოდ კარში თუ ურტყამენ. აი, ასეთ სისწრაფეს უნდა მივაღწიოთ ჩვენთანაც და ვისაც პრეტენზია აქვს ნაკრებში თამაშზე, ამ კომპონენტს დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს"*, - დევდარიანის ამ შეგონებას ალბათ გაითვალისწინებენ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშენი, მაგრამ არის კი ჩვენთან ისეთი მოედნები, რომ ფეხბურთელებმა, თამაშის დროს იქნება, თუ ვარჯიშზე, ევროპული სისწრაფით გააგორონ ბურთი?

*„უცხოეთში ჩვენი მომდევნო გასვლა მაისის ბოლოს იქნება. იტალიაში მივდივართ საერთაშორისო ტურნირზე, ჯგუფში სამი თამაში გველის და თუ ჯგუფიდან გავალთ, კიდევ ორ შეხვედრას გავმართავთ. 14 ივნისიდან 15 აგვისტომდე კი 8-კვირიანი მოსამზადებელი პერიოდი გვექნება, აქედან 6 კვირას შეკრებაზე გავატარებთ. ივლისის ბოლოს ესტონეთის 17-წლამდელთა ნაკრები გვესტუმრება, რომელთანაც ორ ამხანაგურ მატჩს გავმართავთ. 17 აგვისტოს პალანგის საერთაშორისო ტურნირზე წავალთ. შესარჩევი ეტაპი კი ოქტომბრის ბოლოს გაიმართება შოტლანდიაში, სადაც მასპინძელთა გარდა, ჩვენი მეტოქეები კვიპროსი და პორტუგალია იქნებიან. მანამდე კი, სექტემბერში, ორ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ვგეგმავთ. ფედერაცია ყველანაირ მხარდაჭერას გვპირდება და იმედია, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართება"*, - მოკლედ, დევდარიანი და მისი ყმაწვილები საქმეს უკვე შეუდგნენ და ვინძლო, წარმატებასაც მიაღწიონ შესარჩევ ეტაპზე, საიდანაც ელიტრაუნდში 2 გუნდი გადის. წესით, ეს კრებული კარგად შეთამაშებულიც უნდა იყოს, რადგან ჭაბუკთა ლიგაში თამაშობს ნაკრების სახელით, თუმცა ყველა გუნდი როდი უშვებს ფეხბურთელს ამ ნაკრებში. დევდარიანმა ისიც გვითხრა, რომ ბირთვი მაინც შენარჩუნებულია, ნაკრების 8-9 ფეხბურთელი სისტემატურად თამაშობს ერთად.

**დავით თავართქილაძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

### პირველი ლიგა

#### აღმოსავლეთი ზონა

გადატანილი მატჩი

**კახეთი-ნ. დინამო 1:0**

1:0 კევლიშვილი (32).

კახეთი: კობრიაშვილი, ხამხაძე, მურველაშვილი, ტარუღაშვილი, ლ. აბდულაევი (28. ნინიკელაშვილი), კევლიშვილი, იმერლიშვილი, კობაიძე, ტეტიაშვილი, ბიძინაშვილი (74. გენგაშვილი), ძამუკაშვილი.

*სათადარიგოები:* ხუციშვილი, ხუროშვილი, ბორჩაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

ნ. დინამო: გაბრიჩიძე, ტოსტიაშვილი, ჯორჯიკია (58. მამარდაშვილი), ბოკუჩავა (72. ჩუთლაშვილი), მიქელაძე, ლაპარტყავა (77. მათნაძე), ხიზანეიშვილი, აფხაზავა, გურაბანიძე, ღვთისავრიშვილი, ქავთარაძე

*სათადარიგოები:* ედიშერაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

*გაფრთხილება:* ღვთისავრიშვილი

*არბიტრი:* გ. ვადაჭკორია (თბილისი)

#### XXIV ტური

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია 2-ნ/დინამო | 4:0 |
| თბილისი-ამერი | 0:1 |
| გაგრა 2-სიონი 2 | 0:2 |
| კახეთი-დილა | 1:1 |
| დინამო 2-ჩიხურა | 0:0 |

#### დასავლეთი ზონა

| | |
|---|---|
| ზესტაფონი 2-ხობი | 2:0 |
| ბაია-სამტრედია | 1:2 |
| ჭიათურა-გურია | 2:1 |
| კოლხეთი-მეშახტე | 1:1 |
| ტორპედო-ბათუმი | 0:1 |

### მეორე ლიგა

#### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| არაგველები-სამგორი | 0:3 |
| 35-ე სკოლა-ნ/დინამო | 3:0 |

*სადისციპლინო კომისიამ იმსჯელა XXII ტურის მატჩებში მომხდარ დარღვევებზე და ორ შეხვედრაში ტექნიკური შედეგები დააფიქსირა.*

*შესაბამისი ცვლილებები სატურნირო ცხრილში გათვალისწინებულია.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი 2 | 22 | 15 | 3 | 4 | 53-25 | 48 |
| 2. ამერი 2 | 22 | 14 | 3 | 5 | 43-16 | 45 |
| 3. სპარტაკი 2 | 22 | 13 | 5 | 4 | 55-24 | 44 |
| 4. დუშეთი | 22 | 13 | 3 | 6 | 42-25 | 42 |
| 5. I.B.S.U. | 22 | 13 | 1 | 8 | 48-35 | 40 |
| 6. 35 ს.ს. | 22 | 12 | 4 | 6 | 45-34 | 40 |
| 7. გარეჯი | 22 | 12 | 3 | 7 | 36-23 | 39 |
| 8. ლიახვი | 22 | 11 | 4 | 7 | 43-33 | 37 |
| 9. სამგორი | 22 | 8 | 6 | 8 | 42-35 | 30 |
| 10. ვერეთი 2 | 22 | 9 | 2 | 11 | 40-35 | 29 |
| 11. იმედი | 22 | 7 | 6 | 9 | 29-35 | 27 |
| 12. არაგველები | 21 | 7 | 5 | 9 | 25-29 | 26 |
| 13. ალგეთი | 22 | 7 | 4 | 11 | 29-45 | 25 |
| 14. ერთობა | 22 | 7 | 2 | 13 | 27-53 | 23 |
| 15. ბორჯომი 2* | 22 | 7 | 1 | 14 | 23-49 | 22 |
| 16. ალაზანი | 22 | 5 | 3 | 14 | 15-38 | 18 |
| 17. ზოოვეტი | 22 | 4 | 4 | 14 | 24-48 | 16 |
| 18. ნ. დინამო 2 | 22 | 3 | 3 | 16 | 17-51 | 12 |

* ბორჯომი 2 მოხსნილია გათამაშებიდან

### ჭაბუკთა ლიგა

#### 1991-92 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| სიონი-ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| ლოკომოტივი-ოლიმპი | 0:3 |
| სპარტაკი-ზესტაფონი | 1:1 |
| გაგრა-მესხეთი | 9:0 |
| მგლები-დინამო | 2:3 |
| U16 ნაკრები-ბორჯომი | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 17 | 2 | 2 | 65-16 | 53 |
| 2. გაგრა | 20 | 15 | 4 | 4 | 67-31 | 46 |
| 3. მგლები | 20 | 12 | 2 | 6 | 46-33 | 38 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 21 | 12 | 2 | 7 | 30-18 | 38 |
| 5. ნაკრები U16 | 19 | 11 | 1 | 7 | 56-27 | 34 |
| 6. ზესტაფონი | 20 | 10 | 3 | 7 | 43-24 | 33 |
| 7. სპარტაკი | 21 | 9 | 5 | 7 | 38-26 | 32 |
| 8. ლოკომოტივი | 21 | 8 | 1 | 12 | 33-50 | 25 |
| 9. ბორჯომი | 19 | 6 | 3 | 10 | 27-44 | 21 |
| 10. ოლიმპი | 20 | 5 | 3 | 12 | 45-54 | 18 |
| 11. სიონი | 21 | 4 | 1 | 16 | 22-59 | 13 |
| 12. მესხეთი | 21 | 0 | 2 | 19 | 12-102 | 2 |

#### 1993-94 წ.წ. XXI ტური

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 2:0 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:1 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:0 |
| მესხეთი-გაგრა | 0:4 |
| დინამო-მგლები | 1:0 |
| ამერი-ბორჯომი | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 19 | 1 | 1 | 80-7 | 58 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 21 | 14 | 5 | 2 | 44-17 | 47 |
| 3. ამერი | 21 | 130 | 3 | 5 | 49-28 | 42 |
| 4. ზესტაფონი | 21 | 11 | 4 | 6 | 35-25 | 37 |
| 5. ლოკომოტივი | 21 | 10 | 3 | 8 | 36-18 | 33 |
| 6. მგლები | 21 | 9 | 5 | 7 | 45-26 | 32 |
| 7. სპარტაკი | 21 | 7 | 4 | 10 | 21-29 | 25 |
| 8. გაგრა | 21 | 6 | 7 | 8 | 28-28 | 25 |
| 9. ოლიმპი | 21 | 5 | 6 | 10 | 26-37 | 21 |
| 10. ბორჯომი | 21 | 4 | 7 | 10 | 17-42 | 19 |
| 11. სიონი | 21 | 2 | 2 | 17 | 10-57 | 8 |
| 12. მესხეთი | 21 | 1 | 3 | 17 | 9-89 | 6 |

#### 1995-96 წწ. XXI ტური

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია-სიონი | 5:1 |
| ოლიმპი-ლოკომოტივი | 0:1 |
| ზესტაფონი-სპარტაკი | 2:2 |
| მესხეთი-გაგრა | 0:1 |
| დინამო-მგლები | 1:0 |
| ამერი-ბორჯომი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტივი | 21 | 17 | 2 | 2 | 54-9 | 53 |
| 2. გაგრა | 21 | 14 | 3 | 4 | 41-9 | 45 |
| 3. დინამო | 21 | 40 | 7 | 4 | 20-18 | 37 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 3 | 7 | 34-25 | 36 |
| 5. ოლიმპი | 21 | 11 | 3 | 7 | 32-25 | 36 |
| 6. ზესტაფონი | 21 | 10 | 6 | 5 | 38-27 | 36 |
| 7. მგლები | 21 | 9 | 4 | 8 | 29-21 | 31 |
| 8. ბორჯომი | 21 | 9 | 1 | 11 | 23-21 | 28 |
| 9. ამერი | 21 | 6 | 5 | 10 | 19-28 | 23 |
| 10. სიონი | 21 | 4 | 3 | 14 | 19-45 | 15 |
| 11. სპარტაკი | 21 | 2 | 6 | 13 | 14-42 | 12 |
| 12. მესხეთი | 21 | 0 | 3 | 18 | 4-57 | 3 |

აქცია



# გადავარჩინოთ ქართული ფეხბურთი!

## 8 აპრილს ფედერაციასთან სტუდენტები იკრიბებიან

**„ლელოს" ფეხბურთის გულშემატკივართა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი სანდრო ხასია დაუკავშირდა და ასეთი რამ ამცნო:**

- 8 აპრილს, 13 საათზე, ჯგუფის წევრები და ჩვენი მხარდამჭერები ფეხბურთის ფედერაციის მიმდებარე ტერიტორიაზე შევიკრიბებით და საპროტესტო აქციას ჩავატარებთ. ყველა გულშემატკივარს, ვისთვისაც სულერთი არ არის ქართული ფეხბურთის მძიმე მდგომარეობა და გაჭირვება, მოვუწოდებთ, შემოგვიერთდეს და ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთის ფედერაციას დავანახვოთ, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დახურული. ჩვენ გვიყვარს ქართული ფეხბურთი და მისი აბუჩად აგდების უფლებას არავის მივცემთ. ფეხბურთის ფედერაციამ კატასტროფამდე მიიყვანა ქართული ფეხბურთი, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს. მთელი ქვეყნის მასშტაბით, თბილისსა და რეგიონებში, ყველაფერი გაპარტახდა, ინფრასტრუქტურა დანგრეულია, ქონება განიავებულია... ამაზრზენია ეროვნული ჩემპიონატი, უმძიმესი მდგომარეობაა ბავშვთა ფეხბურთში, სისტემა მოშლილია და ბუნებრივია, ფეხბურთის დონე კატასტროფულად დაეცა. ნაკრები გუნდებისა და ევროთასებზე მოასპარეზე კლუბების სტაბილური წარუმატებლობები დონის დაცემაზე ნათლად მიუთითებს. ამის შედეგია მთელ მსოფლიოში ქართული ფეხბურთის სახელის შერცხვენა, ქართველი ფეხბურთელის აყვანა, მისი სახელის გაგონებაც კი აღარავის სურს. ამას ემატება ფეხბურთის ფედერაციის კარჩაკეტილობა, ფინანსური საკითხების გასაიდუმლოება. ქართული ფეხბურთის საფუძვლები არ არსებობს და გაუმართლებელი თანხები იხარჯება უცხოელ მწვრთნელთა ჩამოყვანაზე. ეს თანხა კი ბიუჯეტიდან არის გაცემული. მილიონობით ლარი ქარს გაატანეს და, რაც მთავარია, ამ მილიონების არამიზნობრივ ხარჯვაზე სერიოზული ეჭვები გაჩნდა.

**- აქციას რა მოთხოვნით მართავთ?**

- ქართული ფეხბურთის დაქცევას კიდევ უფრო შეუწყო ხელი უსამართლო საპრეზიდენტო არჩევნებმა. ფედერაცია არაპროფესიონალებით დაკომპლექტდა და შედეგიც ლოგიკურია. ფეხბურთის გულშემატკივრები ნაკრებ გუნდებსა და კლუბებს ყოველთვის მხარს ვუჭერდით, თუნდაც, ყველაზე მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ დღევანდელი სიტუაციის ატანა აღარ შეიძლება. ჩვენ არ გვჯერა ფედერაციის ხელმძღვანელების და მათ უნდობლობას ვუცხადებთ. ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ თავისუფალ არჩევნებს, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს - ყოველგვარი პოლიტიკური ზეწოლის გარეშე.

**- თქვენ რა ჯგუფს წარმოადგენთ?**

- ინიციატორები ვართ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები და სტუდენტური ორგანიზაციები. ჩვენ გვერდით არიან „ჩვენი ფეხბურთი" და სპორტის აკადემიის აღდგენის მომხრეები. ბუნებრივია, გულშემატკივრებიც გვერდში დაგვიდგებიან. მიმართვა უკვე შევაგზავნეთ „საკანი N 5-ში", ვავრცელებთ ტოტალიზატორებში, ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია. აქციისთვის უკვე ერთი კვირაა ვემზადებით და დაახლოებით, ათას გულშემატკივარს მაინც ველოდებით. აქციის სტადიონზევე გამართვის სურვილი ჯერ კიდევ კვიპროსთან თბილისური შეხვედრის დროს დაგვებადა. თუმცა ანგარიში რომ გავათანაბრეთ, ხალხი ისეთი გახარებული დარჩა, გეგონებოდათ, ბრაზილიას მოვუგეთ. სამწუხაროდ, ერთ დროს ამბიციურ ქართველ გულშემატკივარს უკვე კვიპროსთან საშინაო ფრეც ახარებს. მეტი რა არის კატასტროფა?!

**- რა შედეგს ელით აქციისგან?**

- ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას ვითხოვთ. მერე ვინც უნდათ, ის აირჩიონ, ოღონდ სახელმწიფო ნუ ჩაერევა.

**- დამეთანხმებით, თქვენ უკან ამა თუ იმ დაინტერესებული ორგანიზაციის კვალს დაუწყებენ ძებნას...**

- დაინახონ თუნდაც ბომბეიდან ლონდონამდე გვირაბის კვალი! ერთი კაცი მაინც თუ მოიძებნება, ამ სამარცხვინო მდგომარეობას რომ გაამართლებს? ჩვენ უკან დგანან გულშემატკივრები და არა ჯგუფები თუ კლანები. ჩვენ ვართ ძალა და უნდა მიხვდნენ, რომ ქართული ფეხბურთის დაქცევას არავის შევარჩენთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ბუბა დაუშვილი

# ჩავარდნას გამოცდილი ფეხბურთელები არ უნდა გადავაყოლოთ

## სამ-ოთხ თვეში ბევრად უკეთ ვითამაშებთო...



საქართველოს ეროვნული გუნდის ბოლო წარუმატებელი მატჩების შემდეგ ხშირად გვესმის კრიტიკა ექტორ კუპერისა და ფეხბურთელების მისამართით. ბევრი ამბობს, ნაკრების სტაჟიანი მოთამაშეების ნაცვლად ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები ვათამაშოთ, გულიანად მაინც გაირჯებიანო. საინტერესოა, რას ფიქრობენ ამაზე თავად ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, ისინი, რომელთაც ეროვნულ ნაკრებში უკვე ჰქონდათ დებიუტი და ეს გუნდი მათთვის უკვე აღარ არის უცხო. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ „ზესტაფონის" ნახევარმცველი ბუბა დაუშვილი შევარჩიეთ. 19 წლის დაუშვილს, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში შარშან ნოემბერში, რუმინეთთან ამხანაგურ მატჩში ჰქონდა დებიუტი, კვიპროსის ახალგაზრდულ ნაკრებთან თამაშის შემდეგ ექტორ კუპერმა ეროვნულ გუნდში უხმო...

**- საუბარი კვიპროსული მატჩით დავიწყოთ. ახალგაზრდულ ნაკრებში ადრეც გითამაშია, მაგრამ ამჯერად სიტუაცია სპეციფიკური იყო იმ მხრივ, რომ კახა ცხადაძესა და მის გუნდს ლარნაკაში დებიუტი ჰქონდათ...**

- მართალი ხართ, 21-წლამდელთა ნაკრების ამ შემადგენლობისთვის ეს პირველი მატჩი იყო. მწვრთნელიანფეხბურთელებიანად ყველას ძალიან გვინდოდა, წარმატებული დებიუტი გამოსულიყო და საამისოდ მაქსიმალურად ვიყავით კიდეც მობილიზებულნი. მართალია, არბიტრმა მასპინძლებს პენალტი აჩუქა, მაგრამ მაინც შეგვეძლო მოგება. არა ერთი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში... სხვათა შორის, მეც მქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ ორივეჯერ მეკარემ იმარჯვა.

**- მაინც რა დაგავალათ ცხადაძემ და რამდენად კმაყოფილი ხარ თქვენი თამაშით?**

- ცენტრალური ნახევარმცველი ვიყავი, მეტოქის იერიშების ჩაშლა და ჩვენი შეტევების სწრაფად ორგანიზება მევალებოდა. ვფიქრობ, ურიგოდ არ მითამაშია. ვინც ის მატჩი ნახა, ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ახალგაზრდულ ნაკრებს საკმაო პოტენციალი აქვს, უფრო უკეთ შეგვიძლია თამაში, კიდევ უფრო მეტად შევთამაშდებით და კარგი გუნდი გვეყოლება. დარწმუნებული ვარ, სექტემბერში შესარჩევ ციკლს რიხით დავიწყებთ და ასევე გავაგრძელებთ.

**- ამ თამაშის შემდეგ ექტორ კუპერმა ეროვნულ ნაკრებში გიხმოთ...**

- ...კლიმიაშვილთან, გიგაურთან და სანაიასთან ერთად. კვიპროსიდან რომ ჩამოვფრინდით, ეს ამბავი მაშინ გავიგე, თბილისის აეროპორტში. მართალი გითხრათ, თავიდან მეგონა, ეროვნულ გუნდში მხოლოდ ვივარჯიშებდი და მერე რუსთავში, ბელარუსების წინააღმდეგ ახალგაზრდულ ნაკრებში მომიწევდა თამაში. თუმცა მეორე დღეს მოსამზადებელ შეკრებაზე რომ გამოვცხადდი, უკვე მივხვდი, რომ კუპერის გუნდში ვიყავი. ჩერნოგორიასთან მატჩის განაცხადშიც შემიყვანეს, მაგრამ მოედანზე არ გავსულვარ.

**- როგორ ფიქრობთ, რითი მოაწონეთ კუპერს თავი?**

- კუპერი ჩვენს თამაშს დაესწრო და, ალბათ, დაინახა რაღაც. საკუთარ თავზე საუბარი არ მჩვევია და მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, მაშინ მე გეტყვი. მოედნის ცენტრში ბევრი იმუშავე, გონივრულ და გამოზომილ პასებს აკეთებდი და გადაწყვეტილებებსაც სწრაფად ღებულობდი. საჭირო ვითარებაში კარში შორიდან ძლიერ დარტყმებზეც არ გითქვამთ უარი. ასეა?**

- ალბათ ასეა. საკუთარ თავზე ბევრი საუბარი არ მიყვარს.

**- ეროვნულ გუნდში დებიუტი შარშან რუმინეთში გქონდათ. ბუქარესტის მატჩს როგორ იხსენებთ?**

- საკუთარი შესაძლებლობები სრულად ვერ წარმოვაჩინე. დებიუტი მქონდა და ბუნებრივია, ვნერვიულობდი, მინდოდა, ძალიან კარგად თუ არა, ნორმალურად მაინც მეთამაშა...

**- ეროვნული ნაკრების მატჩებს როგორ შეაფასებდით?**

- კვიპროსთან ჩვენმა ეროვნულმა გუნდმა ცუდად ითამაშა. მართალია, ჩერნოგორიასთან უკეთესი ფეხბურთი ვითამაშეთ, მაგრამ ვერც ეს მატჩი მოვიგეთ. რა ვუყოთ, ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე. არის მომენტები, როცა გუნდს მძიმე პერიოდი უდგას და ამ დროს განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია გულშემატკივრის თანადგომა.

**- კი, მაგრამ შედეგი ერთია და თამაშის ხარისხი კიდევ მეორე. შეიძლება, წააგო, მაგრამ ხალხმა ტაში დაგიკრას...**

- ვერ ვიტყოდი, რომ ვინმეს მონდომება აკლდა. უბრალოდ, ეტყობა გუნდს ჩავარდნა აქვს. თან წარმოიდგინეთ, კვიპროსამდე გვაკლდა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და ჩერნოგორიამდე კიდევ ოთხი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. კიდევ ერთხელ ვამბობ - ვერავინ დამაჯერებს, რომ ფეხბურთელებს მოედანზე მონდომება აკლდათ.

**- გულშემატკივარი ფიქრობს, რომ ფეხბურთელებმა საკმარისად არ მოინდომეს. უფრო მეტიც, ზოგმა ისიც კი თქვა - სჯობს, ეროვნულ ნაკრებში ახალგაზრდულის ფეხბურთელები ახლავე ვათამაშოთ, გამოცდილებას შეიძენენ და მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის გამოგვადგებიანო. სწორედ ამ ახალგაზრდული თაობის წარმომადგენელი ხართ და საინტერესოა, თქვენი პოზიცია...**

- ეს ეროვნული ნაკრების თავკაცმა უნდა გადაწყვიტოს - მე თუ მკითხავთ, ასე გიპასუხებდით. რა თქმა უნდა, ჩემთვისაც და სხვა ჩემი თანატოლებისთვისაც დიდი პატივია ეროვნულ ნაკრებში თამაში, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ ქვეყნის მთავარ გუნდში ჩემი თაობის ადაპტაცია ეტაპობრივად მოხდება და არა ერთი ხელის მოსმით. თავად გამოცდია, თუ რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას, დაძაბვას, სისწრაფეს, კლასსა და გამოცდილებას მოითხოვს ეროვნულ გუნდში თამაში. სწორედ აქედან გამომდინარე ვამბობ, რომ პირველ ნაკრებში ჩვენი თაობის ეტაპობრივად გადაყვანა უფრო სასარგებლო იქნება. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, ახლავე გავხდე ეროვნული ნაკრების წევრი, მაგრამ სურვილი ერთია, კლასი და გამოცდილება კი - მეორე. კუპერის გუნდში კალაძე, კობიაშვილი, ხიზანიშვილი, შაშიაშვილი, სალუქვაძე, კვირკველია... სხვა არა ერთი გამოცდილი ფეხბურთელია და მერწმუნეთ, მათი ჩამოწერა არ შეიძლება. ჩვენს ფეხბურთს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ ნაკრების ჩავარდნას ეს ფეხბურთელები გადავაყოლოთ.

**- ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ ნაკრებს მხოლოდ ჩავარდნა აქვს და სხვა არაფერი სჭირს?**

- ალბათ, ასეა. ჩემზე უკეთ ამას მწვრთნელები და ფეხბურთის სპეციალისტები შეაფასებენ. ალბათ, ჩავარდნას ფსიქოლოგიური პრობლემაც დაემატა. ამდენ ხანს რომ ელოდები პირველ მოგებას და ეს მოლოდინი იწელება, მძიმედ მოქმედებს ბიჭებზე. ეს მომენტი თავადვე გამომიცდია კლუბში თამაშისას... ერთსაც ვიტყოდი - კრიტიკა ყველასთვის მისაღებია და თავის საქმეს ყოველთვის აკეთებს... ისიც გვესმის, კუპერი უნდა გადადგესო. ვფიქრობ, ეს არ იქნება გამოსავალი, უფრო პირიქით... პირადად მე, კუპერისგან ბევრი კარგი რამ ვისწავლე.

**- მაინც რა გასწავლათ კუპერმა ამისთანა?**

- პოზიციების შერჩევა დაცვისას და შეტევისას, გახსნა, ბურთის სწრაფად გადაცემა და შეტევის გონივრულად წარმართვა... ერთი სიტყვით, თანამედროვე თამაში მასწავლა, ის საფეხბურთო კომპონენტები, რაც ტელევიზიით ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის წამყვან ჩემპიონატებში მინახავს... კუპერში არ არის პრობლემა. ეს კაცი ფუტკარივით მუშაობს და შედეგი აუცილებლად იქნება. მჯერა, სამ-ოთხ თვეში ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები ბევრად უკეთ ითამაშებენ.

ინტერვიუ

სოსო ჭედია

# ჯერ ქეცბაიამ გადაწყვიტოს, რა გზას ირჩევს...



საქართველოს ნაკრებებს კვიპროსზე ვახლდი და რასაც ვხედავდი ან რაც მესმოდა, ეს იყო - თითქმის ყოველი მეორე იქაური თემურ ქეცბაიას ახსენებდა. მათი ერთი ნაწილის მტკიცებით, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ თემური „ანორთოსისს" დატოვებს და კარიერას ინგლისურ ან ბერძნულ კლუბში გააგრძელებს...

ლარნაკაში ყოფნისას თავად ქეცბაიასთან გასაუბრება, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, ამ საკითხის გარკვევა სოსო ჭედიასთან ვცადეთ. გარდა ამისა, ჭედიას ჩვენი ნაკრები გუნდების კვიპროსულ ვოიაჟსა და სხვა თემებზეც ვკითხეთ აზრი...

**- მოდით, საუბარი ჩვენი გუნდების მიერ კვიპროსში ჩატარებული მატჩებით დავიწყოთ...**

- ეროვნულ ნაკრებზე თუ ვიტყვით, უნდა გითხრათ, რომ აშკარად მეტს ველოდი. მართალია, კვიპროსის ნაკრები დაიხვეწა და ახლა უკეთ თამაშობს, მაგრამ ის დონე მაინც არ აქვს, საქართველოს ნაკრებს უკეთ რომ არ ეთამაშა და უკეთესი შედეგისთვის არ მიეღწია... ვიცი, რომ ჩერნოგორიასთან ბიჭებმა უფრო კარგად ითამაშეს, მაგრამ თბილისში მაინც შეგვეძლო მოგება... თუმცა ისიც მესმის, რომ ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო გუნდს არაერთი ფეხბურთელი აკლდა... რაც შეეხება ახალგაზრდულ ნაკრებს, კახა ცხადაძის გუნდმა დებიუტის კვალობაზე კარგი თამაში აჩვენა. აქ გავითვალისწინოთ ერთი ფაქტორი - ეს გუნდი ახალი შეკრებილი იყო და ამ ეტაპზე მეტს ვერც მოვთხოვდით. ისე კი, გამოჩნდა, რომ ფეხბურთელებს პოტენციალი აქვთ და თამაში შეუძლიათ. იმედი მაქვს, შემოდგომამდე ახალგაზრდული ნაკრები ძლიერ გუნდად ჩამოყალიბდება.

**- „ანორთისისმა" ჩემპიონთა ლიგაში წარმატებული გამოსვლით კვიპროსის საკლუბო ფეხბურთის ისტორიაში, და ზოგადად კვიპროსულ ფეხბურთში, ახალი ფურცელი ჩაწერა, თუმცა შინაურ პირველობაზე ოქროს მედლისთვის ველარ იბრძოლებს და ოდენ ვერცხლის პრიზიორობის შანსი დარჩა. ამას რით ახსნით?**

- ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს - ჩემპიონთა ლიგამ დიდი ენერგია წაილო. აშკარად გამოჩნდა, რომ თუ გრძელი სათადარიგოთა სკამი არ გაქვს, ისე ორ ფრონტზე ბრძოლა ძალიან გაგიჭირდება. ლიგაში სულ სხვა დონე და სისწრაფეებია. დააკვირდით სხვა, თუნდაც ევროპის საშუალო დონის კლუბებს - ისინი, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგაში ასე თუ ისე წარმატებით იასპარეზეს, შინაურ პირველობებზე მესამე საფეხურზე არიან, ან ორი-სამი ადგილით ქვემოთ. ასე რომ, კვიპროსის ჩემპიონატში ჩვენი წარუმატებელი გამოსვლა ფეხბურთელების გადაღლითაა გამოწვეული.

**- ეს გასაგებია, მაგრამ წარმატებებით განებივრებული „ანორთოსისის" გულშემატკივრებისთვის მხოლოდ ეს არგუმენტი საკმარისია?**

- ჩვენმა გუნდმა კვიპროსულ საკლუბო ფეხბურთში ახალი ისტორია შექმნა. მართალია, ქომაგებს მხოლოდ შედეგი აინტერესებთ და სხვა არაფერი, მაგრამ ამ შემთხვევაში, მგონი, მისაღებია ჩვენეული არგუმენტი. და ვიცი, რომ ბევრმა გულშემატკივარმა ყველაფერი კარგად გაიგო. ახლა პირველ ადგილზე აპოელ-ია, მეორეზე „ომონია". ისინი ევროტურნირებს ნაადრევად გამოეთიშნენ, მხოლოდ ჩემპიონატში იბრძოდნენ და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვენზე კარგი შედეგები აჩვენეს.

**- „ანორთოსისის" ევროწარმატების შემდეგ გუნდის თავკაც თემურ ქეცბაიას მთხოვნელები მოუმრავლდნენ. ზოგი მის ადგილს „ნიუკასლში" ხედავს, ზოგი ბერძნულ კლუბებში, ასახელებენ აეკ-ს, „ოლიმპიაკოსს"... ახლა სულ უფრო მეტად ისმის ხმები „ანორთოსისიდან" ქეცბაიას წასვლის თაობაზე. თქვენ მისი თანაშემწე და ახლო მეგობარი ხართ. რას გვეტყვით მის გეგმებზე?**

- მგონი, არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი თემურის სამსახურით არა ერთი კლუბია დაინტერესებული. კვიპროსული კლუბები ევროტურნირებში და, მით უმეტეს ჩემპიონთა ლიგაში, წარმატებებით არ გამოირჩეოდნენ, პირიქით, თავიდანვე ეთიშებოდნენ გათამაშებას და ხშირ შემთხვევაში დიდი ანგარიშითაც მარცხდებოდნენ... ქეცბაიას ხელმძღვანელობით კი ეს გუნდი ლიგის ჯგუფურ რაუნდში მოხვდა და იქაც წარმატებით იასპარეზა. ჯგუფში 6 ქულა მოვიპოვეთ, აქვე დავთვალოთ, რამდენი გოლი გავუტანეთ ევროპის ცნობილ კლუბებს, მარტო „ინტერთან" ნათამაშები 3:3 ავილოთ... ვფიქრობ, თემურს დიდი მომავალი აქვს, როგორც მწვრთნელს და საქმეში ჩახედული ხალხი ამას კარგად ხედავს კიდეც. ამიტომაც სურთ სოლიდურ კლუბებს მასთან თანამშრომლობა. რაც შეეხება თემურის წასვლა-დარჩენის საკითხს, ეს პირველ რიგში მისი გადასაწყვეტია და სჯობს, მას ჰკითხოთ. მე ვერაფერს გეტყვით.

**- თუ ქეცბაიამ „ანორთოსისი" დატოვა, თქვენც გაჰყვებით?**

- მოდით, ჯერ თავად თემურმა გადაწყვიტოს, რა გზას ირჩევს. თუ წასვლას ამჯობინებს და ჩათვლის საჭიროდ, რომ მეც მის გვერდით უნდა ვიყო, სიამოვნებით ამოვუდგები მხარში.

**- საინტერესოა, რომელი კატეგორიის ლიცენზიას ფლობთ?**

- A კატეგორიის ლიცენზია მაქვს, თბილისში ავილე 2007 წელს. სხვათა შორის, აქვე მინდა ვთქვა, ამ კუთხით გაიოზ დარსაძე ძალიან კარგ საქმეს აკეთებს.

**- უკვე 5 წელია, რაც თემურ ქეცბაია „ანორთოსისს" ხელმძღვანელობს. ამ პერიოდის განმავლობაში გუნდმა არა ერთი ტიტული მოიპოვა. იქნებ, შეახსენოთ „ლელოს" მკითხველს ეს მონაგარი...**

- ორჯერ ჩემპიონები გავხდით, თითოჯერ ქვეყნის თასი და სუპერთასი მოვიპოვეთ და კვიპროსული ფეხბურთის ისტორიაში პირველად, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში ვიასპარეზეთ. მგონი, ბრწყინვალე მონაგარია ხუთწლიანი პერიოდისთვის.

**- ორი წელია „ანორთოსისში" მუშაობთ. რა შეიძინეთ ამ ხნის განმავლობაში როგორც მწვრთნელმა?**

- საგრძნობლად გავამდიდრე ჩემი გამოცდილება. ამ მხრივ, ჩემპიონთა ლიგას უდიდეს სკოლად მივიჩნევ. ეს მსოფლიოს ყველაზე მაღალი დონის საკლუბო ტურნირია, სხვა სისწრაფეებია, სულ სხვა დონეზე და მოთხოვნებით გიწევს ფეხბურთელების მომზადება... მომავლისთვის ეს გამოცდილება ძალიან წამადგება.

**- თქვენი უფროსი ვაჟიც „ანორთოსისშია"?**

- გიორგი „ანორთოსისის" აკადემიაში სწავლობს. 12 წლისაა, ცენტრალურ ნახევარმცველად ზრდიან. ბურთიც უყვარს და არც შრომა ეზარება. ღმერთმა ქნას, კარგი ფეხბურთელი დადგეს...

გვერდი მოამზადა
**დავით ცაბაძემ**

საინტერესო ფეხბურთელი

ლევან გვაზავა

# ამაზე პასუხი სხვამ უნდა გაგცეთ...




**ექტორ კუპერი** ამბობს - როცა მიყიუნებენ, ამა თუ იმ ფეხბურთელს რატომ ათამაშებ საქართველოს ნაკრებშიო, მაშინ ისიც მითხრან, ეს მოთამაშეები რომელი ფეხბურთელებით შევცვალოო. არგენტინელი მწვრთნელის ასეთ პოზიციას ბევრი იზიარებს, თუმცა არ მგონია, ისინი უმრავლესობაში იყვნენ. ისიცაა, რომ უმრავლესობის აზრი ყოველთვის არ არის სწორი, მაგრამ ახლა ისეთ კონკრეტულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როცა ვერავინ იტყვის - ამ ფეხბურთელს ნაკრებში შანსი არ უნდა მიეცესო.

**ლევან გვაზავა** სულ რაღაც 17 წლის გახლდათ, მოლდოვურ „ზიმბრუში" რომ აღმოჩნდა. რუსეთის უმაღლესი ლიგა პირველად 2004 წელს, ვლადიკავკაზის „ალანიაში" დააგემოვნა, უთამაშია ნალჩიკის „სპარტაკშიც", ვლადივოსტოკის „ლუჩშიც", ამ სეზონისთვის კი გროზნოს „ტერეკში" გადავიდა. ნომინალურად ის ცენტრალური ნახევარმცველია, უფრო შემტევი ყაიდის, ეხერხება თამაშის წარმართვა, ბურთის დაჭერა, დრიბლინგი... როცა საქართველოს ნაკრების თავკაცი **ალენ ჟირესი** იყო, დაინტერესდა ამ ფეხბურთელით და გამოიძახა კიდეც ნაკრებში, მაგრამ ფრანგი მალევე გაუშვეს და გვაზავაც საქართველოში არავის გახსენებია. არადა, რუსულ პრემიერლიგაში ის სტაბილურად თამაშობს, თუმცა ნაკრების კარი მისთვის მაინც ჩარაზული იყო.

რუსულ პრემიერლიგაში 3 ტურია ჩატარებული და „ტერეკი" 7 ქულით მეორე ადგილზეა, „ზენიტი" ოდენ ბურთების უკეთესი სხვაობით უსწრებს. ბოლო ტურში გროზნოელებმა მოსკოვის „დინამო" ისტუმრეს და 1:0 დაამარცხეს.

გვაზავა, რომელმაც რუსული პრესის შეფასებით საკმაოდ ნორმალურად ითამაშა, მატჩის მიწურულს შეცვალეს.

*„თამაში გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. გოლი რომ გავიტანეთ, უფრო თავისუფლად ავთამაშდით. საკუთარ თავს ყოველთვის მაქსიმუმს ვთხოვ და აქედან გამომდინარე, ჩემი თამაშით ბოლომდე კმაყოფილი არ ვყოფილვარ",* - გვითხრა გვაზავამ, რომელსაც ისიც ვკითხეთ, თუ რამდენად მოსალოდნელი იყო თავად „ტერეკისთვის" სამი ტურის შემდეგ ლიდერებში ყოფნა: *„ფეხბურთში ყველაფერს უნდა ელოდო. ღმერთმა ქნას, ეს პოზიცია შევინარჩუნოთ, ვნახოთ, რა იქნება... ისე კი, სეზონის დაწყების წინ ზედა ექვსეულში მოხვედრა დავისახეთ მიზნად".*

*დავინტერესდით, უყვარს თუ არა ჩეჩნეთში ხალხს ფეხბურთი: „სტადიონი სულ სავსეა, 15 ათასი კაცი მოდის და მხურვალედაც გვიჭერენ მხარს. ეს ხომ კავკასიაა და ფეხბურთი აქ განსაკუთრებით უყვართ. „ტერეკის" ძირითად შემადგენლობაში ორად-ორი ჩეჩენი თამაშობს - ჯაბრაილოვი და სადაევი, გუნდი მეტწილად მოწვეული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული",* - განგვიმარტა გვაზავამ.

„ტერეკი" მრავალეროვანი გუნდია. ქართველი, ბელარუსი, ბულგარელი, რუმინელი, სლოვაკი და ბრაზილიელი - ჩეჩნურ გუნდში რა რჯულის ფეხბურთელი არ მოიპოვება. გვაზავამ „ტერეკზე" ისიც მოგვახსენა, რომ გუნდს გამოკვეთილი ლიდერი არ ჰყავს, თავად კი გამთამაშებლად თამაშობს და პრემიერლიგის პირველ ტურში კი იმიტომ ვერ ითამაშა, რომ მოწამლული ყოფილა.

*„რაც შეეხება პირობებს, „ტერეკში" ყველაფერი ნორმალურადაა. არც „ლუჩში" იყო ამ მხრივ ცუდი ვითარება, მაგრამ ვლადივოსტოკურ გუნდში დღე და ღამე არეული მქონდა. „ტერეკს" გროზნოში არ აქვს ბაზა, კისლოვოდსკში ვცხოვრობთ და ვვარჯიშობთ, საიდანაც გროზნომდე თამაშისთვის ორი დღით ადრე, თვითმფრინავით ნახევარ საათში ჩავდივართ. ჩეჩნეთის დედაქალაქში ხელოვნურსაფრიანი მოედანია და მასზე თამაშს უნდა შევეჩვიოთ. სხვათა შორის, გროზნოში ბოლო თაობის საფარი დააგეს - იმაზე უკეთესი, ვიდრე „ლუჟნიკებშია". კლუბი ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ფინანსდება და საცაა, კიდევ ერთი დამფინანსებელი გვეყოლება, რომელიღაც კერძო კომპანია. ფინანსური კრიზისი ჯერ არ შეგვხებია, ყველაფერი ნორმალურადაა"* - გაგვაცნო გვაზავამ ტერეკული სიტუაცია.

ჩვენებურს ჩეჩნურ კლუბთან 2+1 სისტემით აქვს კონტრაქტი გაფორმებული. ლევანმა გვითხრა, რომ ჩეჩნეთში და საერთოდ, რუსეთში, ანტიქართული განწყობა არ უგრძნია. რაც შეეხება ნაკრებში არგამოძახებას, გვაზავა ამაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

*„თუ რატომ არ მიწვევენ ნაკრებში, ამ კითხვაზე უმჯობესი იქნება იმან გაგცეთ პასუხი, ვისაც ევალება ფეხბურთელის საქმეში ნახვა, ფეხბურთელზე დაკვირვება და გადაწყვეტილების მიღება. რუსულ პრემიერლიგას ძალიან ბევრი უყურებს და სათვალავში აგდებს. ამ ლიგაში ძალიან ბევრი ისეთი ლეგიონერია, თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში რომ იძახებენ და რატომ უნდა იყოს გამონაკლისი საქართველოს ნაკრები"?*

28 წლის გვაზავას ორმაგი მოქალაქეობა აქვს. საქართველოს ნაკრებში მას ჟირესის დროს უთამაშია და ცხადია, თუ ეროვნულ გუნდში ისევ გამოიძახებენ, ფორმალური საკითხები ვერ დააბრკოლებს. გვაზავა ერთ-ერთი იმათგანია, ვისი შეთავაზებაც კუპერისთვის ყველას შეუძლია, ოღონდაც საკითხავია, ვინ უზის კუპერს მთავარ მრჩევლად?..

**დავით თავართქილაძე**

ლეგიონერის [illegible]

# შუშაკი სომხეთის ნაკრებს ჩაიბარებს

## სად გადის ყველაზე მეტი ქართული გოლი?



დავითვალეთ და აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტი ქართული გოლი მარტსა და აპრილში რიგის ოლიმპიური ცენტრის ხელოვნურსაფრიან მოედანზე გავიდა - 7. ბალტიაში ჯერ კიდევ ცივა, ამიტომაც რიგაში მატჩები დახურულ დარბაზებში იმართება. შვიდიდან 5 გოლი კი „სკონტოს" 22 წლის ფორვარდის, **ვლადიმერ დვალიშვილის** ანგარიშზეა. დვალიშვილმა შარშანდელი სეზონის 27 მატჩში 9 გოლი გაიტანა, წლეულს კი ვირსლიგა შესაშური მაჩვენებლით დაიწყო - 3 მატჩი, 5 გოლი. რიგის ოლიმპიურ კომპლექსში „სკონტომ" 3:0 დაამარცხა „იურმალა" და 3 ტურის მერე ქულათა მაქსიმუმი აქვს, „იურმალა" კი 3 ქულით მეხუთეა. მატჩის მე-6 წუთზე ანგარიში ლადო დვალიშვილმა ახლო მანძილიდან გახსნა, ხოლო 34-ე წუთზე მასპინძელთა მესამე გოლი გუნდის კაპიტანმა **დავით გამეზარდაშვილმა** გაიტანა. მეორე ტაიმში ბომბარდირი გააფრთხილეს, 73-ე წუთზე კი შეცვალეს. სტუმართა 21 წლის ქართველი ლეგიონერი **გაგა გუგუნაშვილი** შეხვედრის 35-ე წუთზე გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც მისმა გუნდმა სამი გოლი გაუშვა. ჩვენი არ იყოს, ვირსლიგასაც ძალიან უჭირს ქომაგთა დასწრების კუთხით, ამ შეხვედრაზე 250 მაყურებელი მივიდა.

**ზურაბ მენთეშაშვილი** სანაკრებო მატჩებს ტრავმის გამო დააკლდა, თუმცა იგი ვირსლიგის მე-3 ტურისთვის გამოჯანმრთელდა და ვენტსპილსში ადგილობრივი გუნდისა და რეზეკნეს „ბლაზმას" მატჩში 76 წუთის განმავლობაში მოედანზე იყო, ბოლოსღა შეცვალეს. „ვენტსპილსმა" სუსტი მეტოქე 5:1 გაანადგურა, ჩვენმა თანამემამულემ მე-10 წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო, აბა ეს რა გასაკვირი იქნებოდა ზურასგან, მაგრამ ამჯერად, მან გაფრთხილება სიმულაციისთვის დაიმსახურა, ეს კი რაღაც ახალია მისთვის. „ვენტსპილსის" უპირატესობაზე ერთი ფაქტი ყველაზე უკეთ მეტყველებს, მათ მეტოქის კარში 35-ჯერ დაარტყეს. „ვენტსპილსსაც" 9 ქულა აქვს. ლატვიის ჩემპიონატში 9 გუნდი მონაწილეობს, ამჯერად დასვენებამ **თამაზ პერტიას** „დინაბურგს" მოუწია. პერტია ამიერიდან კვლავ გუნდის მთავარი მწვრთნელია.

გვეგონა ლიტვის A ლიგის მრავალგზის ჩემპიონ „კაუნასს" ფინანსური პრობლემების გამო რანგით მესამე ლიგაში სეზონის ბოლოს დააქვეითებდნენ, თურმე გადაწყვეტილება მყისიერი ყოფილა, „კაუნასი" აღარ თამაშობს A ლიგაში. ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით ძველი ჩემპიონატი შეწყვეტილია, დაიწყო ახალი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით. ჯერჯერობით უცნობია, რა ბედი ელის „კაუნასის" ერთადერთ ქართველ ლეგიონერ **აკაკი ხუბუტიას**. თუმცა ლიტვის უმაღლესი დივიზიონი უქართველოდ მაინც არ დარჩა. პირველი ლიგის გამარჯვებულის, „ტაურასის" ღირსებას ძმები, **დავით და ბესიკ ჭილლაძეები** იცავენ. ეს გუნდი პირველ ტურში სტუმრად „შიაულიაისთან" დამარცხდა - 0:1. მათ ამ შეხვედრაში არ უთამაშიათ.

ახალი ჩემპიონატი დაიწყო ბელარუსშიც. სეზონს ოთხი ქართველი იწყებს, თუმცა მათ შეიძლება მეხუთეც მიემატოს, **არჩილ პართენაძის** ტრანსფერი „მტზ-რიპოში" ჯერ ბოლომდე არ არის დასრულებული. მაშ ასე, „მტზ-რიპოს" ღირსებას იცავს **გივი კვარაცხელია**, „ვიტებსკში" თამაშობს **ირაკლი მაისურაძე**, მოგილევის „დნეპრში" - **თორნიკე ხაჩიძე**, ჟოდინოს „ტორპედოში" - **ნუკრი მანჩხავა**. მანჩხავამ ბელარუსში მოგებით დაიწყო, მისი გუნდი ირაკლი მაისურაძის „ვიტებსკს" ეწვია და დაამარცხა - 1:0 (მაისურაძეს არ უთამაშია). მანჩხავამ დაცვის მარცხენა ფლანგზე 90 წუთი ითამაშა. გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპომ" სტუმრად 2:1 დაამარცხა „გრანიტი", კვარაცხელია (90 წუთი) მსაჯს ყვითელ ბარათს გამორჩა. ბათუმელი ხაჩიძის „დნეპრი" „ბატესთან" 0:1 დამარცხდა, ჩვენებური არ გამოჩენილა. ბრესტის „დინამომ" ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ კლუბიდან გაუშვა ფორვარდი **რომან გოგინაშვილი**.

მოლდოვის ჩემპიონატში ფეხი დაუცდა ლიდერ „შერიფს", თუმცა არა გვგონია ამ გუნდს ჩემპიონობის დაბევება გაუჭირდეს - „შერიფი" „დაჩიას" 9 ქულით უსწრებს. „შერიფი" შინ „ისკრა-სტალს" დაუზავდა - 0:0. გუნდის უბერებელმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. კიშინიოვის დერბი წლეულს აქტუალური აღარაა, „დაჩია" იმდენად სჯობს „ზიმბრუს", რომ... ქართველთა გუნდმა ამჯერად 3:0 გაანადგურა მეტოქე და ქულებში სხვაობა 11-მდე გაზარდა. **კახაბერ მჟავანაძემ, ლევან კორღალიძემ** და **ჯაბა დვალმა**, სამივემ შეუცვლელად ითამაშეს. „დაჩიას" ოფიციალური საიტის ცნობით შეტევაში ძალზე აქტიური იყო დვალი, ფლანგზე კი მჟავანაძე. მეორე გოლი მთლიანად კორღალიძის დამსახურებაა - მან 24 მეტრიდან საჯარიმო შეასრულა, თანაც ისე, რომ ბურთი ორივე ძელს მოხვდა და უკან გამოვარდა, რომელსაც იქვე მდგომმა **ორბუმ** მიუსწრო.

აზერბაიჯანში, ალბათ, გაუჭირდება **ამირან მუჯირს** ბომბარდირობის მოპოვება, ის **ივან ცვეტკოვს** (13 გოლი) უკვე ორი გოლით ჩამორჩება, თანაც გაძევებისთვის დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ ამ ნაგებით მუჯირის „ბაქომ" საჩემპიონო მარათონში წინ „ინტერი" გაუშვა. ბაქოურ დერბიში „ოლიმპიკი" გამოვიდა გამარჯვებული - 2:1. ყოფილი გუნდის წინააღმდეგ შეუცვლელად ითამაშა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა**. **რომან ახალკაცს** არ უთამაშია, სამაგიეროდ გამოჯანმრთელდა **რევაზ გეწაძე**, ის სათადარიგოთა სკამზე ვიხილეთ. „ბაქოს" სასტარტო შემადგენლობაში **გიორგი ადამია** და **ამირან მუჯირი** იყვნენ, **გიორგი დემეტრაძე** კი განაცხადშიც ვერ მოხვდა. ორივემ მეორე ტაიმში მსაჯისგან გაფრთხილება მიიღო, მუჯირი კი 84-ე წუთზე საერთოდ გააძევეს. „ბაქო" 47 ქულით მეორეა, „ოლიმპიკი" 36 ქულით - მეხუთე. ბაქოურ დერბის „შაფაზე" ოდენ 500 მაყურებელი დაესწრო.

ზაქათალის „სიმურგმა" გამარჯვების გემო გაიხსენა, ისტორიული ჰერეთის გუნდმა ევლახში „ქარვანი" 3:1 დაამარცხა. სიმურგელი **გრიგოლ დოლიძე** ტრავმირებულია, **კახა ჩხეტიანმა** და **დავით ბოლქვაძემ** შეუცვლელად ითამაშეს, **მიხეილ მახვილაძე** თამაშის 85-ე წუთზე გამოჩნდა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა ყოფილმა დინამოელმა **ალექსანდრე ინწკირველმა**, **მიხეილ მესხს** დისკვალიფიკაცია ჰქონდა. „ქარვანს" ფინანსური პრობლემები აქვს და მას ფეხბურთელები გაექცა, ჩვენებურებიც სამშობლოში იყვნენ, თუმცა შემდეგ დაბრუნება გადაუწყვეტიათ - ყოველ შემთხვევაში, ინწკირველმა ითამაშა. ამ მატჩში ერთი საგოლე პასი ჩხეტიანის ანგარიშზეა. „სიმურგი" 41 ქულით მე-4 ადგილზეა, „ქარვანი" 26 ქულით - მეათეზე.

**ბადრი კვარაცხელიამ** სამწვრთნელო კარიერაში პირველად იწვნია მარცხი დიდი ანგარიშით, „სტანდარდი" სტუმრად „ხაზართან" დამარცხდა - 0:4. **დავით ჭიჭვეიშვილმა** და **ლევან სილაგაძემ** შეუცვლელად ითამაშეს. „სტანდარდი" 30 ქულით მე-7 ადგილზეა. **გივი ჩხეტიანის** „მულანი" ვერას გახდა ლიდერ „ინტერთან" - 0:2. ქართველმა ფორვარდმა შეუცვლელად ითამაშა. „მულანი" 11 ქულით მე-11 ადგილზეა. „გაბალამ" სტუმრად მინიმალური უპირატესობით დაამარცხა „ბაქილი" - 1:0. **გოგა ბერაიამ** გამარჯვებულთა რიგებში შეუცვლელად ითამაშა, ხოლო **თორნიკე აფციაურმა** - ბოლო ნახევარი საათი.

სომხეთის ჩემპიონატი ორი ტურის დაწყებულია და ჯერჯერობით ქულათა მაქსიმუმი აქვს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილი თავკაცის, **ივო შუშაკის** „მიკას". ბოლო ტურში „მიკამ" 3:2 აჯობა „შირაკს". სხვათა შორის, ივო შუშაკი, ალბათ, სომხეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გახდება, ის პოსტზე იან პოულსენს შეცვლის. შუშაკი ესტონეთშიც კი ახლდა სომხეთის ნაკრებს.

დანიის პირველი დივიზიონის კლუბ „ვიბორგს" ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა 22 წლის ქართველი მცველი **გიორგი ფოფხაძე**. „ნიკობინგთან" 2:3 წაგებულ მატჩში მის გამოსვლას ოდენ სიმბოლური ხასიათი ჰქონდა, ქართველი მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე შევიდა. „ვიბორგი" 39 ქულით მეორე ადგილზეა, რომელიც სასლიგის საგზურს იძლევა, თუმცა მდევარი „ჰერფოლგე" უკვე ძალიან ახლოა 37 ქულით. მეორე დივიზიონში **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ-მა სტუმრად 3:2 დაამარცხა „ბრონდბიუ II". ამ შეხვედრაში ქართველ ფორვარდს არ უთამაშია, ჰიკ-ი 30 ქულით მე-5 ადგილზეა და პირველ დივიზიონში გადასასვლელ ზონამდე 5 ქულა აშორებს.

ისრაელში ლეუმითლიგის ლიდერი ჰაიფას „ჰაპოელი" კვარ საბაში ადგილობრივ „ჰაპოელთან" შერცხვა - 0:3. ლიდერთა ფორვარდი **ირაკლი გეფერიძე** (25 თამაში, 7 გოლი) 63-ე წუთზე შეცვალეს. ჰაიფელები კვლავ ლიდერობენ 48 ქულით, თუმცა ახლა აკოს „ჰაპოელს" მხოლოდ სამი ქულით უსწრებენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# მანჩესტერში 2004 აღარ იქნება

## ვილიარეალი სანტი კასორლას გარეშე დარჩა



ეს იყო ექვსი წლის წინ: პორტუმ მანჩესტერი კოშტინიას გოლით გამოაგდო

ჩემპიონობა ველარ, მაგრამ პრემიერლიგის მეოთხე ადგილი ალბათ ისევ "მეთოფეებს" დარჩებათ და გაისად კვლავ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ლონდონელებს ორი წამყვანი ფეხბურთელი – **ფრანსესკ ფაბრეგასი** და **ემანუელ ადებაიორი** გამოუჯანმრთელდათ. ისინი ესპანეთში მათთან ერთად გაემგზავრნენ.

ფაბრეგასი დეკემბრის შემდეგ მუხლის მძიმე ტრავმას იშუშებდა. "მანჩესტერ სიტისთან" მატჩი მისთვის პირველი იყო უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში. 10-მატჩიანი პაუზის შემდეგ "სიტის" წინააღმდეგ ადებაიორმაც ითამაშა და დუბლი გამოაცხო. ორივე საგოლე პასი ფაბრეგასმა მიითვალა. გასულ უქმეებზე ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა **თეო უოლკოტიც**. "ვილიარეალთან" ისიც აუცილებლად ითამაშებს.

დღეს "არსენალისათვის" საიუბილეო თარილია: "მეთოფეები" ჩემპიონთა ლიგაში მე-200 მატჩს ატარებენ. ჯერ უცნობია, ვიხილავთ თუ არა **რობინ ვან პერსის**. ის ჰოლანდიის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. გუშინ საღამოს მისი ასპარეზობის შანსი 50 პროცენტს არ აღემატებოდა. ლონდონში დარჩნენ **ედუარდო** და **აბუ დიაბი**. ლონდონში დარჩა რუსი თავდამსხმელი **ანდრეი არშავინიც**. წლევანდელ ევროსარბიელზე მან "ზენიტის" შემადგენლობაში ითამაშა, რის გამოც "არსენალში" ასპარეზობის უფლება აღარ აქვს.

გასულ უქმეებზე "ვილიარეალს" ორმაგად არ გაუმართლა. მან ესპანეთის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში "ალმერიასთან" 0:3 წააგო. ამას გარდა, "ყვითელ სუბმარინებს" წამყვანი გარემარბი **სანტი კასორლა** დაუშავდათ. ის "არსენალთან" ვერ ითამაშებს. კასორლამ ტერფის ძვალი გაიტეხა და ზაფხულამდე ჩამოშორდა მინდორს.

"ვილიარეალი" ესპანეთის ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე იმყოფება. მას ჩემპიონთა ლიგაში საშინაო მატჩი არასოდეს წაუგია. იმასაც შეგახსენებთ, რომ ეს გუნდები 2006 წლის ლიგის ნახევარფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. ესპანეთში გამართული პირველი რაუნდი უგოლოდ დასრულდა. ინგლისური რაუნდი "მეთოფეებმა" მინიმალური ანგარიშით მოიგეს, თუმცა "ვილიარეალის" ნახევარმცველმა **ხუან რომან რიკელმემ** ბოლო წუთზე 11-მეტრიანი ვერ გაიტანა. ის გოლი რომ გასულიყო, ესპანელებს ლიგის ფინალში ვიხილავდით. ვნახოთ, რითი დასრულდება მორიგი დუელი.

### სავარაუდო შემადგენლობები

**ვილიარეალი:** ლიეგო ლოპესი, ანხელ ლოპესი, გოდინი, გონსალო როდრიგესი, კაპდევილა, კანი, სენა, ეგურენო, პირესი, ნიჰათი, როსი.

**არსენალი:** ალმუნია, სანია, კოლო ტურე, გალასი, კლიში, ებუე, სონგი, დენილსონი, ფაბრეგასი, უოლკოტი, ადებაიორი.

**მსაჯი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

### მანჩესტერ იუნ.-პორტუ

"მანჩესტერ იუნაიტედს" **უეინ რუნი, ნემანია ვიდიჩი** და **პოლ სქოულზი** უბრუნდებიან. ამ ფეხბურთელებმა "ასტონ ვილასთან" პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩი გამოტოვეს. სამივე მათგანი დისკვალიფიცირებული იყო. "პორტუსთან" ჩემპიონთა ლიგის პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრაში სამივეს ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

დღეს გაირკვევა, ითამაშებს თუ არა **რიო ფერდინანდი**. "იუნაიტედის" ცენტრალურ მცველს ზურგის ტრავმა აწუხებდა, თუმცა ის პრაქტიკულად გამოჯანმრთელდა და ახლა მხოლოდ ექიმების ნებართვას ელის. იძულებით შვებულებაში იმყოფება **დიმიტარ ბერბატოვი**. ბულგარელ თავდამსხმელს კოჭი აწუხებს. მას კიდევ ორი კვირა გაუცდება.

მოგეხსენებათ, "მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის მოქმედი ჩემპიონია. "ეშმაკები" უპირველეს ევროპულ ტურნირში 21-მატჩიანი წაუგებელი სერიით იწონებენ თავს. ისინი, რა თქმა უნდა, არც "პორტუსთან" დამარცხებას აპირებენ. ფეხბურთელები ჩინებულ ხასიათზე არიან.

გასულ უქმეებზე მათ "ასტონ ვილასთან" დრამატული გამარჯვება მოიპოვეს. გუნდი მე-80 წუთისათვის 1:2-ს აგებდა, მაგრამ ჯერ **კრისტიანო რონალდომ** და შემდეგ დებიუტანტმა იტალიელმა ფორვარდმა **ფედერიკო მაკედამ** მეტოქე ორჯერ დაამწუხრეს. ამ სამი ქულის წყალობით, "მანჩესტერმა" პრემიერლიგაში ლიდერობა დაიბრუნა. გუნდს ამ სეზონში ხუთი ტიტულის მოპოვება შეუძლია.

"იუნაიტედი" დღევანდელ მატჩშიც ფავორიტად მიიჩნევა. თუმცა ასე იყო ხუთი წლის წინაც, როდესაც ეს გუნდები 1/8 ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. იმხანად "პორტუს" მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** იყო. პორტუგალიური რაუნდი მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:1. მანჩესტერში განმეორებითი მატჩისას, "ეშმაკები" ბოლო წუთამდე მინიმალური ანგარიშით იგებდნენ, მაგრამ "პორტუმ" გაათანაბრა და მომდევნო რაუნდშიც ის გავიდა (უფრო მეტიც, იმ წელს "პორტუ" ჩემპიონთა თასს დაეუფლა).

დღევანდელი "პორტუ" **ჟეზუალდო ფერეირას** ხელმძღვანელობით ხუთი წლის წინა[illegible] გუნდს ვერ შეედრება, მაგრამ სიურპრიზების შემოთავაზება ნამდვილად შეუძლია. ერთი კია: "პორტუს" ინგლისში თამაში მაინცდამაინც არ გამოსდის. მან ნისლიან ალბიონზე 12 მატჩი ჩაატარა და 11 წააგო. გამონაკლისი 2004 წელს ჩატარებული ზემოხსენებული მატჩი იყო, რომელიც ფრედ, 1:1 დასრულდა.

"პორტუ" დიდ იმედს ამყარებს ბრაზილიელ თავდამსხმელ **ჟივანილდო ვიეირა დე სოუზაზე**, რომელსაც გულშემატკივარი **ჰალკის** სახელით იცნობს. 22 წლის ფეხბურთელი ამბობს, რომ კარიერის განმავლობაში ასეთ ფორმაში ჯერ არ ყოფილა. მწყობრშია არგენტინელი თავდამსხმელი **ლისანდრო ლოპესიც**, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში 6 გოლი გაიტანა.

### სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერ იუნ:** ვან დერ სარი, ოში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, რონალდო, ქერიკი, სქოულზი, გიგზი, ტევესი, რუნი.

**პორტუ:** ელტონი, ბრუნო ალვეში, როლანდო, საპურანო, სისოხო, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, ფერნანდო, ლისანდრო ლოპესი, კრისტიან როდრიგესი, ჰალკი.

**მსაჯი:** კონრად პლაუცი (ავსტრია).

### ვილიარეალი-არსენალი

**არსენ ვენგერმა** ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ მის გუნდს პრემიერლიგის მოგების შანსი აღარ აქვს, მაგრამ ფრანგი მწვრთნელი ჯიუტად ამტკიცებს: სამაგიეროდ, ჩემპიონთა ლიგისა და ასოციაციის თასის მოგება შეგვიძლიაო.

ძნელი სათქმელია, რამდენად საფუძვლიანია მოსიე ვენგერის ოპტიმიზმი, მაგრამ "მეთოფეებს" რომ ყველაზე სუსტი გუნდი არა ჰყავთ, დღესავით ნათელია. გასულ უქმეებზე "არსენალმა" "მანჩესტერ სიტი" დაამარცხა (2:0) და პრემიერლიგაში წაუგებელი სერია 17 მატჩამდე გაზარდა. თამაშის შემდეგ ვენგერმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"შეუძლებელია ჩემპიონატის მოგება, როდესაც პირველი 14 მატჩიდან ხუთს წააგებ. მაგრამ მე ახალგაზრდა გუნდი მყავს. თანაც ეს ის გუნდი აღარ არის, რომელიც აგვისტოსა და სექტემბერში იყო."*



რეალი


ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკა, ფლორენტინოს მორიგი გალაქტიკო?

# ფლორენტინოს კაკას რეალში მიჰყავს

ივნისში მადრიდის "რეალი" ახალ პრეზიდენტს აირჩევს. მოგეხსენებათ, ეს რიგგარეშე არჩევნებია. მისი დანიშვნა მას შემდეგ გახდა საჭირო, რაც სამეფო კლუბის ყოფილი პრეზიდენტი **რამონ კალდერონი** ხმების გაყალბებაში ამხილეს და აიძულეს, გადამდგარიყო. ამჟამად პრეზიდენტის მოვალეობას ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი **ვისენტე ბოლუდა** ასრულებს. სწორედ ბოლუდამ გადაწყვიტა არჩევნების ივნისში ჩატარება. თარილი ჯერ კიდევ ზუსტდება. "რეალის" სოსიოები ახალ პრეზიდენტს 7 ან 14 ივნისს აირჩევენ.

ესპანელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ არჩევნებს ფლორენტინო პერესი მოიგებს. ის მადრიდელთა ყოფილი პრეზიდენტია. სენიორ ფლორენტინომ ამ პოსტზე ექვსი წელი (2000-2006) გაატარა. კლუბმა არაერთი ტიტული მოიგო, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის სატრანსფერო პოლიტიკა გახლდათ, რომელსაც სენიორ პერესმა ჩაუყარა საფუძველი: ყოველ წელს ერთი ახალი ვარსკვლავი სამეფო კლუბში. პრეზიდენტმა ექვსი წლის განმავლობაში ექვსი გალაქტიკო შეიძინა: **ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, რონალდო, დევიდ ბექჰემი, მაიკლ ოუენი** და **რობინიო**. ზიდანში გადახდილი 60 მილიონი ევრო რვა წლის შემდეგაც კი სარეკორდო თანხად ითვლება.

პერესი 2006 წელს საკუთარი სურვილით გადადგა. მან მიიჩნია, რომ "რეალს" განვითარებით ახალ ეტაპზე გადასასვლელად ახალი პრეზიდენტი სჭირდებოდა. თუმცა მან საყვარელი გუნდის გარეშე დიდხანს ვერ გაძლო. ფლორენტინო ბრუნდება და როგორც ჩანს, კვლავ აპირებს გალაქტიკოების პოლიტიკის გაგრძელებას. ის გუნდში ხელცარიელი არ მიდის: თუ აირჩევენ, ბრაზილიელი **კაკა** "რეალის" საკუთრება გახდება.

დიახ, იტალიური და ესპანური გამოცემების მტკიცებით, შეთანხმება მიღწეულია. სენიორ ფლორენტინოს საარჩევნო შტაბმა კაკასთან მოლაპარაკებები წარმატებით დაასრულა. "მარკაში" ვკითხულობთ, რომ მადრიდელებს ეს ტრანსფერი 60 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

შეთანხმებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ფლორენტინო პერესისა და "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის** შეხვედრამ. იმავე "მარკას" თუ დავესესხებით, შეხვედრა 16 მარტს მილანში შედგა. საუბარმა გულლია ატმოსფეროში ჩაიარა. კაკას შეძენა "ჩელსისა" და "მანჩესტერ სიტისაც" სურთ. ბრაზილიელი ნახევარმცველი 2007 წლის საუკეთესო ფეხბურთელია. ის 27 წლისაა. კაკას მილანური კონტრაქტი 2013 წელს ეწურება.

შეთქმულების თეორია

# კორეა კორეის წინააღმდეგ

როგორც ჩანს, შეთქმულებათა თეორიების მოგონება, გავრცელება და რაც მთავარია, დაჯერება, პოსტკომუნისტური თუ დღემდე კომუნისტურ ხანაში ჩარჩენილი საზოგადოებების საერთო სენია. ამის ნათელ მაგალითს ალბათ ხშირად ჩვენს ქვეყანაშიც გადასწყდომიხართ... თუმცა ამ თემაზე წერას არ ვაპირებთ. სიმართლე გითხრათ, ეს არ არის ჩვენი საქმე და არც გვეხალისება. მაშ რა ხდება? ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **კიმ იონ ჰანმა** სამხრეთკორეელებს მისი ფეხბურთელების წინააღმდეგ აკრძალული მეთოდებით ბრძოლაში დასდო ბრალი და ცოდვაში ცივილიზებული კორეის პრეზიდენტის გარდა წილი ფიფასაც კი დაუდო.

*„მცირე ეჭვიც კი არ მეპარება, რომ ჩემი გუნდის წევრები სამხრეთელმა კაპიტალისტებმა სპეციალურად მოწამლეს უვარგისი პროდუქტებით. ბიჭები შეხვედრის დაწყებამდე საერთო სისუსტეს უჩიოდნენ. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ ეს გეგმა მათი პრეზიდენტის ლი მენ ბაკის ინტერესებში შედიოდა. თანაც ფიფამ არ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და მატჩის დაწყების დრო არ შეცვალა,"* - განაცხადა კიმ იონ ჰანმა. ჩრდილოკორეელთა მოთხოვნით, ფიფა ფეხბურთელების „მოწამვლის ფაქტზე" სპეციალურ გამოძიებას ჩაატარებს.

ბუნებრივია, აღნიშნულ ბრალდებას სამხრეთელთა რეაქციაც მოჰყვა. აი, რა განაცხადა სამხრეთ კორეის ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის წარმომადგენელმა: *„მსგავსი ბრალდება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ჩრდილოკორეელებმა თავად აირჩიეს სასტუმრო, სადაც შეხვედრის წინადღეს გაჩერდნენ. ამასთან, სწორედ მათი ექიმი ირჩევდა საკვებს, რომელიც ფეხბურთელებმა მიირთვეს. კიდევ რისი დამატება შეიძლება? არაფრის... გიმეორებთ, ბრალდება თითიდან გამოწოვილია".*

შეგახსენებთ, რომ შეხვედრა სამხრეთელთა გამარჯვებით 1:0 დასრულდა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

### კატანეცმა მაკედონია დატოვა

მაკედონიის ნაკრების მწვრთნელი **სრეჩკო კატანეცი** პოსტიდან გადადგა. ამ გადაწყვეტილების პირდაპირი მიზეზი, როგორც თავად ახსნა, ჰოლანდიასთან ბოლო მარცხი (0:4) არ ყოფილა. სლოვენიელმა სპეციალისტმა ისაუბრა იმ კონფლიქტის თაობაზე, რომელიც გუნდის წამყვან მოთამაშესთან, „ლაციოს" ფორვარდ **გორან პანდევთან** მატჩის წინ მოუვიდა. ამის გამო, ნაკრებში ცუდი ატმოსფერო შეიქმნა, რაც ჰოლანდიასთან მძიმე მარცხის წინაპირობა გახდაო, - განაცხადა კატანეცმა პრესკონფერენციაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

სერ ალექს ფერგიუსონი

# მთავარი იმედგაცრუება? გაზა

## რამდენად პოლიტიზებულია მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდარული თავკაცი...



სერ ალექს ფერგიუსონი და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი

**ალისტერ კემპბელი** ბრიტანეთის ყოფილი პრემიერის ტონი ბლერის საარჩევნო შტაბის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო, შემდეგ კი მისი პრეს-სამსახურის ხელმძღვანელიც გახდა. ეს ადამიანი სერ ალექს ფერგიუსონს შეხვდა და ფეხბურთის გარდა, ცოტა პოლიტიკაზეც ესაუბრა.

**- ათბალიანი სისტემით რომ შევაფასოთ, რამდენად პოლიტიზებული ბრძანდებით?**

- ვფიქრობ... აღნიშნული შეკითხვა ფეხბურთზე რომ დაგესვათ, დაუფიქრებლად გიპასუხებდით, რომ ათიანს. რაც შეეხება პოლიტიკას, მისით ვინტერესდები, ვკითხულობ პოლიტიკურ ინფორმაციებს, ვკითხულობ პოლიტიკურ ისტორიასა და ლიტერატურას. ამასთან, მაქვს ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებები. ყოველივე ამის გამო 7,5 ქულას დავიწერდი.

**- საიდან მოდის თქვენი პოლიტიკური შეხედულებების ფესვები?**

- ყველაფერი ჩემ გარშემო მყოფი ადამიანებიდან და ჩემი აღზრდიდან მოდის. გლაზგოს ისეთ რაიონში გავიზარდე, სადაც ძირითადად მუშათა კლასი ცხოვრობდა და შესაბამისად, ყოველთვის შესანიშნავად მესმოდა ისეთი ცნება, როგორიც არის საზოგადოება. მჯერა, რომ ლეიბორისტული პარტია მართლა მშრომელთა გაერთიანებაა - სწორედ ამიტომაც გავხდი მისი წევრი. დიდი ქონება დავაგროვე, მაგრამ ამისთვის თავაუღებელი მუშაობა დამჭირდა. პატიოსნად ვიხდიდი გადასახადებს და ჩემს საქმეს მართლა ბევრი რამ შევძინე.

**- როგორ ფიქრობთ, სპორტსა და პოლიტიკას თუ შეუძლიათ ერთმანეთი რაიმეთი გაამდიდრონ?**

- ისტორიულ ქრონიკებს ხშირად ვკითხულობ ხოლმე და იქ სპორტის გაკვრით ხსენებასაც არ შევხვედრივარ. თუმცა სწავლა ყოველთვის და ყველაფრისგან შეიძლება. მაგალითად, ძალიან ბევრი რამ ავითვისე ერთი წიგნიდან, რომელიც აბრაამ ლინკოლნს ეძღვნება.

**- დიახ, ვიცი ეს წიგნი. მისი სახელია "მეტოქეთა გუნდი".**

- ვერ გეტყვით, რომ ხსენებული წიგნიდან ყოველი ციტატა ზეპირად მახსოვს, მაგრამ მასში საინტერესოდ არის მოთხრობილი მონობასა და სამოქალაქო ომზე. გამაოცა ლინკოლნის ერთმა თვისებამ - როგორ მოახერხა და გააერთიანა თავის გარშემო ისეთი ამბიციური ადამიანები, რომელთა შორის რამდენიმე მას პრეზიდენტობაში ხელსაც კი უშლიდა. მან მოახერხა და ეს ადამიანები საკუთარი იდეებით მოხიბლა. სწორედ მისი პრეზიდენტობის შემდეგ დაიწყო ახალი ერა ამერიკის ისტორიაში. მხოლოდ საფეხბურთო გუნდის მწვრთნელი ვარ, მაგრამ მეც რამდენჯერმე მომიხდა ერთი იდეის გარშემო გუნდის გაერთიანებისთვის ბრძოლა. ეს საკმაოდ რთულია.

**- როდის იგრძენით, რომ საფეხბურთო სამყაროში რაღაც იყო შესაცვლელი. მაშინ, როცა ჯერ კიდევ მოქმედი ფეხბურთელი იყავით, თუ მწვრთნელად ჩამოყალიბების შემდეგ?**

- ასე გიპასუხებთ: "მანჩესტერში" სწორედ მაშინ მივედი, როცა ის იყო, ცვლილებების ეპოქა იწყებოდა. შევძელი და ალლო ავულე ახალ დროს. შევეჩვიე საკუთარ ფეხბურთელებს. ახალი სამყაროს ნაწილი ჯერ კიდევ იქამდე გავხდი, ვიდრე საფეხბურთო აგენტები ამხელა ძალაუფლებას ჩაიგდებდნენ ხელში, იქამდე, ვიდრე თავისუფალი კონტრაქტები გაჩნდებოდა და ტელეკომპანიები უზარმაზარ ფულს ჩადებდნენ ფეხბურთში. ჩემს ფუნქციებში შედის ფეხბურთელების დახმარებაც, რათა ისინი მყარად იდგნენ ფეხზე ასეთ რთულ გარემოში. მათ ვასწავლი, რომ საჭიროა საქმისადმი სერიოზული მიდგომა, რათა ყველანაირი წინააღმდეგობა დაძლიონ, მწვერვალს მიაღწიონ და შემდეგ იქ გაჩერება შეძლონ.

**- პოპულარობა და ფული თუ ცვლის ფეხბურთელებს ცუდი მხრივ?**

- შეიძლება ვილაცას ცვლის კიდეც, მაგრამ აბა შეხედეთ პოლ სქოულზს, რაიან გიგზსა და გარი ნევილს. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან და მათ წარმატებით შეძლეს ვარსკვლავური სტატუსის სიმძიმესთან გამკლავება. პატარა ბიჭები კი მათ მაგალითზე იზრდებიან.

**- პენსიაზე გასვლის თარიღი თუ გაქვთ გარკვეული?**

- ჯერ არა. 67 წლის ასაკში თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მუშაობის სურვილი და ძალა ჯერ კიდევ მაქვს. 22 წლის განმავლობაში გუნდის ვარჯიშის დაწყებას ყოველდღე მოუთმენლად ველი. დღემდე ტანზე ეკლებს მაყრის, როცა ჩვენი ავტობუსი მეტოქის სტადიონს უახლოვდება. დღემდე მსიამოვნებს, როცა ჩვენს ფანტასტიკურ ახალგაზრდობას ვუყურებ, მაგალითად ისეთებს, როგორებიც არიან ფაბიო და რაფაელ და სილვები.

**- და მაინც რამდენი? კიდევ წელიწადი, ორი თუ სამი?**

- დაახლოებით ამდენი. ვნახოთ...

**- მიმაჩნია, რომ თქვენი კარიერის ღირსეული დასასრული იქნება 2011 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი „უემბლიზე"... ამის შემდეგ შეგეძლებათ მშვიდად მოამზადოთ ბრიტანეთის ნაკრები ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის.**

- ამასაც ვნახავთ. მხარს ვუჭერ ოლიმპიური ნაკრების იდეას, მაგრამ ამან არ უნდა შელახოს ბრიტანეთის შემადგენელი სახელმწიფოების ინტერესები.

**- დაასახელეთ უდიდესი ფეხბურთელი, რომელიც ოდესმე გინახავთ.**

- პელე, დი სტეფანო, მარადონა და კრუიფი.

**- ყველა დროის უდიდესი მწვრთნელი ვინ არის?**

- ჯოკ სტეინი.

**- ვის შეუძლია თქვენი შეცვლა? თუ ფიქრობთ ამაზე?**

- თუკი შემეკითხებიან, ჩემს აზრს გამოვთქვამ, მაგრამ რუხი კარდინალის როლში არასოდეს ვიქნები.

**- და მაინც, ვისი ხილვა გინდათ?**

- ასე გიპასუხებთ: ჯერ არსადაც არ მივდივარ.

**- ვინ არის პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელი? ბუნებრივია, თქვენ შემდეგ...**

- დავასახელებდი არსენ ვენგერს, დევიდ მოიესსა და მარტინ ონილს.

**- შეადგინეთ „მანიუს" ოცნების გუნდი იმ ფეხბურთელთაგან, რომელთაც ოდესმე წვრთნიდით.**

- პრობლემა ის არის, რომ ჩემს ხელში უამრავმა უდიდესმა ფეხბურთელმა გაიარა. ძნელია ვინმეს გამოყოფა.

**- მაშინ ორი გუნდი დაასახელეთ.**

- კარგით. ორი უდიდესი მეკარე - პეტერ შმაიხელი და ედვინ ვან დერ სარი; განაპირა მცველებიდან დენის ირვინი, გარი ნევილი, პატრის ევრა... კიდევ ძმებ და სილვებს დავასახელებდი, ეს ბიჭები რაღაც განსაკუთრებულ ტალანტს ფლობენ; ცენტრალური მცველებიდან ვიტყოდი იააპ სტამს, სტივ ბრუსს, რიო ფერდინანდსა და გარი პალისტერს... მთავარია, არავინ დამავიწყდეს... ნახევარმცველებიდან, რა თქმა უნდა, ბრაიან რობსონს, როი კინს, პოლ სქოულზს, რაიან გიგზს... შემდეგ... როგორ შეიძლება დამავიწყდეს კრისტიანო რონალდო და დევიდ ბექჰემი? ისინიც უმაღლესი კალიბრის ფეხბურთელები არიან. თავდამსხმელებიდან ბევრის დასახელება შეიძლება - ერიკ კანტონა, რუუდ ვან ნისტელროი, ენდი კოული, დუაიტ იორკი, ოლე გუნარ სოლსკიაერი, ტედი შერინგემი და ბოლოს უეინ რუნი. მისი სახელი ახლა რომ დამვიწყებოდა, ინტერვიუს დასრულების შემდეგ აუცილებლად გამოგიგზავნიდით ელექტრონულ ფოსტას და გთხოვდით, რომ ჩაგემატებინათ (იღიმის). ღმერთო ჩემო, რამდენი ვარსკვლავი ჩამოვთვალე. წარმოიდგინეთ, რამდენ უდიდეს ფეხბურთელთან მიმუშავია...

**- ყველაზე დიდი მიღწევა?**

- 1999 წლის სამი ტიტული, განსაკუთრებით კი „ბაიერნთან" შეხვედრის დაუვიწყარი დასასრული ბარსელონაში.

**- ულამაზესი გოლი, რომელიც თქვენს ფეხბურთელებს გაუტანიათ?**

- 1999 წლის ასოციაციის თასის ნახევარფინალში, ბირმინგემის „ვილა პარკზე" გიგზის გოლი „არსენალის" კარში. ეს რაღაც გალაქტიკური მოვლენა იყო.

**- ყველაზე დიდი შეცდომა?**

- იააპ სტამის გაყიდვა. ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

**- ყველაზე დიდი იმედგაცრუება?**

- ვერაფრით მოვახერხე გაზას ხელში ჩაგდება... არადა, ის უდიდესი ტალანტი იყო. დარწმუნებული ვარ, ჩვენთან უდიდეს კარიერას გაიკეთებდა.

**- შეძლებთ თუ არა წელს ხუთივე ტიტულის დაუფლებას?**

- ვერა.

**- ამას სერიოზულად ამბობთ?**

- სათასო ტურნირებში გუნდმა შესაძლებლობების ზღვარზე უნდა ითამაშოს, მაგრამ წარმატებისთვის შეიძლება საკმარისი ეს სულაც არ აღმოჩნდეს. აუცილებელია იღბალიც. უმაღლესი კონცენტრაციისა და იღბლის შერწყმა ყველა ტურნირში არარეალურია. შემიძლია ხმამაღლა ვთქვა, ეს არის საუკეთესო გუნდი, რომელიც ოდესმე მყოლია. ყოველი შეხვედრის დაწყებამდე თავს მშვიდად ვგრძნობ. მივაღწიეთ იმას, რომ დღეს ნებისმიერი გუნდის დაცვას ეშინია ჩვენი თავდასხმის და გაურბის ჩვენს შუა ხაზს. დიახ, ეს დიდ იმედს მაძლევს, რომ ტიტულებს დავეუფლებით, მაგრამ ხუთივეს მოგება მაინც ზედმეტი მგონია.



რიო ფერდინანდი მანჩესტერ იუნაიტედის კაპიტნობას უმიზნებს

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერდინანდი კაპიტანი გახდება

**სერ ალექს ფერგიუსონის** განცხადებით, **რიო ფერდინანდი** ერთ დღეს აუცილებლად გახდება „მანჩესტერ იუნაიტედის" კაპიტანი. ეს მოხდება მას მერე, რაც **გარი ნევილი** და **რაიან გიგზი** კარიერას დაასრულებენ. *„როცა გუნდში ახალი ფეხბურთელი გადმოდის, შეუძლებელია გაარკვიო, შეძლებს თუ არა ის ოდესმე გუნდის კაპიტნობას. წლების განმავლობაში სტაბილური თამაშით ფერდინანდმა დაამტკიცა, რომ ის მზადაა გუნდი აიყოლიოს. ვფიქრობ, ნევილისა და გიგზის შემდეგ გუნდის კაპიტანი სწორედ ის უნდა გახდეს,"* - განაცხადა შოტლანდიელმა.

ფერგიმ კომენტარი გააკეთა ბოლო დღეებში გავრცელებულ ხმებზე, თითქოს მასსა და **უეინ რუნის** შორის კონფლიქტი მოხდა. პირველად ეს „ფაქტი" ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთმა საფეხბურთო ექსპერტმა, „ლივერპულის" ყოფილმა ფეხბურთელმა **მარკ ლოურენსონმა** გაახმაურა. განცხადებას პრესაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. *„ყველამ იცის, რომ „ლივერპულთან" შეხვედრის შემდეგ ფერგიუსონსა და რუნის შორის კონფლიქტი მოხდა. ამის შედეგად ის „ფულჰემთან" მატჩში ძირითად შემადგენლობაშიც ვერ მოხვდა,"* - გაანდო საზოგადოებას თავისი საიდუმლო ლოურენსონმა, ადამიანმა, რომელიც დღემდე მერსისაიდელთა გულშემატკივრად რჩება და ალბათ ამ განცხადებით მცირე არეულობის შეტანა სურდა ჩემპიონთა ბანაკში. *„მსგავსი სისულელე იშვიათად მომისმენია. ვერ გეტყვით, საიდან მოვიდა ეს დამაჯერებელი ტონი და ფრაზა „ყველამ იცის"... მე ნამდვილად არ ვიცოდი, მიუხედავად იმისა, რომ წესით, ჩხუბს უნდა დავსწრებოდი. ეს ადამიანები საკუთარი თავის რეკლამას ეწევიან, მაგრამ ნეტავ ვინმეს თუ აინტერესებს მათი აზრი?"* - „ტელეგრაფის" ფურცლებიდან უპასუხა ელქსლივერპულელს ფერგიუსონმა.

კვირას „ოცნებათა თეატრში" „ასტონ ვილასთან" შეხვედრისას თინეიჯერი გმირი დაიბადა. 17 წლის იტალიელმა **ფედერიკო მაკედამ** მინდორზე ნახევარ საათზე ცოტა მეტი გაატარა და ამ დროის განმავლობაში 75409 გულშემატკივრის მიხიბვლა შეძლო. გარწმუნებთ, მხოლოდ გატანილი გოლი არ იყო ერთადერთი ფაქტორი. პატარა ფეხბურთელი ბრძოლაში ისე ჩაება, წარბიც არ შეუხრია, მანკუნიანელებს კი სწორედ ასეთი ბიჭები მოსწონთ. სწორედ ასეთი იყო კანტო... რასაკვირველია, „ოლდ ტრეფორდის" ლეგენდარულ გმირს არავის ვადარებთ, მაგრამ რა იცით, რა ხდება ხვალ? *„როდესაც აგბონლაორმა მეორე გოლი გაგვიტანა, მაშინაც კი ვიცოდი, რომ შეხვედრის მოგების შანსი კიდევ გვქონდა. კარგად ვთამაშობდით და იმიტომ. ფლეტჩერმა, ქერიკმა და გიგზმა დიდი მატჩი ჩაატარეს. სწორედ მათ აიძულეს გუნდი, შეტევაში წასულიყო. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ზედიზედ ორი წაგების შემდეგ შეხვედრა მოვიგეთ.*

*მაკედამ ბოლო თვეების განმავლობაში მაგრად მოუმატა. ის ფიზიკურად არანორმალურად ძლიერია და არასოდეს იბნევა, როცა მეტოქის კართან ახლოს ბურთს იღებს. ეს თვისება მის ასაკში ძალზე იშვიათია. ვინ იცის, რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს მისი გოლი გუნდისთვის,"* - განუცხადა კაპიტანმა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდს.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ელექტრონული ბიბლიოთეკა


ფელიქს მაგათი

ინტერვიუ

ფელიქს მაგათი

# ბაიერნი კი არ მოვკალი, დავეხმარე!

## დესპოტი ფელიქსი მიიჩნევს, რომ მიწასთან გასწორებით რეკორდმაისტერს კარგი სამსახური გაუწია

**2005 და 2006 წლებში ფელიქს მაგათმა „ბაიერნს“ ოთხი ტიტული მოაგებინა: ორჯერ გერმანიის ჩემპიონობა და ორჯერ გერმანიის თასი. მიუხედავად ამისა, 2007 წლის დასაწყისში ის რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს. ზუსტად ორი წლის შემდეგ, „დესპოტმა ფელიქსმა“ „ბაიერნს“ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში ყველაზე სამარცხვინო მარცხი აგემა: შაბათს, მაგათის გაწვრთნილმა „ვოლფსბურგმა“ ბავარიულ გრანდს 5:1 მოუგო და ბუნდესლიგაში გალიდერდა. ეს იყო ნამდვილი შურისძიება, დაუნდობელი ვენდეტა: მაგათის „მგლებმა“ მიუნხენელები მიწასთან გაასწორეს - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გამოცემა „ველტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში „დესპოტი ფელიქსი“ იმაზე საუბრობს, თუ როგორ დაეხმარა „ბაიერნს“ ამ განადგურებით.**

**- ჰერ მაგათ, კმაყოფილი ხართ?**

- ბოლომდე კმაყოფილი ჯერ არ ვარ. სეზონის დასრულებამდე რვა ტურია დარჩენილი. ასე რომ, ყველაფერი წინ არის. რაც შეეხება უშუალოდ ამ გამარჯვებას, „ბაიერნი“ გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლიდან ჯერ არ გამოთიშულა. ესეც არ იყოს, სულაც არ ვარ ბედნიერი იმით, რომ რეკორდმაისტერს ასეთი დიდი ანგარიშით მოვუგეთ.

**- რას ამბობთ? როგორ შეიძლება, ბედნიერი არ იყოთ იმით, რომ „ბაიერნი“ 5:1 გაანადგურეთ?**

- ბედნიერი პირველ რიგში იმის გამო არ ვარ, რომ ამ გამარჯვების შემდეგ, „ვოლფსბურგს“ ყველა ბუნდესლიგის მთავარ ფავორიტად შერაცხავს.

**- და რა, „ვოლფსბურგი“ ამ ყველაფრის შემდეგ ფავორიტი არ არის?**

- არა! ჩემთვის „ვერცხლის სინის“ მოგების მთავარ ფავორიტებად „ბაიერნი“ და „ჰამბურგი“ რჩებიან. ეს ორი გუნდი გაცილებით უკეთეს სიტუაციაშია, ვიდრე ჩვენ. რეკორდმაისტერს და „ჰამბურგს“ უფრო მარტივი მატჩები დარჩათ.

**- ჰო, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ბაიერნიც“ და „ჰამბურგიც“ ჯერ კიდევ თამაშობენ ევროტურნირებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ბუნდესლიგაზე 100 პროცენტით კონცენტრირება გაუჭირდებათ. განა ეს „ვოლფსბურგისთვის“ პლუსი არ არის?**

- მართალია, მაგრამ გაიხსენეთ: „ბაიერნს“ პირველი წრის პირველ ნახევარშიც ძალიან უჭირდა, მაგრამ ბოლოს ისე მოუმატეს, რომ ლამის შემოდგომის ჩემპიონები გახდნენ. ეს იმის ბრალიცაა, რომ მიუნხენურ კლუბს ბოლო ტურებში გაცილებით მარტივი კალენდარი აქვს, ვიდრე მის კონკურენტებს. „ჰამბურგმა“ კი დაამტკიცა, რომ ამ გუნდს ისეთი თამაშების მოგებაც შეუძლია, სადაც დომინანტის როლში არ არის და ფავორიტად არ მიიჩნევა. ჩვენ მეორე წრეში მართლა ძალიან კარგად ვთამაშობთ, რაც პირველ რიგში იმის დამსახურებაა, რომ დაცვა უფრო სტაბილური გახდა. თავდასხმა პირველ წრეშიც ძალიან კარგად გამოიყურებოდა. ზამთარში დაცვას მივხედეთ და შედეგიც სახეზეა. მაგრამ მე არ ვიცი, როგორ ვითამაშებთ და მივაღწევთ თუ არა წარმატებას იმ შემთხვევაში, თუ გრაფიტე და ჯეკო უცებ გოლების გატანას ველარ მოახერხებენ.

**- ოთხშაბათს „ბაიერნი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ბარსელონას“ სტუმრობს. როგორ ფიქრობთ, მოასწრებს იურგენ კლინსმანი გუნდის მენტალურად მომზადებას ამ განადგურების შემდეგ?**

- დიახ, ვფიქრობ, რომ მოასწრებს. მეტსაც გეტყვით: ჩემი აზრით, „ბაიერნს“ „ბარსელონასთან“ მატჩისთვის ჩვენთან განადგურება ძალიან დაეხმარება. ვფიქრობ, „ვოლფსბურგმა“ რეკორდმაისტერს ამ მხრივ კარგი სამსახური გაუწია: დროზე გამოფხიზლდებიან. კლინსმანსაც შეუძლია, თავის შეგირდებს კიდევ ერთხელ დაელაპარაკოს სერიოზულად.

**- მაინც როგორ მოახერხეთ „ბაიერნის“ ასე გაპამპულება?**

- სიმართლე გითხრათ, შაბათს ღამით თითქმის არ მძინებია. თამაშის ვიდეოჩანაწერს ვუყურე და ფაქტობრივად მთელი ღამე მატჩის დეტალურ გარჩევა-ანალიზში გავატარე. სიმართლე ვთქვა, თვითონაც გამიკვირდა, „ბაიერნი“ ასეთ ცუდ დღეში რომ ჩავაგდეთ. პირველ ტაიმში ბავარიელებმა საკმაოდ კარგად ითამაშეს. შესვენებაზე რომ გავედით, 1:1 იყო და ბიჭებს შესვენების დროს მეტი კონცენტრაციისკენ მოვუწოდე. როგორც წესი, „ბაიერნი“ სწორედ მაშინ ხდება ყველაზე საშიში, როცა ანგარიშს ათანაბრებს. ჩემი აზრით, მიუნხენური გუნდი იმიტომ დავამარცხეთ, რომ მოედანზე ჟოსუეს სახით შესანიშნავი ფეხბურთელი გვყავდა. ეს იყო მისი კარიერის საუკეთესო მატჩი. შესანიშნავად იმუშავა ზვიეზდან მიშიმოვიჩმაც. ამრიგად, ამ ორი ფეხბურთელით მოედნის ცენტრიც მოვიგეთ და ფრანკ რიბერის კონტროლიც გაგვიიოლდა.

**- მოკლედ, ძალიან არ მოგწონთ, როცა „ვოლფსბურგს“ ფავორიტის სტატუსს ანიჭებენ და გერმანიის ჩემპიონობას უწინასწარმეტყველებენ...**

- ჰო, მაგრამ ახლა ამ პროცესს უკვე ველარ შევაჩერებ. სიმართლე გითხრათ, სწორედ ამიტომ ვამბობ, „ბაიერნის“ განადგურება ძალიან არ გამხარებია-მეთქი. გუნდი, რომელიც რეკორდმაისტერს 5:1-ს მოუგებს, ავტომატურად მიიჩნევა უმთავრეს ფავორიტად. ახლა ველარაფერს შევცვლი, ყველა ამბობს, რომ „ვოლფსბურგი“ გერმანიის ჩემპიონობის რეალური კანდიდატია. თუ 34-ე ტურის შემდეგაც პირველ ადგილზე ვიქნებით, აი, მაშინ კი გავიხარებ! ამ შემთხვევაში ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იარსებებს, რადგან გამოჩნდება, რომ მართლაც ძალიან მაგარი მწვრთნელი ვყოფილვარ. ისე, ბუნდესლიგის ეს სეზონი მართლა გამორჩეულად საინტერესოა. სექტემბრიდან არაერთი გუნდი იყო ფავორიტი: „ლევერკუზენი“, „ჰოფენჰაიმი“, „ჰერტა“. ახლა კი, ყველა მათგანი ჩვენ უკანაა. სეზონის ბოლომდე კი რვა ტურია და მაქსიმალურად მეტი მოგება გვჭირდება. მიზანი კი უცვლელია: საუკეთესო ხუთეული!

**- „ბაიერნის“ ფეხბურთელები, ფანები და ხელმძღვანელები გაკრიტიკებენ იმის გამო, რომ მატჩის მიწურულს მეკარე შეცვალეთ. ამბობენ, დაგვცინა, შეურაცხყოფა მოგვაყენაო. ექსპერტებს შორისაც გამოგიჩნდათ კრიტიკოსები...**

- როცა აგებ, ძალიან მგრძნობიარე ხდები და ნევროზს იკიდებ. როდესაც მე „ბაიერნის“ მწვრთნელი ვიყავი, როცა ვაგებდით, იმას კი არ ვუყურებდით, რას აკეთებდა მეტოქე, არამედ ვაანალიზებდით, რაში შევცდით ჩვენ, რა არ გავაკეთეთ სწორად. ანდრე ლენცი ისეთი ფეხბურთელია, რომელიც თითქმის არასდროს ექცევა ყურადღების ცენტრში. ის „ვოლფსბურგის“ სათადარიგო მეკარეა, ბენალიოს შემცვლელი და მხოლოდ მაშინ თამაშობს, როცა ეს უკანასკნელი ტრავმირებული ან დისკვალიფიცირებულია. მე ლენცს ძალიან დიდ პატივს ვცემ, რადგან შესანიშნავი პიროვნებაა. ვარჯიშზე თავს არასდროს ზოგავს და ყოველთვის სამაგალითოა. აი, მომდევნო ტურში ისევ სკამზე უნდა დაჯდეს და ამის გამო ერთხელაც არ დაიწუწუნებს. მე მას შევპირდი, რომ როცა ამის საშუალება მომეცემოდა, აუცილებლად ვათამაშებდი, მაშინაც კი, როცა ბენალიო ჯანმრთელი და უვნებელი იქნებოდა. ცხადია, წინასწარ არ ვიცოდი, რომ ასეთი შანსი „ბაიერნთან“ მატჩში მომეცემოდა. ანდრე ლენცს აუცილებლად გავუგრძელებ კონტრაქტს, რადგან ის „ვოლფსბურგისთვის“ ძვირფასია.

**- თქვენ შური იძიეთ იმისათვის, რაც „ბაიერნის“ შეფებმა 2007 წლის იანვარში გაგიკეთეს...**

- ყოველთვის ვამბობდი, რომ ძალიან დიდ პატივს ვცემ „ბაიერნის“ ხელმძღვანელებს და მათი მუშაობის სტილს. როცა გამათავისუფლეს, ეს გადაწყვეტილება მივიღე. ული ჰიონესს დღესაც ვემადლიერები იმისთვის, რომ მომცა შესაძლებლობა, ორწელიწადნახევარი „ბაიერნში“ მემუშავა. ორჯერ გერმანიის ჩემპიონი გავხდი და ორჯერ მოვიგე გერმანიის თასი. ამისათვის ბოლომდე ჰიონესის მადლიერი ვიქნები. „ბაიერნს“ ცუდს არაფერს ვუსურვებ, პირიქით. რეკორდმაისტერის ცუდი მხოლოდ მაშინ მიხარია, როცა მიუნხენელები ეთამაშებიან გუნდს, რომელსაც მე ვწვრთნი - როგორც ამ შაბათს იყო!

**- ვოლფსბურგის რატუშას დიდი აივანი არ აქვს. ჩემპიონები რომ გახდეთ, სად უნდა უნდა იზეიმოთ ფანებთან ერთად?**

- 2004 წელს „ვოლფსბურგი“ ერთხელ პირველ ადგილზე იყო და მაშინ ული ჰიონესმა თქვა, თუ ეს გუნდი ჩემპიონი გახდება, ქალაქის რატუშას ჩემი საკუთარი სახსრებით მივუშენებ აივანსო. ახლა კი ალბათ იტყვის, რომ მაშინდელ დანაპირებს ვადა დიდი ხანია, გაუვიდა...



გამოვიდა ახალი ნომერი

ბაიერნი

# აზრზე მოდით!

## კლინსმანმა საფრთხე იგრძნო და შეგირდები დაცოფა

როგორც ჩანს, „ვოლფსბურგთან“ განცდილი კატასტროფული მარცხი (1:5) **იურგენ კლინსმანის** მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი გამოდგა. კვირას, სამარცხვინო ნაგებიდან ერთი დღის შემდეგ, „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა შეგირდები „ზებენერშტრასეზე“ დაიბარა, ერთად შეკრიბა და ლექცია წაუკითხა. შეგირდებთან საქმის გარჩევის შემდეგ კი კლინსი მედიის წინაშე წარდგა და ისეთი განცხადებები გააკეთა, როგორიც იურგენისგან „ბაიერნის“ მთავარი მწვრთნელის რანგში აქამდე არასდროს გვსმენია.

*„ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა ფეხბურთელმა კარგად გაიაზროს, სად თამაშობს და რა მნიშვნელობისაა „ბაიერნის“ მაისურით ჩატარებული თითოეული შეხვედრა. აქ საქმე ეხება მიუნხენის „ბაიერნს“, ამ გუნდის აწმყოს და მომავალს. 10 თვე თავდაუზოგავად ვიმუშავე. ფეხბურთელებმა უნდა შეიგნონ, რომ მეც მევსება ხოლმე მოთმინების ფიალა და ახლა სწორედ ის მომენტია, როცა სადამსჯელო ღონისძიებების გატარებაზე ფიქრი სერიოზულად დავიწყე. თითოეულმა მათგანმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აილოს და გუნდისთვის თავი გაწიროს,* - განუცხადა იურგენმა ჟურნალისტებს და არადამჯერ შეგირდებს სეზონის დასრულების შემდეგ გუნდიდან გაშვებით დაემუქრა, - *იმედია, ხვდებიან, რომ ყველაფერს აქვს დასასრული!“*



განრისხებულმა კლინსმანმა შეგირდებს შემოუძახა

კლინსმანმა მედიის წარმომადგენლებს აუხსნა, ფეხბურთელებს ყველაფერი ვუთხარი, რასაც ვფიქრობ და სახლებში იმ იმედით გავუშვი, რომ კარგად დაფიქრდებიან და შექმნილ ვითარებას გააანალიზებენო. „ბილდი“ წერს, რომ „ლექციის“ დროს ყველაზე მეტი 19 წლის ბრაზილიელ მცველ **ბრენოს** მოხვდა, რომელმაც „ვოლფსბურგთან“ ძალიან ცუდად ითამაშა. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნს“ მასში 14 მილიონი ევრო აქვს გადახდილი. „ბილდი“ წერს, კლინსიმ ბრაზილიელ მცველს არაპროფესიონალი უწოდაო. თუ როგორი შედეგი გამოიღო იურგენის ლექციამ, ამას „ბარსელონასთან“ ხვალინდელი მატჩი დაგვანახვებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

მილანი

# შევჩენკოს დარჩენა უნდა



**ანდრეი შევჩენკომ** ბოლო პერიოდში მკვეთრად მოუმატა და გულშემატკივარს თავი კარგი თამაშით დაამახსოვრა. უკრაინელმა ჯერ ეროვნულ ნაკრებში გაიბრწყინა, გაუტანა რა ინგლისის ნაკრებს შესანიშნავი გოლი, შემდეგ კი „მილანშიც" გამოიჩინა თავი და „ლეჩესთან" პაექრობაში ინძაგის დიდებული საგოლე პასი გაუკეთა. შევას ასეთი გამოცოცხლება იტალიურ პრესას გამოძახილის გარეშე არ დაუტოვებია. უკრაინელს უმალ შეეხმიანა „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი და სამომავლო გეგმებზე დაეკითხა. შეგახსენებთ, რომ ანდრეი ლონდონის „ჩელსის" საკუთრებაა და „როსონერიში" იჯარის წესით ასპარეზობს. ხელშეკრულების თანახმად, ხახოლი ინგლისს სეზონის დასრულებისთანავე უნდა დაუბრუნდეს, თუმცა შევას ამის გაგონებაც კი არ უნდა:

*„თავს სულ უფრო და უფრო უკეთ ვგრძნობ და ეს ბოლო თამაშებში ნათლად აისახა. ვფიქრობ, რომ სირთულეები დავძლიე და პროგრესის გზას დავადექი. რაც ყველაზე მთავარია, გოლის გემო გავიხსენე. ჩემი მიზანი „მილანში" თამაშია და ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომავალ სეზონშიც „როსონერიში" ვიასპარეზო. მადლობა მინდა გადავუხადო გულშემატკივრებს, რომლებმაც მხარი დამიჭირეს და ჩემი გუნდში დარჩენის სურვილი სიმღერით გამოხატეს. არავითარი სურვილი არ მაქვს მეორეჯერ გადავდგა არასწორი ნაბიჯი და იტალია კიდევ ერთხელ დავტოვო. იმედია, კლუბები მოილაპარაკებენ და კარიერას „როსონერიში" გავაგრძელებ".*

ინტერი

# ადრიანო არ ჩანს

## კაკამ თანამემამულე დაიცვა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის შეხვედრები გასულ კვირას სამხრეთ ამერიკაშიც გაიმართა. თავისი თამაშები ჰქონდა ბრაზილიის ნაკრებსაც და ბუნებრივია, ევროპაში მოასპარეზე პენტაკამპეონებმა სელესაოს მიაშურეს. მათ შორის გახლდათ „ინტერის" თავდამსხმელი ადრიანო, რომელიც ბოლო ხანს თითქოს დაჭკვიანდა და დისციპლინასაც აღარ არღვევდა. თუმცა, „კუზიანს სამარე გაასწორებსო", ასეა იმპერატორის საქმე. სანაკრებო დღეების შემდეგ, ადრიანო მილანში არ დაბრუნებულა და მისი ალი-კვალი დღემდე არავინ იცის. „ნერაძურის" მესვეურებმა უკვე გააკეთეს განცხადება, რომ ბრაზილიელს უმკაცრესად დასჯიან. **ჟოზე მოურინიო** კი უფრო შორს წავიდა და ფეხბურთელს გუნდიდან გაგდებით დაემუქრა. მართლაც დიდია შანსი იმისა, რომ ადრიანომ იტალიური კარიერა ამ საქციელით დაასრულოს.

ამ ამბავს, გუშინ **„მილანის"** ლიდერი **კაკა** გამოეხმაურა და თანამემამულის გამხნევება გადაწყვიტა: *„სანაკრებო შეკრებაზე ადრიანოს არაერთხელ ვესაუბრე და გაკვირვებული ვარ იმით, რაც მოხდა. ადრიმ მითხრა, რომ ბოლო დროს „ინტერში" საქმეები კარგ მისდის და რომ ყველა გაუგებრობა წარსულს ჩაჰბარდა. ისიც მითხრა, რომ რამდენიმე დღით შვებულება აილო და რომ მილანში ჩვენთან ერთად ვერ გამოემგზავრებოდა. სიმართლე გითხრათ, შუა სეზონში შვებულების ამბავმა გამაკვირვა, მაგრამ აღარ ჩავძიებივარ და გამოვემშვიდობე. იმედი მაქვს, ადრიანო მალე დაბრუნდება მილანში და სერია A-ში კიდევ დიდხანს ითამაშებს".*



რიკის ამ განცხადების შემდეგ, იტალიელი ჟურნალისტები **მასიმო მორატის** შეეხმიანენ და ჰკითხეს, ჰქონდა თუ არა ადრიანოს რამდენიმედღიანი შვებულება. მოვუსმინოთ „ნერაძურის" პრეზიდენტს:

*„ადრიანოსთვის რომ შვებულება მიგვეცა, მის წინააღმდეგ სანქციებს რატომ გავატარებდით? ნუთუ ვგავართ არანორმალურებს? ბრაზილიელმა დასვენება თვითონ გამოიწერა, რისი ახსნაც ძალიან მიჭირს. სამწუხაროდ, ბრაზილიელი ვერ დაჭკვიანდა და კვლავაც არღვევს დისციპლინას. რით დასრულდება მისი ახალი ოინი, ძნელი სათქმელია".*


თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი
მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

სერია A



იუვენტუსი-კიევო. ამ თამაშის შემდეგ ტურინელთა საჩემპიონო შანსები მინიმუმამდე დავიდა

# მოურინიო გაშიფრულია

იტალიის სერია A-ს გასულ ტურში, საჩემპიონო ინტრიგა თითქმის მოკვდა. „ინტერმა" მდევართან" სხვაობა კიდევ ორი ქულით გაზარდა და ამით, ყველაზე ოპტიმისტი „იუვენტუსის" ტიფოზებიც კი პესიმისტურად განაწყო. „ვეკია სენიორამ" ყველასათვის მოულოდნელად, საკუთარ კედლებში „კიევო" ვერ დაამარცხა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. ტურინში ორი ქულის დაკარგვა მტკივნეულად განიცადეს, რაც არცაა გასაკვირი, ბოლო დღეებში ხომ სწორედ „იუვენტინოები" ბაქიბუქობდნენ ყველაზე მეტად და ამტკიცებდნენ, რომ სკუდეტოს მოპოვება კვლავაც შეუძლიათ.

„ინტერს" და „იუვეს" შორის სხვაობა ცხრა ქულაა და ეს მაშინ, როდესაც ჩემპიონატის დასრულებამდე მხოლოდ რვა ტურია დარჩენილი. მიუხედავად ამისა, **კლაუდიო რანიერი** იხტიბარს არ იტეხს და საჩემპიონო რბოლას დასრულებულად ჯერ არ მიიჩნევს:

*„პირველ ტაიმში ძალიან ცუდად ვითამაშეთ, რისი მიზეზების ახსნაც ძალიან მიჭირს. გუნდი საბრძოლო განწყობით გავიდა მოედანზე და დარწმუნებული ვიყავი, რომ სამ ქულას მოვიპოვებდით. მეორე ნახევარში, თამაშის ხარისხი გამოვასწორეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ბოლო წუთებზე კონცენტრაციის დაკარგვა ძალიან ძვირად დაგვიჯდა და მომავალში ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. საჩემპიონო ინტრიგა ჯერ ცოცხალია და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მდგომარეობა კიდევ უფრო გავირთულეთ, თუმცა იმედი არსებობს და ამ იმედისთვის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ. წინ რვა ტურია და მდგომარეობის გამოსწორების შანსი კიდევ არსებობს. ერთი შეხვედრა „ინტერთან" გვაქვს დარჩენილი და ის მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ეს იქნება ბრძოლა ექვსი ქულისთვის. პირადად მე, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და საბოლოო გამარჯვების ჯერ კიდევ მჯერა".*

რანიერის ოპტიმიზმი შეგირდებისთვის გადამდები არ აღმოჩნდა, ამაზე **ვინჩენცო იაკვინტას** სიტყვებიც მოწმობს:

*„თავს ვერ მოვიტყუებთ, ფაქტია, რომ უმნიშვნელოვანესი ქულები დავკარგეთ და სკუდეტოს მოპოვების შანსი ფაქტობრივად ხელიდან გავუშვით. ბოლო წუთებზე მეტი ყურადღებით გვმართებდა თამაში, რომ ასეთი რამ არ დაგვმართვოდა. „კიევომ" შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და ქულა დამსახურებულად აილო. ჩვენ კი დარჩენილი შეხვედრები მაღალ დონეზე უნდა ვითამაშოთ და ქულათა მაქსიმუმის აღებას ვეცადოთ".*

ტურინში უხასიათოდ არიან და ამაში მთავარი დამნაშავე **სერჯო პელისიერი** გახლავთ. „კიევოს" ცენტრფორვარდმა თვით **ჯიჯი ბუფონს** გაუტანა სამი გოლი და ტურის უდავო გმირად იქცა. მატჩის შემდგომ, პელისიერი ემოციებს ვერ მალავდა:

*„დიდებული საღამო იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერი გამოგდის. ბუფონისთვის სამი გოლის გატანას ბევრი მთელი კარიერის განმავლობაში ვერ ახერხებს, მე კი ეს ერთ თამაშში შევძელი. ჯიჯი მსოფლიოს უძლიერეს მეკარედ მიმაჩნია და ამ ფაქტს ამადაც ვუსვამ ხაზს. ჩვენი მიზანი სერია A-ში ადგილის შენარჩუნებაა და ამ საქმეში ტურინული ქულა დიდად შეგვეწევა. მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და მომავალშიც ასე გავაგრძელოთ".*

მილანში კი უკვე სკუდეტოს ელოდებიან. „ნერაძურის" ტიფოზები დარწმუნებულნი არიან, რომ იტალიის ჩემპიონი კვლავაც მათი სათაყვანებელი გუნდი გახდება. „უდინეზესთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ჩრდილოეთის დედაქალაქის შავ-ლურჯ ნაწილში სწორედ ასეთი განწყობაა, თუმცა ყველასათვის მოულოდნელად, ამ ეიფორიას არ შეურთდა **ჟოზე მოურინიო**. პორტუგალიელმა სპეციალისტმა თავი დაიზღვია და ქომაგებს სიმშვიდისკენ მოუწოდა:

*„ზეიმი ძალიან ადრეა და გთხოვთ, მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ. ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კარგი იქნება თუ დარჩენილ შეხვედრებზე კონცენტრაციის უმაღლეს ხარისხს შევინარჩუნებთ. „იუვენტუსმა" მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს დასასრულს. აქვე, უნდა ვაღიარო, რომ „უდინეზესთან" პაექრობაში ძალიან გაგვიმართლა. მეტოქემ არაერთი შანსი გაუშვა ხელიდან, ჩვენ კი ნახევარი მომენტი გამოვიყენეთ და სამი ქულა ავიღეთ. თანაც, კვალიარელაზე უხეშობისთვის მსაჯს შეეძლო ჩვენს კარში თერთმეტმეტრიანი დაენიშნა. ბრმა არ ვარ და როდესაც ვხედავ, რომ არბიტრი ჩვენს სასიკეთოდ ცდება, ამის აღნიშვნა პრობლემას არ წარმოადგენს".*

მოურინიოსგან ასეთი კომენტარის მოსმენა მართლაც უჩვეულოა. იტალიელი ჟურნალისტები თვლიან, რომ ჟოზეს ასეთი გარდასახვა ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ პირენეელი თავს მშვიდად გრძნობს. „იუვეს" წაფორხილების შემდეგ, „ინტერის" ჩემპიონობა პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია და ეს ყველაზე კარგად სწორედ მოურინიოს ესმის.

ფიორენტინა

# მუტუს თვეზე მეტი გამოუწერეს



გასულ კვირას, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ეგიდით, რუმინეთის ნაკრები სერბეთის უმთავრეს გუნდს დაუპირისპირდა. ამ შეხვედრაში მარცხენა მუხლის ტრავმა მიიღო ფლორენციის „ფიორენტინას" თავდამსხმელმა **ადრიან მუტუმ**. „ვიოლას" წამყვან ფორვარდს რომში ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც დადგინდა, რომ ფეხბურთელს თვეზე მეტხანს მოუწევს მკურნალობის კურსის გავლა. აი რა წერია, „ფიორენტინას" ოფიციალურ ვებგვერდზე:

*„ოპერაცია წარმატებით დასრულდა და ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს. თუმცა, მოედანზე დაბრუნებას კარგა ხანს ვერ შეძლებს. ექიმ ჯამპაოლო მარიანოს თქმით, მუტუს სარეაბილიტაციო კურსი დაენიშნება, რომელიც 30-დან 40 დღემდე იქნება გაწერილი".*

ფლორენციული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ჩეზარე პრანდელი** მუტუს მოსაკლისებით შეშფოთებულია, თუმცა ოპტიმიზმს ინარჩუნებს და აცხადებს, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება რუმინელის გარეშეც შეუძლიათ. შეგახსენებთ, რომ „ვიოლა" მეოთხე ადგილისთვის ბრძოლაში „ჯენოას" და „რომას" უწევს კონკურენციას.

გვერდი მოამზადა
ლაშა წიკლაურმა

## უცხოური ფეხბურთი

William HILL
უილიამ ჰილის კოეფიციენტები

**ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინ. I მატჩები**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Man Utd-Porto | 1.36 | 3.75 | 8.00 |
| 7 Apr 09 | Villarreal-Arsenal | 2.60 | 2.80 | 2.60 |
| 8 Apr 09 | Barcelona-Bayern | 1.40 | 3.75 | 7.00 |
| 8 Apr 09 | Liverpool-Chelsea | 2.20 | 2.80 | 3.20 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Sheff Utd-Barnsley | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 7 Apr 09 | Watford-Southampton | 1.80 | 3.40 | 3.60 |
| 7 Apr 09 | C Palace-Coventry | 1.91 | 3.20 | 3.50 |
| 8 Apr 09 | Cardiff-Derby | 1.73 | 3.40 | 4.00 |

**ინგლისი. I ლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Hereford-Brighton | 2.15 | 3.40 | 2.75 |
| 7 Apr 09 | Leyton Orient-Leeds | 3.30 | 3.25 | 1.95 |

**ინგლისი. II ლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Chesterfield-Lincoln | 1.80 | 3.30 | 3.75 |
| 7 Apr 09 | Barnet-Rotherham | 2.50 | 3.25 | 2.40 |
| 7 Apr 09 | Darlington-Wycombe | 2.30 | 3.25 | 2.60 |
| 7 Apr 09 | Port Vale-Aldershot | 2.25 | 3.25 | 2.70 |

**ინგლისი. კონფერენცია**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Altrincham-Eastbourne | 2.25 | 3.25 | 2.70 |
| 7 Apr 09 | Forest Green-Kidderminster | 2.70 | 3.25 | 2.25 |
| 7 Apr 09 | Kettering-Barrow | 1.53 | 3.60 | 5.00 |
| 7 Apr 09 | Mansfield-Ebbsfleet United | 1.83 | 3.40 | 3.50 |
| 7 Apr 09 | Northwich-Woking | 2.40 | 3.40 | 2.40 |
| 7 Apr 09 | Stevenage-Cambridge Utd | 2.30 | 3.25 | 2.60 |
| 7 Apr 09 | Wrexham-Histon | 2.25 | 3.25 | 2.70 |
| 7 Apr 09 | York-Oxford | 2.70 | 3.30 | 2.20 |
| 9 Apr 09 | Ebbsfleet United-Kidderminster | 2.40 | 3.40 | 2.40 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 8 Apr 09 | Celtic-Falkirk | 1.17 | 5.50 | 12.00 |
| 8 Apr 09 | St Mirren-Rangers | 6.00 | 3.75 | 1.44 |

**შოტლანდია. I დივიზიონი**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | St Johnstone-Dunfermline | 1.73 | 3.40 | 4.00 |

**შოტლანდია. III დივიზიონი**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Forfar-Dumbarton | 2.30 | 3.40 | 2.50 |

**ირლანდია. პრემიერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Cork-Drogheda | 1.53 | 3.50 | 5.50 |
| 7 Apr 09 | Dundalk-Shamrock Rovers | 2.25 | 3.10 | 2.80 |
| 7 Apr 09 | Galway Utd-Bohemians | 3.75 | 3.30 | 1.80 |
| 7 Apr 09 | St Patricks-Derry | 2.25 | 3.10 | 2.80 |
| 7 Apr 09 | Sligo Rovers-Bray | 1.83 | 3.20 | 3.75 |

**რუმინეთი**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Gloria Bistrita-Farul Constanta | 1.60 | 3.40 | 4.90 |
| 7 Apr 09 | Gloria Buzau-Unirea Urziceni | 7.50 | 4.00 | 1.35 |
| 7 Apr 09 | Poli Iasi-CFR Cluj | 3.30 | 3.10 | 2.00 |
| 7 Apr 09 | Pandurii-Steaua Bucharest | 3.30 | 3.10 | 2.00 |
| 8 Apr 09 | Otopeni-FC Brasov | 2.75 | 2.90 | 2.40 |
| 8 Apr 09 | Gaz Metan Medias-Arges Pitesti | 2.00 | 3.20 | 3.20 |
| 8 Apr 09 | Vaslui-Otelul Galati | 1.50 | 3.50 | 5.80 |
| 8 Apr 09 | Rapid Bucharest-Poli Timisoara | 1.90 | 3.10 | 3.60 |
| 8 Apr 09 | Uni Craiova-Din. Bucharest | 2.55 | 3.10 | 2.45 |

**უელსი. პრემიერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 7 Apr 09 | Carmarthen-Llanelli | 3.30 | 3.30 | 1.91 |
| 7 Apr 09 | Aberystwyth-Haverfordwest | 2.15 | 3.25 | 2.87 |

**საბერძნეთის თასი**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 8 Apr 09 | Olympiacos-Asteras Tripolis | 1.30 | 4.50 | 10.00 |
| 8 Apr 09 | Panserraikos-AEK Athens | 4.75 | 3.10 | 1.80 |

**სერბეთი. სუპერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 8 Apr 09 | Banat-Hajduk Kula | 2.00 | 2.90 | 3.60 |
| 8 Apr 09 | Cukaricki-Vojvodina | 2.70 | 2.90 | 2.45 |
| 8 Apr 09 | Jagodina-OFK Belgrade | 2.20 | 2.70 | 3.35 |
| 8 Apr 09 | Napredak-Javor | 2.10 | 2.90 | 3.30 |
| 8 Apr 09 | Rad-Borac Cacak | 2.00 | 2.80 | 3.75 |
| 8 Apr 09 | Partizan-Red Star | 1.95 | 2.90 | 3.75 |

**სლოვაკეთი. სუპერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 8 Apr 09 | Ruzomberok-Zilina | 3.10 | 3.00 | 2.15 |
| 8 Apr 09 | Banska Bystrica-Art. Petrzalka | 2.75 | 3.10 | 2.30 |
| 8 Apr 09 | Dubnica-Zlate Moravce | 1.55 | 3.50 | 5.20 |
| 8 Apr 09 | Dunajska Streda-Tatran Presov | 1.90 | 3.15 | 3.60 |
| 8 Apr 09 | FC Kosice-Nitra | 1.75 | 3.20 | 4.20 |
| 8 Apr 09 | Slovan Bratislava-Spartak Trnava | 1.50 | 3.50 | 5.80 |

**უეფას თასი 1/4 ფინალი. I მატჩები**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 9 Apr 09 | Shakhtar Donetsk-Marseille | 1.83 | 3.20 | 3.75 |
| 9 Apr 09 | Hamburg-Man City | 1.95 | 3.10 | 3.50 |
| 9 Apr 09 | Paris S.G.-Din. Kiev | 2.10 | 3.00 | 3.20 |
| 9 Apr 09 | Werder Bremen-Udinese | 1.67 | 3.30 | 4.50 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 9 Apr 09 | Greuther Furth-Hansa Rostock | 1.50 | 3.60 | 5.50 |
| 9 Apr 09 | Ingolstadt-Wehen | 1.73 | 3.40 | 4.00 |
| 9 Apr 09 | Oberhausen-Nurnberg | 2.62 | 3.20 | 2.30 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| თარ | წყვილი | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 9 Apr 09 | Basel-Neuchatel Xamax | 1.30 | 4.33 | 8.00 |
| 9 Apr 09 | Luzern-Vaduz | 1.85 | 3.30 | 3.50 |
| 9 Apr 09 | Sion-Zurich | 3.60 | 3.30 | 1.83 |

ილია ნიკოლაიშვილი წარმოგიდგენთ

სამხრეთამერიკული ფეხბურთი

### იქ, დასავლეთ ნახევარსფერო...

ბიბლიოთეკა

# ხალხი მარადონას წინააღმდეგ

## გულშემატკივრები დიეგოს გადადგომას ითხოვენ



გასულ ოთხშაბათს არგენტინის ნაკრებს დიდი უსიამოვნება შეემთხვა. უსიამოვნება რბილი ნათქვამია, ამას კატასტროფა უფრო ჰქვია. მოგეხსენებათ, ალბისელესტემ 2010 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო რაუნდში ბოლივიასთან გასვლითი შეხვედრა დიდი ანგარიშით 1:6 წააგო. დაგვეთანხმებით, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უპირველესი გრანდის ასეთი ანგარიშით წაგება უდიდესი მოულოდნელობა იყო. მათ შორის, **დიეგო მარადონასთვისაც**. ლეგენდარულმა ფეხბურთელმა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე ბოდიშები იხადა, მაპატიეთ, გულში ექვსი ჭრილობა მომაყენეს, ცოცხალ-მკვდარი ვარ, ეს რა საშინელება მოგვივიდაო. დიეგოს სულ ტყუილად ეგონა, რომ ამ სენტიმენტალური განცხადებით გულაჩუყებულ ხალხს ყველაფერი დაავიწყდებოდა და მთავარ მწვრთნელს ცოდვებს შეუნდობდა. არგენტინელები იმდენად შეურაცხყოფილი დარჩნენ, მარადონას დამსახურებები ფეხებზე დაიკიდეს და ცოცხალ ლეგენდას ღიად დაუპირისპირდნენ. როცა დაპირისპირებაზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ, რომ დიეგოს მთელი ქვეყანა და ყველა გულშემატკივარი აუმხედრდა. უბრალოდ, ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე მისი დანიშვნიდან პირველად მასშტაბური პროპაგანდა აგორდა. საზოგადოების ერთი ნაწილი ეროვნული გუნდის დამრიგებლის დაუყოვნებლივ წასვლას ითხოვს.

მსგავს სიტუაციებში როგორც ყოველთვის ათასგვარ სოციოლოგიურ გამოკითხვას ატარებენ ხოლმე. ასე მოხდა ამჯერადაც. ერთ-ერთი საგულშემატკივრო საიტის მიერ მოწყობილ გამოკითხვაში 23 545 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. საიტის მონაცემებით, გულშემატკივრების 38 პროცენტი მიიჩნევს, რომ მარადონა გამოუცდელი სპეციალისტია და ნაკრებს სიკეთეს ვერ მოუტანს. ისინი მის დაუყოვნებლივ წასვლას ითხოვენ. მხოლოდ გულშემატკივრებში რომ იყოს საქმე, სიტუაცია უფრო მშვიდი და უწყინარი იქნებოდა, მაგრამ მარადონას ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანიც აუმხედრდა. მოდით, ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ და სიტუაცია ქრონოლოგიურად მიმოვიხილოთ. გულშემატკივრების საიტზე გამოქვეყნებული გამოკითხვის გახმაურების შემდეგ ბუენოს აირესის რადიოს თანამშრომლებმა მარადონასთან დაკავშირება და მისი კომენტარის ჩაწერა შეძლეს. დიეგო ინჩასების გულისწყრომას გაგებით ეკიდება, თუმცა აცხადებს, რომ თანამდებობიდან წასვლის არანაირი მიზეზი არ აქვს:

*„არა მგონია, ბოლივიასთან წაგება მთელ მსოფლიოში ჩემზე მეტად ვინმეს განეცადა. ეს უბრალოდ გამორიცხულია. ტყულად არ მითქვამს, რომ გულში 6 იარა მომაყენეს. უკვე რამდენიმე დღეა გულის საშინელი ტკივილი მაწუხებს. არ ვაჭარბებ. ბოლივიასთან მარცხი ტრაგიკულად განვიცადე, მაგრამ მე ის ადამიანი არ ვარ, რომელიც სასოწარკვეთილებაში ჩავარდება და გამოსავალს ვერ იპოვის. ალბისელესტეს ამ რთული მდგომარეობიდან სწრაფად გამოსვლის უნარი შესწევს. ამისათვის ერთიანობაა საჭირო. როცა საქმე რთულდება, ქიშპობით პრობლემები კიდევ უფრო ღრმავდება. მე არ ვითხოვ, რომ ყველას ვუყვარდე ან მაფასებდეს. უბრალოდ, ჩვენ ყველა ერთად არგენტინის ინტერესებს ვემსახურებით. ახლა მთავარია, დაშვებული შეცდომების სწორი ანალიზი გავაკეთოთ და ხარვეზები აღმოვფხვრათ. მე, როგორც მთავარი მწვრთნელი, მზად ვარ, ყველაფერზე პასუხი ვაგო, მაგრამ ჩემი გადაყენების მოთხოვნა გაუმართლებლად მიმაჩნია“.*

### დიეგოს ბილარდო ფეხებზე ჰკიდიაო

ამასობაში მარადონასთან დაკავშირებით კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. არგენტინულ პრესაში ინტენსიურად წერენ, რომ დიეგო გუნდის მენეჯერ, **კარლოს ბილარდოსთან** არანაირ კონსულტაციას არ აწარმოებს. „დიარიო ოლეს“ მტკიცებით, ბილარდო მარადონასთვის ცარიელი ადგილია. არადა, სახელგანთქმული სპეციალისტი ალბისელესტეში სწორედ მთავარი მწვრთნელის დასახმარებლად მიიყვანეს. გემახსოვრებათ, მარადონა მის თანაშემწედ **ოსკარ რუჯერის** დანიშვნას ითხოვდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ის რამდენიმე კვირის დანიშნული იყო, როცა თანამდებობიდან გადადგომით დაიმუქრა, თუ რუჯერის არ მომიყვანთ, მწვრთნელის პოსტს დავტოვებო. მოგვიანებით მან პოზიცია შეიცვალა და დასძინა, რუჯერის ამბავი აღარ მაინტერესებს, სულ ერთია, დანიშნავენ თუ არა მას, ნებისმიერ შემთხვევაში ვიმუშავებო.

ასე იყო თუ ისე, დიეგოს „მეთვალყურედ“ კარლოს ბილარდო დანიშნეს. როგორც მოგახსენეთ, არგენტინელი ჟურნალისტები ამ ორ ადამიანს შორის განხეთქილებაზე წერენ. გახმაურებულ თემას არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტის, **ხულიო გრონდონას** ვაჟი, **უმბერტო გრონდონა** გამოეხმაურა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მის ხმამაღალ, თამამ და თავხედურ განცხადებას ბევრი არ ელოდა:

*„მე ზუსტად არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ თუ მარადონა ბილარდოს ყურადღებას არ აქცევს და იგნორირებას უკეთებს, მაშინ იდიოტი ყოფილა. დიეგოს არ უნდა შერცხვეს იმის აღიარება, რომ კარლოსი მასზე ბევრად გამოცდილი და მცოდნე მწვრთნელია. საფეხბურთო ასოციაციამ ეს ტანდემი მარტივი მოტივაციით დანიშნა. ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა და ალბათ, ახლაც აქვს, რომ ბილარდო და მარადონა წარმატებით ითანამშრომლებენ. მე რომ ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელი ვიყო და მენეჯერად მენოტი ან ბილარდო დამინიშნონ, ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი. არ ვიცი, მართლა იდიოტი უნდა იყო, ასეთი გამოცდილების მიღებაზე უარი თქვა. იმედია, პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ჭორია და არა სინამდვილე. გული დამწყდება, დიეგო ასე პრიმიტიულად რომ იქცეოდეს“.*

ისევ არგენტინულ პრესას დავესესხებით და გეტყვით, რომ საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტის შვილის ასეთი თამამი განცხადება ჟურნალისტებმა მთავარი მწვრთნელი წინააღმდეგ მასშტაბური პროპაგანდის დაწყებად აღიქვეს. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ბოლივიასთან განცდილი კატასტროფა ხულიო გრონდონამ პირად შეურაცხყოფად მიიღო და მარადონას გაშვებაზე სერიოზულად დაფიქრდა. მას, რა თქმა უნდა, ძალიან მარტივად შეუძლია ეს განცხადება მიიღოს, უბრალოდ, ბრძანება დაწეროს და ალბისელესტეს მთავარი მწვრთნელი სახლში გაუშვას, თუმცა გაცილებით მომგებიანი იქნება, თუ პრეზიდენტი საზოგადოებაში მარადონას საწინააღმდეგო განწყობას შექმნის და ლეგენდარულ ადამიანს ხალხის დახმარებით გაათავისუფლებს.

გუშინ სალამოს ბუენოს აირესის რადიომ თავად კარლოს ბილარდოს განცხადება გაავრცელა. ძნელი სათქმელია, ცნობილი სპეციალისტი გულწრფელად საუბრობს თუ პოლიტიკურად კორექტულ სიტუაციას ქმნის, მაგრამ ფაქტია, ბილარდომ მდგომარეობის განმუხტვა და საზოგადოებაში არსებული ვნებათაღელვის დაცხრომა სცადა:

*„გულწრფელად გეტყვით, პრესის მიერ ატეხილი აჟიოტაჟი აბსოლუტურად გაუმართლებლად და მიულებლად მიმაჩნია. მე არ მესმის, ეს რაში სჭირდებათ. ასეთი საუბრით მხოლოდ და მხოლოდ ალბისელესტე ზარალდება. მე და მარადონას კარგი ურთიერთობა გვაქვს. ძალაუნებურად შთაბეჭდილება მექმნება, რომ აჟიოტაჟი ბოლივიაში განცდილი კრახის შემდეგ ატყდა. ყოველ შემთხვევაში მანამდე არავინ ამბობდა, დიეგოს ბილარდო ფეხებზე კიდიაო. მთავარმა მწვრთნელმა თავად აღიარა, შევრცხვით და ქომაგებს გული ვატკინეთო. ეს მართლაც სამარცხვინო მატჩი იყო, მაგრამ ტრაგედია არ მომხდარა. 3600 მეტრის სიმაღლეზე თამაში იოლი არ არის. წაგებას ობიექტური მიზეზები ჰქონდა. მთავარია, რომ ლა პასში 3 ქულის დაკარგვის მიუხედავად 2010 წლის მუნდიალზე თამაშის შანსი არ დაგვიკარგავს“.*

### ჩილავერტს რაღა უნდა?!

წარსულში ცნობილი პარაგვაელი გოლკიპერი **ხოსე ლუის ჩილავერტი** არამკითხე მოამბესავით გამოხტა და მარადონას ლაფი ესროლა. ჩილავერტმა ასუნსიონელ ჟურნალისტებს ისეთი რამე უთხრა, მარადონასთვის თვალებში შეხედვის უნდა შერცხვესო. თუმცა მთავარია, ადამიანი საკუთარ სინდისთან იყოს მართალი და მოსაზრებები ღიად გამოხატოს. ჩილავერტი სწორედ ასე მოიქცა:

*„არგენტინის ნაკრები მარადონასთვის მეტისმეტად დიდი გუნდია. არ ვიცი, შეიძლება გაუნათლებელი ვარ, მაგრამ არ მახსენდება პრეცედენტი, როცა სრულიად გამოუცდელ სპეციალისტს პირდაპირ ასეთი დიდი ნაკრების თავკაცად ნიშნავენ. მარადონას არგენტინის ეროვნული გუნდის მწვრთნელობა თამაში ეგონა. თანაც სადებიუტო 3 შეხვედრაში მოპოვებულმა გამარჯვებებმა ის ეიფორიაში ჩააგდო. დიეგოს თავი მსოფლიო მბრძანებელი ეგონა, მაგრამ ბოლივიაში ცხვირი წაიმტვრია. ჩემი აზრით, არგენტინის საფეხბურთო ასოციაციამ სერიოზული შეცდომა დაუშვა. ამ კაცის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა არ შეიძლებოდა. ეს ჯერ კიდევ არაფერია. აი, ნახავთ, ალბისელესტე ბუენოს აირესშიც განადგურდება და ამის შემდეგ ყველა მიხვდება, რომ დიეგო სასწრაფოდ უნდა გადააყენონ“.*

ჩილავერტის შეურაცხმყოფელ სიტყვებს მარადონას სიძემ, **სეხიო აგუერომ** მადრიდიდან უპასუხა:

*„ძალიან ვწუხვარ, რომ ჩვენი ეროვნული გუნდის გარშემო ასეთი არაჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა. როგორც ვხედავ, ახლა ემოციები ჭარბობს და ხალხს ამბიციები ალაპარაკებს. არგენტინელების წუხილი, რა თქმა უნდა, გასაგებია, მაგრამ არ მესმის, ჩილავერტს რა ჯანდაბა უნდა. ალბისელესტეს ბედი და მარადონას კრიტიკა მისი საქმე არ არის. არ ჯობია, ყველამ საკუთარ პრობლემებს მიხედოს? დიეგო საკუთარი შრომითა და ნიჭიერებით დაამტკიცებს, იმსახურებს თუ არა არგენტინის გაძღოლას. კარგი იქნება, თუ საზოგადოება დამშვიდდება და არგენტინის ნაკრებს სახიფათო აჟიოტაჟისგან გაათავისუფლებს“.*

ფიგურული ციგურაობა

*ინტერვიუ ირაკლი ჯაფარიძესთან*

# ერთი გასროლით ორი ლიცენზია და სხვა სიკეთეებიც...

რამდენიმე დღეა, რაც ლოს-ანჯელესში დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ჩვენი ინტერესი ფორუმისადმი განსაკუთრებული იყო, რადგანაც ელენე გედევანიშვილიც ასპარეზობდა და ბოლო ხანებში შელახული ავტორიტეტის აღდგენის შანსი ჰქონდა. მსოფლიოს ჩემპიონატამდე სამიოდე კვირით ადრე ელენემ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც ისრიალა, სადაც მეექვსე ადგილზე გავიდა და, მართალია, ცუდი შედეგი არ ეთქმოდა მიღწეულს, მაგრამ მეტი გვსურდა... ევროპის ჩემპიონატის წინ მკითხველი საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტს, ირაკლი ჯაფარიძეს შევახვედრეთ. პრეზიდენტმა დაუფარავად და მკაცრად ისაუბრა პრობლემების შესახებ, თუმცა იმედოვნებდა, რომ გარკვეული ცვლილებები იყო საჭირო და შედეგებიც მოვიდოდა. პრეზიდენტი არ შემცდარა... დღეს კვლავ მას ვსტუმრობთ და განვლილი ორი დიდი ასპარეზობისა და ელენეს პროგრესის შესახებ აზრის გაზიარება ვთხოვეთ.



- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ელენესთვის მწვრთნელი შეგვეცვალა. ასეც მოხდა და ახლა გედევანიშვილს ორი მწვრთნელი ჰყავს, ორივე ამერიკელია და საკმაოდ დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობენ საციგურაო წრეებში - ელენ ზაიკი და რობინ ვაგნერი ავარჯიშებენ ქართველს. მსოფლიოს ჩემპიონატამდე ელენ ზაიკი ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე ახლდა ელენეს და იქვე გამოჩნდა, რომ მუშაობა სწორი გზით მიდიოდა. მოკლე პროგრამაში გედევანიშვილმა მშვენივრად ისრიალა და პირველ ადგილზეც იყო, თუმცა შემდეგ ტრადიციულად მოეცარა ხელი. ნებისმიერი პროგრამის შესრულების დროს, - რამდენიმე შეცდომა დაუშვა და მეექვსე ადგილამდე ჩამოქვეითდა. პროგრესი კი შევნიშნეთ, მაგრამ ბოლომდე არ იყო მზად მაღალი მიზნებისთვის. მსოფლიოს ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში ვიმედოვნებდით მოძლიერებას და ის, რაც ლოს-ანჯელესში ვიხილეთ, უკმაყოფილების საბაბს არ გვიტოვებს - მეათე ადგილი ძალიან კარგი შედეგია. შეგახსენებთ, რომ ელენეს საუკეთესო შედეგი მსოფლიოს ჩემპიონატებში მეთოთხმეტე ადგილია, ხოლო ოლიმპიურ თამაშებზე მეათე იყო. მისი პოტენციალიდან გამომდინარე, ამ ოთხი წლის განმავლობაში ბევრად მეტის მიღწევას ვფიქრობდით, მაგრამ ასე არ მოხდა და ახლა გვიხდება დანაკარგის ანაზღაურება. ელენეს გარჯა კი მოვუწონეთ, მაგრამ თავზეც არ გადაგვისვამს ხელი, რადგანაც, არ გვინდა იფიქროს, რომ ყველაფერი გამოსწორდა და კარგადაა. წინ უამრავი სამუშაოა და მისი პასუხისმგებლობა უფრო იმატებს. სხვათა შორის, ჩვენმა მაშინდელმა კრიტიკამ მასზე კარგად იმოქმედა, რაც სასიხარულოა - როცა სწორად იღებ კრიტიკას, მაშინ წინსვლის ბევრად უკეთესი შანსები გეძლევა...

**- მსოფლიოს ჩემპიონატი სალიცენზიო ტურნირიც იყო...**

- ზამთრის სხვა სახეობებისგან განსხვავებით, ფიგურულ ციგურაობაში ძალიან ცოტაა სალიცენზიო ტურნირი. წლეულს ასეთი ორია. ერთი - მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე ჩატარდა, მეორე, რომელსაც საერთაშორისო ფედერაცია დამატებით ხელმოცარულთათვის საგანგებოდ ნიშნავს, ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართება. ამ ტურნირზე ექვსი ლიცენზია გაიცემა. ქართველი მოციგურავეები დღემდე სწორედ დამატებითი შანსის გამოყენების შემდეგ ხვდებოდნენ ოლიმპიადაზე, თუმცა ელენემ ეს ტრადიცია დაარღვია და ახლა ორი ლიცენზია უკვე მოიპოვა! ანუ საქართველოს ორი მოციგურავე გოგონას გამოყვანის უფლება აქვს. სამწუხაროდ, მეორე მაღალი კლასის სპორტსმენი არა გვყავს და ალბათ ამ უფლებით ვერ ვისარგებლებთ, თუმცა თავად ფაქტია მნიშვნელოვანი. სხვათა შორის, საქართველომ მსოფლიოს ქვეყნებს შორის ლიცენზიის მოპოვებით მერვე ადგილი დაიკავა; სულ კი ლიცენზია თხუთმეტი ქვეყნის წარმომადგენლებს დარჩათ. იმ რვიდანაც მხოლოდ იაპონიამ მოიპოვა სამი ლიცენზია, დანარჩენებს კი ჩვენსავით 2-2 შეხვდათ. ჩამოგითვლით ქვეყნებსაც: სამხრეთ კორეა, კანადა, ამერიკის შეერთებული შტატები, ფინეთი, რუსეთი და შვეიცარია. დამეთანხმებით, რომ ასეთ კოჰორტაში ტოლ-სწორად ყოფნა დიდი საქმეა.

**- გარდა ელენესი, ამერიკაში ბექა შანყულაშვილმაც იასპარეზა. მასზე რა აზრის ხართ?**

- ძალიან ნიჭიერი ბიჭია, მაგრამ ჯერ კიდევ დალვინების პროცესშია. ტექნიკურად კარგად გამოიყურება, მაგრამ აკლია არტისტიზმი, გამომსახველობა, ცეკვის სტილი აქვს შესაცვლელი. ჯერ ცხრამეტი წლისაა და, იმედია, რომ მოუმატებს. სხვათა შორის, ლოს-ანჯელესში მასაც წინსვლა აღენიშნა: ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე ბოლოდან მეორეზე გავიდა, ამერიკაში კი, ბევრად ძლიერ ტურნირზე ორმოცდაათ მონაწილეს შორის მეორმოცე იყო. წინსვლა თვალსაჩინოა და ამიტომაც გვეიმედება მისი.

**- კვლავ ელენეს დავუბრუნდეთ. შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი სეზონი დასრულდა და აღარსად იასპარეზებს, თუმცა ვარჯიში გასაგრძელებელია, მით უფრო, რომ გაისად ოლიმპიადა ელის. როგორი გეგმით იმუშავებთ, რომ ოლიმპიადას ოპტიმალურ ფორმაში შეხვდეთ?**

- მთავარია, რომ სირთულეები წარსულს ჩაჰბარდა. გეგმა წინასწარ გვაქვს შემუშავებული, რომლის საფუძველზეც ვილებთ სახელმწიფოსგან დაფინანსებას. კიდევ ერთხელ ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვახსენებ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, ოლიმპიურ კომიტეტს და კულტურისა და სპორტის სამინისტროს. მათ კარგად აქვთ შეგნებული ფიგურული ციგურაობის მნიშვნელობა. ამას წინათ მაღალი ტრიბუნიდან კვლავ მივიღეთ მხარდაჭერა. სპორტულ საზოგადოებასთან შეხვედრის დროს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, დავით ბაქრაძემ დაადასტურა ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის გია ნაცვლიშვილის წინადადება, რომ ფიგურული ციგურაობის ფედერაციას მსოფლიო დონის სტანდარტული დარბაზი უნდა ჰქონდეს, ისევე, როგორც ნებისმიერი სახეობის ფედერაციას. ამჯერად ცოტას შევისვენებთ, მაგრამ სეზონი შემოდგომაზე განახლდება. დიდხანს უქმობა არ შეიძლება.

და ერთიც: ელენეს წარმატებამ სხვა მხრივაც დიდად გვარგო: საქართველოს გაუჩნდა შანსი, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ ციგურაობაში მსაჯი ჰყავდეს. თუ რამდენ მნიშვნელოვანია, ქართველი მსაჯის მსოფლიოს მსაჯთა მარაქაში გარევა, ნებისმიერი სახეობის წარმომადგენელი გეტყვით. საბოლოოდ ეს საკითხი საერთაშორისო ფედერაციის მიერ გარკვეული წესით მსაჯთა შერჩევის კონკურსის შემდეგ გახდება ცნობილი, - 24 კანდიდატიდან 14-ს აენთება მწვანე შუქი. ნებისმიერ შემთხვევაში ეს აღიარებაა და თუ ახლა ვერა, მომავალში აუცილებლად იმსაჯებს ქართველი არბიტრი დიდ ფორუმებს.

**- როგორც ვიცი, არ გველევა ნიჭიერი ბავშვები და საციგურაო სკოლა სულ გადატვირთულია. მომავალ თაობაზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- უნდა გაგახაროთ თქვენც და მკითხველიც - საოცრად ნიჭიერი ბავშვები გვეზრდებიან, რომლებიც უახლოეს წლებში თავიანთ სიტყვას იტყვიან. საცოდაობაა, როცა ასეთ ნიჭიერებას გასაქანი არ ეძლევა. მცირე ხელშეწყობა გვჭირდება და მსოფლიოს ავალაპარაკებთ. ამის პრეცედენტი უკვე გვქონდა: ორიოდ თვის წინათ თბილისის საციგურაო სკოლის 8-13 წლის 10 გოგო-ბიჭი გვყავდა წაყვანილი ბელარუსში, ქალაქ გომელში, სადაც საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა შვიდი ქვეყნის სპორტსმენთა მონაწილეობით. უნდა გითხრათ, რომ ქართველი მოციგურავეები პირველად გავიდნენ დიდ, სტანდარტულ ყინულზე, რომელიც ჩვენს არენაზე სამჯერ მეტია. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი რთული იქნებოდა ორიენტირება და სათანადო დონეზე ოსტატობის წარმოჩენა. მიუხედავად ამისა, თავი არ შევირცხვინეთ და ათიდან სამმა ათეულში შეაღწია, დანარჩენებმაც არ ისრიალეს ურიგოდ და აუტსაიდერები არ გამხდარან - ცხრილის შუაში დაასრულეს ტურნირი. ჩვენი პრობლემის შესახებ იციან სხვებმაც და ამიტომ გაკვირვებულები იყვნენ, ამდენიც როგორ შეძელითო. მათ ქართველ ბავშვებში დიდი პერსპექტივა დაინახეს. შემიძლია სახელებიც გითხრათ, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო ჯერჯერობით თავს შევიკავებ. მოვა დრო და მათ სახელებს ყველა გაიგებს. ბელარუსში წასვლას კი ვერაფრით შევძლებდით, თბილისის მერია რომ არ დაგვხმარებოდა. დიდი მადლობა მათ და ასეთი თანადგომა თუ გაგრძელდა, ფიგურული ციგურაობა ერთ-ერთი წამყვანი სახეობა გახდება საქართველოში.

**ზვიად შათირიშვილი**

მაგიდის ჩოგბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა ფინალი

# ბათუმელებმა იჩემპიონეს

სპორტის დეპარტამენტის უშუალო თანადგომით თბილისში, ბოჭორმის ქუჩაზე მდებარე სპორტდარბაზმა მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა. მონაწილეობდა 46 ვაჟი და 32 ქალი. ფინალურ მატჩებს წინ უსწრებდა საკვალიფიკაციო შეხვედრები.

როგორც წყვილებში, ასევე ვაჟთა და ქალთა ფინალებში ბათუმელმა სპორტსმენებმა იყოჩაღეს. **არტურ კაკოიანმა და აკოფ მანუკიანმა** თბილისელ **ჯემალ მელაძესა და ვანო სალუქვაძეს** სძლიეს, გოგონებში კი ანგელინა **ფრანგიანისა და – თეონა მაისურაძის** დუეტმა **ვერიკო ბარამიძისა** და **ნარინე ეტარიანის** წყვილს აჯობა. ინდივიდუალური პირველობა ბათუმელი არტურ კაკოიანის გამარჯვებით დასრულდა, მან თბილისელი **ვირაბ კაზარიანი 3:2** დაამარცხა. ქალებში ჩემპიონი კი ვერიკო ბარამიძე გახდა, რომელმაც ნარინე ეტარიანს საკმაოდ იოლად სძლია.

ჩემპიონ-პრიზიორები მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციისა და სპორტის ამ სახეობის ვეტერანმა წარმომადგენლებმა მედლებითა და დიპლომებით დააჯილდოეს.

აღსანიშნავია, რომ მაგიდის ჩოგბურთის ფედერაცია სამომავლოდ 2010 წლის ახალგაზრდულ ოლიმპიადაზეა ორიენტირებული. წლეულს კი ჩვენი ჩოგბურთელები 3 საერთაშორისო ტურნირში მოსინჯავენ ძალებს. მთავარი გამოწვევა კადეტებს ელით, რომლებიც ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლებენ. ჩოგბურთელების უკეთ მოსამზადებლად სპორტის დეპარტამენტი ფედერაციას 6 ახალ მაგიდას გადასცემს.

**მედალისტები**

**ვაჟები**

1. არტურ კაკოიანი (ბათუმი)
2. ვირაბ კაზარიანი (თბილისი)
3. ბექა ტაბალუა (ბათუმი)

**ქალები**

1. ვერიკო ბარამიძე (ბათუმი)
2. ნარინე ეტარიანი (ბათუმი)
3. თეონა მაისურაძე (ბათუმი)

**ვაჟთა წყვილები**

1. არტურ კაკოიანი – აკოფ მანუკიანი (ბათუმი)
2. ჯემალ მელაძე – ვანო სალუქვაძე (თბილისი)
3. დავით ცატუროვი – ვირაბ კაზარიანი (თბ.)

**ქალთა წყვილები**

1. ანგელინა ფრანგიანი – თეონა მაისურაძე (ბათ.)
2. ვერიკო ბარამიძე – ნარინე ეტარიანი (ბათ.)
3. ნინო ჩიჯავაძე – ნონა მარქარიანი (ბათუმი)

**ლევან ჯანეზაშვილი**
**გიორგი ჭანიშვილი**
გიორგი ჭანიშვილის ფოტო

ველოსპორტი

## *ტექნიკური შედეგები*

თბილისის ღია პირველობა ორ ასაკობრივ კატეგორიაში. საქართველოს ველოსპორტის სეზონი გახსნა ქვეყნის ყველა საუკეთესო ველომრბოლის მონაწილეობით.

**პროლოგი (შემოვლითი გზა)**

**დიდები**

1. გიორგი ნადირაძე (აჭარა)
2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
3. ვიქტორ ერიოხინი (ქუთაისი)

**უმცროსები**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. გიორგი ბაზაიძე (თბილისი)
3. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი)

**ინდივიდუალური რბოლა**

25 კილომეტრზე (ნატახტარი)

**დიდები**

1. გიორგი ნადირაძე (აჭარა)
2. ამირან სვანიძე (თბილისი)
3. ვიქტორ ერიოხინი (ქუთაისი)

**უმცროსები**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი)
3. გიორგი ბაზაიძე (თბილისი)

**ჯგუფური რბოლა**

(თბილისი-ანანური-ბაზალეთი)

**დიდები**

1. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
2. ვიქტორ ერიოხინი (ქუთაისი)
3. არჩილ მახარაშვილი (თბილისი)

**უმცროსები**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი)
3. გიორგი ბაზაიძე (თბილისი)

**საერთო ჩათვლა**

**დიდები**

1. გიორგი ნადირაძე (აჭარა)
2. ნოდარ ყვავაძე (ქუთაისი)
3. ვიქტორ ერიოხინი (ქუთაისი)

**უმცროსები**

1. გიორგი ნარეკლიშვილი (თბილისი)
2. ირაკლი ბაბლიძე (თბილისი)
3. გიორგი ბაზაიძე (თბილისი)

**ლევან ჯანეზაშვილი**

## სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციებისა და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ესპანეთის ჩემპიონატი

# ფუენლაბრადამ ბრუესა გააბრუა

ესპანეთის პირველობაზე მორიგი ტურის მატჩები გაიმართა. დაისვენა **თორნიკე შენგელიას** "ბასკონიამ", რომელმაც ევროთასის ფინალურ რვაეულში ითამაშა და ასპარეზობას მეოთხედფინალიდან გამოეთიშა. ამ ტურნირში თორნიკეს მონაწილეობა არ მიუღია. ევროთასის დასკვნით ეტაპზე იასპარეზა **ვლადიმერ ბოისას** "ზადარმა", თუმცა მოედანზე ვერც ვოვა ვიხილეთ. მისი განაცხადში შეყვანა ერთი დღით დაუგვიანდათ. ამიტომ ქართველი ფორვარდი გუნდს ტურინში არ წაჰყვა, შინ დარჩა და ინდივიდუალურად ემზადებოდა.

ესპანეთში დავბრუნდეთ. პირენეებზე **ნიკა ცქიტიშვილმა და ტაირონ ელისმა** მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს.

ნიკას "ფუენლაბრადამ" გასვლით შეხვედრაში იყოჩაღა აუტსაიდერ "ბრუესასთან". მადრიდელებმა ბედის ბორბალი სათავისოდ ბოლო პერიოდში შემოაბრუნეს. საწყისი სამი მეოთხედის შემდეგ "ბრუესა" 59:49-ს იგებდა და ერთი შეხედვით გამარჯვება ჯიბეში ჰქონდა, მაგრამ "ფუენლაბრადას" კალათბურთელებმა ბოლო ათწუთეული 29:14 მოიგეს და მასპინძლებს გამარჯვება ჯიბიდან ამოაცალეს – 78:73.

სტუმრებს წინ ნიკა ცქიტიშვილის თანაამპლუელი **ანტონიო ბუენო** გაუძღვათ. მან 28 ქულა მიითვალა. სკიტამ მატჩი სასტარტო შემადგენლობაში კი დაიწყო, მაგრამ დრო მაინც შეეზღუდა – 13 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში მან თითო ორქულიანი და სამიანი ააცილა და მხოლოდ 1 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

ამავე ტურში მორიგი მატჩი მოიგო "ფუენლაბრადას" უშუალო კონკურენტმა "მანრესამ" – ვოვა ბოისას ყოფილი კლუბი "მენორკა" 86:70 დაამარცხა.

მანრესელები სადღეისოდ პლეი ოფის ზონაში მერვე ადგილზე არიან. მათ 14-14 მოგება-წაგება აქვთ. ერთი საფეხურით ქვემოთ, მეცხრე პოზიციაზეა "ფუენლაბრადა" – 13 მოგება 14 მარცხი. რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი და იმედი დავიტოვოთ, რომ ნიკას თანაგუნდელები "მანრესას" პლეი ოფის ზონიდან გამოდევნიან.

ტაირონ ელისის "კახასოლი" აღარ ხუმრობს. სევილიელებმა ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგეს, რაც "რეალისა" და "ბარსელონასთვისაც" ძნელი მისაღწევია...

„კახასოლმა" კუნძულოვან "გრან კანარიას" ნახევარკუნძულზე 89:81 აჯობა.

კვლავ სასტარტო იყო საქართველოს ნაკრების უკანახაზელი ელისი, რომელმაც 29 წუთი ითამაშა და 11 ქულას (3-დან 2 ორქულიანი, 7-დან 2 სამიანი, 1-დან 1 საჯარიმო) 2-2 მოხსნა-პასი შეუწყვილა. მატჩის ბომბარდირი **კლეი თაქერი** გახდა, რომელმაც 23 ქულა ჩააგდო.


ნიკა ცქიტიშვილი

"კახასოლს" თამაში ცოტა ადრე რომ გამოესწორებინა პლეი ოფის საგზურისთვისაც შეეძლებოდა ბრძოლა, მაგრამ ზედიზედ 5 მატჩის მოგება მას მხოლოდ ბოლო ადგილისა და გასავარდნი ზონისთვის თავის დასაღწევად ჰყოფნის. სადღეისოდ ელისის თანაგუნდელებს 9 მოგება და 18 მარცხი აქვთ. ისინი ორი მოგებით უსწრებენ გასავარდნი ორეულის გუნდებს და ხუთი გამარჯვებით ჩამორჩებიან მერვეადგილოსან "მანრესას". პლეი ოფში სწორედ რვა გუნდი გადის.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# შერმადინი პანათინაიკოსის სნაიპერია

## ობრადოვიჩი: გიორგიმ გაამართლა

**გიორგი შერმადინმა** საბერძნეთის "პანათინაიკოსში" მეოთხე მატჩი ჩაატარა (ერთი ევროლიგაზე, სამი საბერძნეთის პირველობაზე). თუ აქამდე მწვრთნელი, **ჟელიმირ ობრადოვიჩი** 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრისთვის 10 წუთსაც იშვიათად იმეტებდა, ამჯერად გიორგი გუნდის მთავარი ცენტრი გახლდათ. მან მოედანზე 29:30 წუთი გაატარა და დაგვანახვა, რომ ბომბარდირობა არ დავიწყებია: გიორგიმ 6-დან 6 საჯარიმო გამოიყენა, ასევე 6-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და 12 ქულა მოუგროვდა. შერმადინთან ერთად თანაბომბარდირი გახდა გუნდის სასტარტო მეფარე **ნიკოლა პეკოვიჩი**, რომელმაც 12 ქულა 10 წუთში მიითვალა. როგორც სტატისტიკიდან ჩანს, სწორედ პეკოვიჩი შეცვალა შერმადინმა და დაკისრებული მოვალეობა ღირსეულად შეასრულა.

შერმადინის შეტევით მონაგარზე უკვე გესაუბრეთ. აქ დავძენთ, რომ ერთით მეტი რომ მოეხსნა, ორმაგ დუბლსაც მიითვლიდა. სხვათა შორის, ქართველი "პანათინაიკოსში" ქულების გარდა კიდევ სამ კომპონენტში იყო საუკეთესო – 9 მოხსნა, 3 პასი და 2 ჩაჭრა. აქვე უნდა დავამატოთ, რომ საბერძნეთში გადასვლის შემდეგ ყველა ეს მაჩვენებელი გოგიტასთვის სარეკორდოა.

ახლა უშუალოდ მატჩზე ვთქვათ. "პანათინაიკოსმა" ევროლიგაში "მონტეპასკისთან" წარმატებული მეოთხედფინალური სერიის შემდეგ საბერძნეთის ლიგის აუტსაიდერი ლარისას "ოლიმპია" მიიღო. მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა "მონტეპასკისთან" ბრძოლებში მოქანცული გუნდის ლიდერები დაასვენა და თავის გამოჩენის საშუალება ახალგაზრდებს მისცა. მათაც გაამართლეს. თუკი შერმადინმა 12 ქულა ჩააგდო, მეორე ახალბედამ **დიმიტრის ვერგინისმა** 11 ქულას მოუყარა თავი. გუნდს კი "ოლიმპიას" დამარცხება არ გასჭირვებია – 80:61.

ზემოთ, სტატისტიკაზე დამყარებული ჩვენეული ინფორმაცია შემოგთავაზეთ. ახლა ბერძნული გაზეთები გადავფურცლოთ და წავიკითხოთ, რას ფიქრობს მთავარი მწვრთნელი და რა კომენტარი გააკეთა თავად გიორგი შერმადინმა. "პანათინაიკოსის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ობრადოვიჩის მატჩის შემდგომ კომენტარში ქართული გვარიც ფიგურირებს: *"სიენადან დაბრუნების შემდეგ "ოლიმპიასთან" მატჩამდე ერთადერთი ვარჯიშის ჩატარება მოვასწარით. ამის მიუხედავად შესანიშნავად ვითამაშეთ. ამაში ახალგაზრდები დაგვეხმარნენ. სასტარტო შემადგენლობის ხუთი კალათბურთელი დავასვენე და თავის გამოჩენის შანსი დანარჩენებს მივეცი. თხუთმეტივე პანათინაიკოსელი ხომ გუნდის მნიშვნელოვანი წევრია. მოხარული ვარ, რომ ჩემი იმედები გაამართლეს გიორგი შერმადინმა და დიმიტრის ვერჯინისმა. მათ ძალიან კარგად ითამაშეს. გიორგიმ და დიმიტრისმა ამას გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად მიაღწიეს. მინდა ყველა მოთამაშეს მადლობა ვუთხრა ასეთი გარჯისთვის"*.



ყოველთვის თავშეკავებული ჟელკო ობრადოვიჩისგან ასეთი საქებარი სიტყვების მოსმენა ცოტა უცნაურიც კი არის... სამაგიეროდ, ნამდვილად არ უნდა გაგვიკვირდეს ვერჯინისისა და შერმადინის საგაზეთო სათაურებში მოხვედრის ფაქტი.

ახლა გიორგი შერმადინსაც მოვუსმინოთ, რომლის გასწვრივ ოქმში დაფიქსირებული ერთი ციფრი ბოლოსთვის შემოვინახეთ: მასზე ოლიმპიელები რვაჯერ დაჯარიმდნენ.

*"ბედნიერი ვარ თამაშის საშუალება რომ მომეცა. პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ობრადოვიჩს, რომელმაც თავის გამოსაჩენად საკმარისი სათამაშო დრო მიბოძა. საკუთარი გარჯით მეტ-ნაკლებად კმაყოფილი ვარ. ეს იყო პირველი შეხვედრა, სადაც საკმარისი სათამაშო დრო მივიღე. ვფიქრობ, თავი არ შემირცხვენია. შემიძლია გაგიმხილოთ, რომ "პანათინაიკოსში" თავს შესანიშნავად ვგრძნობ. მოხარული ვარ, ასეთი კლუბის მაისურის ტარება რომ მიწევს"*, - განაცხადა გიორგი შერმადინმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

უკრაინის ჩემპიონატი

# თერთმეტის თერთმეტი



**მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" "აზოვმაშთან" 22-ქულიანი სხვაობით წააგო – 68:90.

დედაქალაქელთა მე-11 ნომერმა, მანუჩარმა 11 ქულა ჩააგდო. მან მოედანზე 34 წუთი გაატარა და მისთვის უჩვეულოდ ვერც ერთი სამქულიანის რეალიზება ვერ მოახერხა (ოთხიდან). ქართველმა უკანახაზელმა 11 ქულას 4 შედეგიანი გადაცემა, 2 მოხსნა, 3 ჩაჭრა და 1 დაფარება მიაყოლა.

"აზოვმაშთან" მატჩის წაგებას "კიევის" ოფიციალურ ვებგვერდზე ასეთი ახსნა აქვს: *"ლეგიონერების დათხოვნის შემდეგ "კიევის" თავკაცი საშა ობრადოვიჩი დიდ ყურადღებას უთმობს სამწამიან ზონაში მჭიდრო დაცვას. ეს ერთგვარი რისკია, რადგან თუ მეტოქე სამქულიანებს მაღალი პროცენტული სიზუსტით ისვრის "კიევს" შანსი აღარ დარჩება. აქამდე დედაქალაქელთა ვერც ერთმა მეტოქემ პერიმეტრიდან თამაში ვერ ააწყო... სამაგიეროდ, ეს კარგად გამოუვიდა "აზოვმაშს", რომლის ოთხმა კალათბურთელმა სამქულიანები 60 და მეტპროცენტიანი სიზუსტით სტყორცნეს და დამაჯერებლადაც გაიმარჯვეს – 90:68."*

**ვაჟა სიმონიშვილი**

ფრენბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

# ფავორიტები ჩემპიონობისკენ

საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ჩემპიონატში ბოლო, გადამწყვეტი ეტაპი დაიწყო. პლეი ოფის ნახევარფინალური ორივე შეხვედრა დუშეთში გაიმართა. ადგილობრივმა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონს, დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს" უმასპინძლა და ოთხ სეტში დამარცხდა - 11:25, 26:24, 13:25, 21:25.

განმეორებითი შეხვედრა, სავარაუდოდ, 12 აპრილს დიდ ჯიხაიშში გაიმართება. გამარჯვების შემთხვევაში იმერული გუნდი ფინალში გაალწევს. თუ დამარცხდა, მაშინ მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა იქვე ჩატარდება.

ბევრად უფრო დაძაბული და საინტერესო გამოდგა მეორე ნახევარფინალური წყვილის დაპირისპირება. რეგულარულ გათამაშებაში მეორე ადგილზე გასულ „ბოლნისს" მესამეადგილოსანი „ბათუმის" დასამარცხებლად ხუთი სეტი დასჭირდა. მეტიც, ბათუმელები სეტებში დაწინაურდნენ კიდეც და 2:1 (18:25, 25:19, 25:20) იგებდნენ. თუმცა ბოლნისელმა ფრენბურთელებმა მატჩში გარდატეხის შეტანა მაინც მოახერხეს და ბოლო ორი სეტი სათავისოდ დაასრულეს 25:18, 16:14.

„ბოლნისისა" და „ბათუმის" განმეორებითი შეხვედრა დუშეთში დღეს გაიმართება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ოქსანამ მეცხრე ტიტული ვერ მოიგო

## ქვაცაბაია პირველს შესწვდა

18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვას** (351) ხანმოკლე კარიერაში უკვე 8 ტურნირი აქვს მოგებული, აქედან 6 წყვილთა თანრიგში. შაბათს ოქსანა ახლოს იყო მე-9 ტიტულის მოპოვებასთან, ის ხანტი-მანსიისკის საერთაშორისო ტურნირში (რუსეთი, 50 ათასი $) წყვილთა თანრიგის ფინალში იყო გასული. ოქსანა „უგრას თასზე" რუს **ვალერია სავინიხს** (468) შეუამხანაგდა. ფინალში მათი მეტოქეები მე-4 ნომრად განთესილები, **ქსენია მილევსკაია** (ბელარუსი, 269) და **ლესია ცურენკო** (უკრაინა, 290) იყვნენ. სამწუხაროდ, ჩვენებურმა მორიგი ტიტულის მოხვეჭა ვერ შეძლო - 2:6, 3:6. დღეისათვის ოქსანა ერთეულებშიც და წყვილებშიც მსოფლიოს 351-ე ჩოგანია (ასეთი დამთხვევა ძალზე იშვიათია), ხანტი-მანსიისკის ტურნირის შემდეგ იგი რეიტინგში წინ წაიწევს, განსაკუთრებით, წყვილთა თანრიგში.

სამაგიეროდ კარიერაში პირველი ტიტული მოიგო 20 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (658). იგი თურქულ ბელეკში (10 ათასი $) წყვილთა თანრიგის ფინალში გავიდა. ქვაცაბაიას რუსი მეწყვილე, **ავგუსტა ციბიშევა** (735) ჰყავდა, ფინალში მათი მეტოქეები პირველ ნომრად განთესილები **მარია ჟარკოვა** (რუსეთი, 641) და **იმა ბოჰუში** (ბელარუსი, 633) იყვნენ - 6:4, 4:6, 10:8. ქვაცაბაია წყვილებში რეიტინგით 468-ე პოზიციაზეა. ბელეკის ტურნირის ნახევარფინალში მათ მე-4 ნომრად განთესილი დუეტი, ბელგიელი **დავინია ლობინგერი** (454) და ებრაელი **კერენ შლომო** (532) დაამარცხეს - 6:4, 6:4. ბელეკში მიყოლებით მეორე ტურნირიც დაიწყო, სადაც ქვაცაბაია საკვალიფიკაციო ბადეში მე-4 ნომრადაა განთესილი. ჩვენმა თანამემამულემ უკვე მოიგო ერთი შეხვედრა, სერბი **ნევედა სელაკოვიჩი** (1058) დაამარცხა - 4:6, 6:2, 6:0. მეორე წრეში სოფიო 23 წლის ბრიტანელ **დანიელე ბრაუნს** ეთამაშება.

ამერიკის ქალაქ ჯექსონის ტურნირის (25 ათასი $) საკვალიფიკაციო ბადეში ჩაება ჩოგბურთს დაბრუნებული **სალომე დევიძე** (739). 22 წლის ქართველი მე-14 ნომრადაა განთესილი და პირველი წრიდან თავისუფალია. მეორე წრეში მან ამერიკელ **ბრი უაითჰედს** მოუგო იოლად - 6:0, 6:1. ფინალურ წრეში სალომეს საკმაოდ სერიოზული მეტოქე ჰყავს, მე-2 ნომრად განთესილი 31 წლის რუსი **ალინა ჟიდკოვა** (247), საუკეთესო ასეულის ყოფილი წევრი. თუკი ჟიდკოვასაც დაამარცხებს დევიძე ძირითად ბადეში გაალწევს. ესპანურ მონსონში (75 ათასი $) ძირითად ბადეში ითამაშებს **მაკა ჩახნაშვილი**, პირველ წრეში იგი მე-7 ნომრად განთესილ **რუს ვესნა მანასიევას** (158) ეთამაშება.

ფლორიდაში, ქალაქ პონტე-ვედრაში WTA-ს ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 220 ათასი დოლარია. ამ ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (150) იყო. სამწუხაროდ, მან პირველივე წრეში წააგო ამერიკელ **მელანი ოუდინთან** (171) - 3:6, 6:4, 4:6. მატჩი თითქმის ორ საათს გაგრძელდა.

ვაჟებში ვერაფრით გაგახარებთ, ეგვიპტეში ზედიზედ მესამე ტურნირში გამოვიდნენ **ლაზარე კუხალაშვილი** და **ბექა ბუჩუკური**, კვლავ წარუმატებლად. საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში ბუჩუკურმა **შვედ ჯოელ ეკერბერგს** წინააღმდეგობა ვერ გაუწია - 1:6, 0:6. მეორე ნომრად განთესილი კუხალაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი მან ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა რუს **ვიქტორ კოზინთან** მატჩში - 2:6, 1:4.



### ქალთა უკუსვლა

გუშინ ორკვირიანი პაუზის შემდეგ ახალი რეიტინგები გამოქვეყნდა. ჩვენმა პირველმა ჩოგანმა **ანა ტატიშვილმა** 8 საფეხურით უკან დაიხია, ანა 392 ქულით მსოფლიოს 158-ე ჩოგანია. რეგრესი აქვს **მაკა ჩახნაშვილსაც**, მან კლასიფიკაციაში 9 ადგილი დათმო, მაკა 246 ქულით 215-ე პოზიციაზეა. **სოფიო შაფათავამ** 10 საფეხურით დაიხია უკან, წლეულს ამ ჩოგბურთელს მატჩიც არ მოუგია, სოფიო 100 ქულით მსოფლიოს 254-ე ჩოგანია. **ოქსანა კალაშნიკოვა** კვლავ 351-ე პოზიციაზეა 126 სარეიტინგო ქულით. სხვები: 602 (-2) **ეკა გორგოძე** - 46 ქულა, 684 (-26) **სოფიო ქვაცაბაია** - 34, 726 (-12) **მანანა შაფაქიძე** - 29, 735 (+4) **სალომე დევიძე** - 28, 897 (+6) **სოფიო მელიქიშვილი** - 16.

ვაჟებში ჩვენებურებს სულ ოდნავ გაუუმჯობესდათ მდგომარეობა: 513 (+2) **ირაკლი ლაბაძე** - 96 ქულა, 904 (+5) **ლაზარე კუხალაშვილი** - 24, 1002 (+3) **ლადო ჩიხლაძე** - 17, 1016 (+2) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 16, 1311 (+1) **ნოდარ ითონიშვილი** - 6, 1554 (+1) **ბექა ბუჩუკური** - 2, 1641 (+3) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

რაგბი ლეგიონერები

# მორიგი ქართული ლელო

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ პირველ დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა. პლეი ოფში თამაშის უფლება ორმა, „ტულუზმა" და „პერპინიანმა" უკვე მოიპოვა. კიდევ ორი საგზურისთვის ბრძოლას რეალურად სამი გუნდი აგრძელებს. მათ შორის ორი ქართველ მორაგბეთა გუნდია - "კლერმონი და „ბრივი".

კიდევ უფრო გაურთულდა მდგომარეობა 22-ე ტურის შეხვედრების შემდეგ, დივიზიონის ერთ-ერთ აუტსაიდერ **ირაკლი გიორგაძის** „დაქსს". ჩვენებურის ეს გუნდი ამჯერად სტუმრად თამაშობდა „ბურგუენთან" და დიდი ანგარიშით - 6:43 დამარცხდა. გიორგაძე განაცხადში არ იყო.

უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა სტუმრად უშუალო კონკურენტ „სტად ფრანსესთან" **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" - 19:21. ამ მოგების შემდეგ, მესამე ადგილზე მყოფ პარიზელებთან, ქულათა სხვაობა „ვულკანებმა" ერთ ქულამდე შეამცირეს. ზირაქაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან ტრავმირებულია.

საშინაო მატჩში ვერას გახდა გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ „ტულუზთან" მედლების კიდევ ერთი მაძიებელი **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი". მასპინძლები დიდი ანგარიშით - 10:42 დამარცხდნენ. ხინჩაგიშვილი განაცხადში არ იყო.

სახიფათო ზონას ოდნავ დასცილდა **დავით ქუბრიაშვილისა და გია ლაბაძის** „ტულონი". ჩვენებურთა ეს გუნდი შინ დაუხვდა **გოდერძი შველიძის** „მონტობანს" და 33:20 დაამარცხა. ქუბრიაშვილი 55-ე წუთზე შეცვალეს. შველიძემ კი, მოედანი ერთი წუთით ადრე დატოვა. ლაბაძე განაცხადში არ იყო.

სტუმრად ურთულეს ბრძოლაში დაამარცხა **მამუკა გორგოძის** „მონპელიე" **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრმა" - 23:21. გორგოძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. გიორგაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 58-ე წუთზე შეცვალეს.

საფრანგეთი. I დივიზიონი: XXII ტური: **ბურგუენი-დაქსი 43:6, პერპინიანი-მონ დე მარსანი 44:3, ტულონი-მონტობანი 33:20, მონპელიე-კასტრი 21:23, ბრივი-ტულუზი 10:42, სტად ფრანსე-კლერმონი 19:21, ბაიონი-ბიარიცი 15:19.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ტულუზი - 79 ქულა, 2. პერპინიანი - 78, 3. სტად ფრანსე - 68, 4. კლერმონი - 67, 5. ბრივი - 59, 6. ბაიონი - 56, 7. ბიარიცი - 54, 8. მონტობანი - 48, 9. მონპელიე - 46, 10. კასტრი - 41, 11. ბურგუენი - 39, 12. ტულონი - 37, 13. დაქსი - 29, 14. მონ დე მარსანი -24.**

მეორე დივიზიონში თუ რაიმე გაუთვალისწინებელი, უფრო კი სასწაული არ მოხდა, ელიტური პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად მოიპოვებს **გიორგი ჩხაიძის** „მეტრო რტასინგი". მართალია, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ხუთი ტური დარჩა, მაგრამ ქულებს შორის სხვაობა იმდენად დიდია, რომ წესით პარიზელები მდევრებისაგან მიუწვდომელი უნდა იყვნენ.

პლეი ოფში გასვლის კარგი შანსი აქვს, 25-ე ტურის შემდეგ, მეორე ადგილზე გადაბარგებულ **ანტონ ფეიქრიშვილისა და ირაკლი მაჩხანელის** „აჟენს". ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად ერთ-ერთი კონკურენტის „ლა როშელის" დამარცხება შეძლო შეხვედრის ბოლო წუთზე - 25:23. ფეიქრიშვილი თამაშში 22-ე წუთიდან ჩაერთო. მაჩხანელი განაცხადში არ იყო.

გათამაშების კიდევ ერთი ლიდერის „ალბის" დამარცხება შეძლო საკუთარ მოედანზე **მამუკა მაგრაქველიძის** „ტარბმა" - 20:11. მაგრაქველიძემ, რომელიც თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, 62-ე წუთზე მეტოქეს ლელო გაუტანა. ტარბელებმა ამ დროისთვის 60 ქულა დააგროვეს და პლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდათ.

შინ გაიმარჯვა **ავთანდილ კოპალიანის** „კოლომიესთან" დაპირისპირებაში **გიორგი ჟღენტის, მალხაზ ურჯუკაშვილისა და ლევან დათუნაშვილის** „ორიაკმა" - 25:15. ჟღენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. ურჯუკაშვილი თამაშში 71-ე წუთიდან ჩაერთო. კოპალიანს და დათუნაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სტუმრად „გრენობლთან" დამარცხდა **გიორგი კუთარაშვილის** „ნარბონი" - 16:23. კუთარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 59-ე წუთზე შეცვალეს. სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე გადაბარგდა **ლაშა მალაღურაძის** „ბეზიე". ლანგედოკელებმა საკუთარ მოედანზე წააგეს აქამდე უიმედო აუტსაიდერ „ბურგ ან ბრესთან" - 23:26. მალაღურაძე თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო.

II დივიზიონი. XXV ტური. **ორიაკი-კოლომიე 25:15, ბეზიე-ბურგ ან ბრესი 23:26, გრენობლი-ნარბონი 23:16, ბორდო-ოში 25:8, ტარბი-ალბი 20:11, ლიონი-პო 25:12, ლა როშელი-აჟენი 23:25.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მეტრო რასინგი - 88 ქულა, 2. აჟენი - 76, 3. ალბი - 74, 4. ლა როშელი - 68, 5. ლიონი - 66, 6. ოიონაქსი - 65, 7. პო - 65, 8. ტარბი - 60, 9. ბორდო - 58, 10. ორიაკი - 56, 11. გრენობლი - 55, 12. ო ში - 50, 13. ნარბონი - 45, 14. კოლომიე - 42, 15. ბურგ ან ბრესი - 30, 16. ბეზიე - 28.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

# მიზანი თასი და ჩემპიონობაა

„ლელო" შარშანდელი სარაგბო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდია. ლელოელებმა საქართველოს თასი და ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის მედლები მოიპოვეს. საუკეთესო მორაგბე ამ გუნდის მესამეხაზელი ვიქტორ კოლელიშვილი გახდა. საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში კი, ლელოელთა დამრიგებელმა ლევან მაისაშვილმა არავის დაუთმო პირველობა. წლევანდელი სეზონის დაწყების წინ „ლელოს" ისევ ძველებური ამბიცია აქვს. თუმცა მიზნის მისაღწევად, გუნდს წინ უამრავი პრობლემისა და წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს. ყოველივე ამის შესახებ „ლელოს" მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა გვიამბო:

- სეზონი საკმაოდ რთული იქნება. მინდა ერთ ძალიან ცუდ ტენდენციას გავუსვა ხაზი. 2004 წლიდან მოყოლებული ვერ ცერთხელ შევძელით ორი სეზონი მაინც გადაბმულად ერთი და იმავე შემადგენლობით გვეთამაშა. ყოველი სეზონის დასაწყისში ახალი გუნდის შექმნა და შენება გვიწევს. ეს, ცხადია, ბევრ პრობლემას გვიქმნის. ერთისა და იმავეს კეთება რამდენჯერმე გვიხდება. ასეა ახლაც.

მერე სეზონის განმავლობაში შვიდკაცა რაგბისა და ასაკობრივ ნაკრებებში მოგვიწევს მოთამაშეთა გაშვება. ესენი გუნდის ლიდერები არიან. მათ ნაცვლად იძულებული ვიქნებით მეორე ნომრები ვათამაშოთ. ეს კიდევ დამატებით სირთულეებს ქმნის.

**- ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა. რამდენად სრულყოფილადაა „ლელო" მომზადებული ასპარეზობისთვის?**

- მზადება გუნდმა 4 იანვრიდან დაიწყო. ორი თვე ძირითადად ფიზიკურ მომზადებაზე გვქონდა აქცენტი გადატანილი. მარტიდან კი, უკვე ბურთით ვარჯიშზე გადავედით. მიმაჩნია, რომ საკმაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ტესტირება ჩავატარეთ და ნორმატივები მოთამაშეთა დაახლოებით სამოცდაათმა პროცენტმა ჩააბარა. დანარჩენებმა ამ დღეებში უნდა ჩააბარონ.

ახლახან გუნდი სრული შემადგენლობით ლაშქრობაზე იმყოფებოდა ლაგოდეხში, კაბალის ხეობაში. გუნდის მომზადების ეს მეთოდი სარაგბო პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული. ჩვენს მეგობრებს ამ ხეობაში სანადირო მეურნეობა აქვთ გამართული. ისინი აქ ენდემური სახეობების მოშენებას, გადაშენების პირას მისული ჯიშების აღდგენა-გამრავლებას ეწევიან. უნიკალური ბუნებრივი პირობებია. მთელმა გუნდმა ფეხით ვიარეთ მთაში და ალპურ ზონამდე მივაღწიეთ.

წინ, ცხადია, ბევრი დაბრკოლება შეგვხვდა. დისკომფორტსაც განვიცდიდით. სიცივემაც შეგვაწუხა და არც შიმშილის გრძნობა იყო უცხო. ამ ყველაფერს კი ის დატვირთვა აქვს, რომ გუნდი შეიკრას, მოთამაშეები ერთმანეთთან კიდევ უფრო დაახლოვდნენ. ჩემთვის კი, მწვრთნელისთვის ასეთ ექსტრემალურ პირობებში უფრო იოლია დაინახო, ვისი იმედი შეიძლება გქონდეს, ვინ ლიდერია, ვინ ამტანია, ვის შეუძლია კომპრომისი და ვის არა. რაგბი ცხოვრებაა და ასეთ რთულ პირობებში უფრო კარგად ხედავ ადამიანს.

**- რა მიზნებს ისახავს წლეულს თქვენი გუნდი?**

- ზემოთ უკვე ვისაუბრე ლაშქრობის შესახებ. იქ გარკვეული უარყოფითი ნიუანსები შევნიშნე. რის აღმოფხვრასაც, როგორც ჩანს, აქამდე ვერ ვახერხებდით და სასურველ შედეგს ამის გამო ყოველთვის ვერ ვაღწევდით. ამჯერად მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ყველა ხარვეზი შევავსოთ, გამოვასწოროთ, რაც საშუალებას მოგვცემს დამდეგ სეზონში ყველაფერი მოვიგოთ, რისი მოგებაც შესაძლებელია. საკმაოდ მობილური და ძლიერი მორაგბეებით დაკომპლექტებული გუნდის ჩამოყალიბება შევძელით. ვფიქრობ, წარმატებული სეზონი გვექნება, მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული მიზეზების გამო, მთელი პირველი წრის განმავლობაში ექსპერიმენტული შემადგენლობით მოგვიწევს თამაში.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გუნდი ზოგიერთმა მორაგბემ დატოვა. ვინ დაიმატეთ მათ ნაცვლად?**

- ოთხი მორაგბე იჯარით გავანათხოვრეთ უცხოურ კლუბებში. დავით დაუშვილი უკრაინაში გაემგზავრა. თორნიკე ცერცვაძე, ვახტანგ მაისურაძე და შოთა ცხოვრებაშვილი პოლონეთში ითამაშებენ. საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეში ისინი ისევ დაგვიბრუნდებიან და სეზონს „ლელოში" ჩაამთავრებენ. ამათ გარდა „უნივერსიტეტში" გადავიდნენ რატი ხუციშვილი და ლევან გოგია. ბათუმის „ელიტში" ითამაშებს გელა სირბილაძე.

ახალწვეული სულ სამი გვყავს. ფრანგული „მორლააადან" პირველხაზელი ირაკლი ჭყონია დავიმატეთ. „ყოჩებიდან" ცხრა ნომერი გიორგი კაჭარავა. „დინამოდან" კი, მეორეხაზელი ზურაბ ხორბალაძე. უკრაინიდან დაბრუნდა ბექა თოფურია. ტრავმა მოიშუშა ლექსო იორდანიშვილმა. ერთ თვეში დისკვალიფიკაცია უმთავრდება და შემადგენლობაში დაბრუნდება ვახტანგ მძინარიშვილი.



**- „ლელოს" აქამდეც მეტ-ნაკლებად უკეთესი საკლუბო ინფრასტრუქტურა ჰქონდა სხვებთან შედარებით. კლუბს გარკვეული სიახლეები ამ მიმართულებითაც აქვს. ხომ ვერ გვიამბობთ ამის შესახებ?**

- ვარკეთილის სარაგბო ბაზაზე სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია. კეთილმოეწყო კლუბის ოფისი, გასახდელები. დამონტაჟდა მინდვრის საფრის სარწყავი სისტემა. ახლა ბალახს დათესავენ. დაახლოებით წელიწადი უნდა დაველოდოთ, სანამ მწვანე საფარი წამოიზრდება, მომაგრდება და მასზე ვარჯიში შესაძლებელი იქნება.

რაც შეეხება დიდ დილომს, კეთდება სტადიონი, სტანდარტული მინდვრისსაფრიანი მოედნითა და ტრიბუნებით. იქ შემდგომში ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრებს გავმართავთ. ამ ბაზაზე უკვე დასრულდა ხელოვნურსაფრიანი სავარჯიშო მოედნის მოწყობა, რომელზეც წვრთნას უკვე ხვალიდან შევუდგებით.

**- სპონსორების გარეშე ასეთ დიდ საქმეზე შეჭიდება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ვინ არიან ისინი?**

- სპონსორები ჯერ არ გვყავს. რამდენიმე კომპანიასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება. დღესდღეობით, ინფორმაცია კონფიდენციალურია. მათ ვინაობას მაშინვე გავაცხადებთ, როგორც კი დასტურს მივიღებთ და ხელშეკრულებას გავაფორმებთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჭიდაობა ინტერვიუ მალხაზ მუზიაშვილთან


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა ავაწევინე, ახლა ჰიმნის ჯერია

**ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ მოჭიდავეთაგან 23 წლის დებიუტანტ მალხაზ მუზიაშვილთან გადავწყვიტე გასაუბრება. 66 კგ წონით კატეგორიაში ვილნიუსში მან თავი უშიშარ მოჭიდავედ წარმოაჩინა, გამოჩნდა, რომ ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ ოთარ თუშიშვილს კარგი კონკურენტი ჰყავს. ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ, მუზიაშვილს შესანიშნავი სეზონი აქვს. საქართველოს ჩემპიონატზე ნახევარფინალში სძლია წონის ფავორიტ კობა კაკალაძეს და შემდეგ ჩემპიონიც გახდა. ახლა ამას ლიტვაში მოპოვებული ბრინჯაო დაემატა.**

**- მოდით, უფრო ახლოს გაეცანით მკითხველს...**

- გორელი ვარ და ჭიდაობაზე ვარჯიში ბავშვობიდან დავიწყე, მამასთან, მერაბ მუზიაშვილთან. სხვადასხვა ასაკის ნაკრებში მიჭიდავია, მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზეც გამოვედი, სადაც ხელი მომეცარა, მეორე შეხვედრაში დავმარცხდი.

**- დიდი დრო გაგიცდათ, რა იყო ამის მიზეზი?**

- ტრავმებმა საერთო ჯამში ორი წელიწადი გამიცდინა, წელი მაწუხებდა და კისრის ტრავმაც მქონდა. წლეულს თავს ჯანმრთელად ვგრძნობ და შეჯიბრებებს მონატრებული დავუბრუნდი საჭიდაო ხალიჩას.

**- ევროპის ჩემპიონატზე თუ ნერვიულობდით გამოუცდელობის გამო?**

- რა თქმა უნდა, ის რომ დებიუტანტი ვარ, ჩემზე მოქმედებდა, თუმცა ეს მხოლოდ საბრძოლველად გასვლამდე. ჭიდაობა რომ იწყებოდა ნერვიულობა თავისით ქრებოდა. როდესაც შენი ქვეყნის სახელით გამოდიხარ, უკან დახევა არ შეიძლება. ვიბრძოლე, იმდენი შევძელი, რომ ჩვენი ქვეყნის დროშა ჩემს საპატივცემულოდ ავაწევინე დარბაზში. აი, ჰიმნი კი ველარ დავაკვრევინე. არა უშავს, ამ ოცნებასაც ავიხდენ.

**- რა დაგაკლდათ ვილნიუსში?**

- ალბათ, თვითრწმენა. აზერბაიჯანელ მოჭიდავესთან მოგება შეიძლებოდა, მაგრამ ვერ განვეწყვე სათანადოდ. გამოცდილი რომ ვყოფილიყავი, ასეთი რამ არ დამემართებოდა.

**- როგორც ჩანს, ნაკრებში პირველნომრობის დათმობას აღარ აპირებთ...**

- ნებისმიერი სპორტსმენი პირველობისთვის უნდა იბრძოდეს, მეორე ხარ თუ ოცდამეორე უკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს. თუკი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლის შანსი მომეცემა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი ქვეყანა ვასახელო.

**- უახლოეს ხანებში რას აპირებთ?**

- ცოტას დავისვენებ, გორში ვარჯიშს შევუდგები, ზაფხულში კი სანაკრებო შეკრებებში ჩავერთვები. 10 აპრილს ტაშკენტში საერთაშორისო ტურნირში უნდა წავსულიყავი, მაგრამ ამ ტურნირის გამოტოვება გადავწყვიტე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ისე რა ევროპული დებიუტი

იტალიის ქალაქმა ტურინმა 1-5 აპრილს წყალმხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც 20 ქვეყნის მონაწილეთა შორის ორი ქართველი იყო: 19 წლის **ჭოლა ჭანტურია** და 17 წლის **შოთა კორახაშვილი**. ჩვენები ძალებს სამმეტრიანი ტრამპლინიდან ცდიდნენ, როგორც ინდივიდუალურ ხტომებში, ასევე – სინქრონულში. ქართველ სპორტსმენებს ევროპის ჩემპიონატზე დებიუტი ჰქონდათ.

ჩვენები ჯერ ინდივიდუალურ ხტომებში ჩაებნენ. 26 მონაწილეს შორის, ჭოლა ჭანტურია 322,20 ქულით მე-19 ადგილზე გავიდა, ხოლო შოთა კორახაშვილი 318,00 ქულით - მეოცეზე. ევროპის ჩემპიონი რუსი მხტომელი **ალექსანდრ დობროსკოკი** გახდა, ვერცხლის მედალი უკრაინელმა **ილია კვაშამ** მოიპოვა, ბრინჯაო წილად ხვდა მასპინძელ **მიკელე ბენედეტის**.

მეორე დღეს სინქრონული ხტომების ჯერი იყო, ჭოლამ და შოთამ ცუდად იასპარეზეს და სულ რაღაც 353,61 ქულას მოუყარეს თავი, მაშინ როცა მათი საუკეთესო შედეგი 380 ქულაა. მათ მხოლოდ მე-9 ადგილი დაიკავეს 11 გუნდს შორის (მხოლოდ პოლონელებს და ჰოლანდიელებს გაუსწრეს) და ფინალს მიღმა დარჩნენ. თავიანთი საუკეთესო შედეგი რომ ეჩვენებინათ, ისინი მე-5 ადგილზე გავიდოდნენ. სინქრონულ ხტომებში **ილია კვაშას და ოლექსეი პრიგოროვის** უკრაინული დუეტი გახდა. მეორეზე რუსები, მესამეზე კი იტალიელი წყალმხტომელები გავიდნენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი

# ტაილანდური შანსები

ქართველ მოჭადრაკეთა ხილვა სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ისეთ ეგზოტიკურ ქვეყანაში, როგორიც ტაილანდია, ჩვენებურის გამოჩენა ნამდვილად იძენს მოულოდნელობის ეფექტს. მიზეზი რამდენიმენაირი შეიძლება იყოს, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ეს ქვეყანა დიდი მასშტაბის საჭადრაკო ფორუმების მოწყობით არ არის ცნობილი და ამსიშორეზე სათამაშოდ ჩასვლა უცნაურია; თანაც ქართველ მოჭადრაკეთა ფინანსური შესაძლებლობის რომ მოგვეხსენება, მით უფრო გვიკვირს. არ ვიცი, რა კავშირი აქვს დიდოსტატ **მიხეილ კეკელიძეს** ტაილანდის ჭადრაკის ფედერაციასთან ან ბანკოკის ტურნირის ორგანიზატორებთან, მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში წასვლა არ დაიზარა და არცთუ სიძლიერით გამორჩეულ ტურნირში თამაშს დაჰყაბულდა. კეკელიძეს რეიტინგი 2486-ს უდრის და ამ ტურნირზე მერვეა განთესვით. პირველია ინგლისელი **ნაიჯელ შორტი** - 2674. შორტის ყოფნა ტურნირს პრესტიჟს კი მატებს, მაგრამ ცნობილ დიდოსტატთაგან სხვას ვერავის ვხედავთ - რეიტინგით მეორე ჩინელი **ლი შილონკია** - 2557. დამეთანხმებით, მაღალი მაჩვენებელი არ არის.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად იმართება. დღეისათვის 8 ტურია გასული და ქართველ დიდოსტატს არცთუ სახარბიელო ქულათა მარაგი აქვს - 5,5 ქულით მეთხუთმეტე ადგილზეა. რეიტინგის შესაფერისად ვერც შორტი ირჯება, მაგრამ არც ბევრით ჩამორჩება ლიდერებს - 6,5 ქულით მესამეზეა. პირველზე ჩინელი **სიუ დეშუნია** (2422) 7,5 ქულით, მეორეზე კი ირანელი **ელშან მარადიაბადი** (2512) ლიდერთან ნახევარქულიანი ჩამორჩენით.

ბოლო დღეს მიხეილ კეკელიძე თეთრებით ხვდება ჩინელ **შენ სიუანს** (2294) და თუკი მოიგებს, ათეულში შეაღწევს.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კიდმა მეჯიქს გაუსწრო



"დალას მავერიქსის" გამთამაშებელმა **ჯეისონ კიდმა** "ფინიქს სანზთან" მატჩის (140:116) მეორე მეოთხედში რიგით მე-14 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. ამის წყალობით, ვეტერანმა მცველმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო ასისტენტთა სიაში მესამე ადგილზე გადაინაცვლა. კიდმა ლეგენდარულ **მეჯიქ ჯონსონს** გაუსწრო და ამ მიღწევის გამო, American Airlines Arena-ზე შეკრებილმა პუბლიკამ ხანგრძლივი ოვაციები მოუწყო კალათბურთელს.

ჯეისონმა "ფინიქსის" წინააღმდეგ სამი მეოთხედი ითამაშა და 20 შედეგიანი პასის დარიგება მოასწრო, რაც ამ სეზონში მისი პირადი რეკორდია. დღეისთვის, 36 წლის გამთამაშებლის ანგარიშზე 10 146 შედეგიანი პასი მოდის.

ასისტენტთა სიაში დამაჯერებლად ლიდერობს "იუტა ჯაზის" ლეგენდარული გამთამაშებელი **ჯონ სტოქტონი** - 15 806, მეორეზეა - **მარკ ჯექსონი** (10 334). კიდი წელს ვერ მოასწრებს ამ უკანასკნელის გადასწრებას, მაგრამ მომდევნო სეზონში ის ლიგის ისტორიაში მეორე ასისტენტი გახდება.

# კლივლენდი ჯენინგსს უმიზნებს

ამერიკული პრესის ინფორმაციით, "კლივლენდ კავალიერზის" გენერალური მენეჯერი **დენი ფერი** ევროპას სტუმრობს. მისი ინტერესის სფეროში შედის რომის "ლოტომატიკას" მცველი **ბრენდონ ჯენინგსი**. "კლივლენდი" მომავალი სეზონისთვის გეგმავს ამ კალათბურთელის შეძენას.

გასულ ზაფხულს ჯენინგსმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. სკოლის დამთავრების შემდეგ პირდაპირ ევროპაში წავიდა სათამაშოდ. ის ერთადერთი ამერიკელი კალათბურთელია, რომელმაც უნივერსიტეტში გადასვლა არ ისურვა და კარიერის გაგრძელება ოკეანის გაღმა გადაწყვიტა. არადა, 19 წლის ჯენინგსი თავისი ასაკის კალათბურთელებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად ითვლება და NBA-ის დრაფტზე კარგი პერსპექტივებიც ჰქონდა.

# ბინუმი მზად არის



თუ "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარ მწვრთნელ **ფილ ჯექსონს** დავუჯერებთ, კალიფორნიული კლუბის ახალგაზრდა ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**, შესაძლოა, რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე დაუბრუნდეს მოედანს. ბინუმს მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო 31 იანვრის შემდეგ არ უთამაშია.

*"არსებობს მცირე შანსი იმისა, რომ ბინუმი ამ კვირის ბოლოს დაუბრუნდეს ჩემპიონატს. ის ნელ-ნელა შედის ფორმაში და ფიზიკურადაც კარგად არის მზად"*, - ამბობს ფილ ჯექსონი.

ბინუმი NBA-ის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ცენტრია, მაგრამ ტრავმებისკენ აქვს მიდრეკილება. იმავე მუხლის დაზიანების გამო, ენდრიუმ შარშან თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა.

# ჰემილტონი სასამართლოში ჩივის



"დეტროიტ პისტონზის" ერთ-ერთმა ლიდერმა **რიჩარდ ჰემილტონმა** სასამართლოში სარჩელი შეიტანა თავისი ყოფილი მენეჯერის **ჯოშ ნოჩიმსონის** წინააღმდეგ. ეს პიროვნება კონექტიკუტის უნივერსიტეტის ექსმენეჯერია. ჰემილტონი 90-იან წლებში ამ გუნდში იწყებდა კარიერას.

"დეტროიტის" მცველის უნივერსიტეტიდან NBA-ში გადასვლის შემდეგ, ნოჩიმსონი ჰემილტონის პირადი მრჩეველი და კომერციული დირექტორი გახდა. კალათბურთელი ამტკიცებს, რომ 2003-2008 წლების პერიოდში, ნოჩიმსონმა მას მილიონი დოლარი მოპარა. თუ რიჩარდს დავუჯერებთ, მენეჯერი უკანონოდ სარგებლობდა "ამერიკენ ექსპრესის" საკრედიტო ბარათით.

*"გული მიგრძნობს, რომ ეს ხანგრძლივი სასამართლო პროცესი იქნება. მოსამართლეებს ბევრი რამ ექნებათ გასარკვევი"*, - განუცხადა სააგენტო "როიტერს" ჰემილტონმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# პლეი ოფი ფინიქსის გარეშე ჩაივლის

## ტურის მატჩი: ნიუ ორლეანი-იუტა



სასტარტო მეოთხედის დასაწყისში გუნდებმა თანაბარი თამაში აჩვენეს. პირველი გაქცევა სტუმრებისა იყო. **მეჰმეთ ოქურის** ჩატენვისა და მისივე ზუსტი საშუალო ტყორცნის წყალობით, "იუტამ" ოთხქულიანი უპირატესობა მოიპოვა (16:12). **ბაირონ სკოტმა** მაშინვე ტაიმ-აუტი აიღო. მაგრამ ამ პაუზამ "ნიუ ორლეანს" არ არგო. **რონი ბრიუერმა, ანდრეი კირილენკომ** და **დერონ უილიამსმა** სტუმრების უპირატესობა ცხრა ქულამდე აიყვანეს - 23:14. **კრის პოლმა** ოდნავ შეამცირა სხვაობა, მაგრამ დროებით. ოქურმა და უილიამსმა "ჰორნეთსში" მსუბუქ ნოკდაუნში გაგზავნეს - 32:17. სკოტის მორიგი პაუზა, მაგრამ "იუტას" შეჩერება შეუძლებელი იყო. პირველი მეოთხედის დასრულებამდე ორი წამით ადრე, კირილენკოს სამქულიანმა "ნიუ ორლეანის" მდგომარეობა კატასტროფული გახადა - 41:19.

მეორე მეოთხედში მდგომარეობა არ შეცვლილა. "იუტა" რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა, მასპინძლები კი მხოლოდ დამკვირვებლის სტატუსით კმაყოფილდებოდნენ. ტაბლოზე 64:37 იყო დაფიქსირებული, როცა დერონ უილიამსმა და **კარლოს ბუზერმა** ულამაზესი დანკი აჩუქეს მაყურებელს. პირველმა სამქულიანის ხაზიდან ფარისკენ ააგდო ბურთი, იქ კი ბუზერი იყო დადარაჯებული, რომელმაც ბურთი ფარში ჩააჭედა. ამ ეპიზოდმა NBA.com-ის მიერ შერჩეული დღის 10 საუკეთესო მომენტს შორის მეექვსე ადგილი დაიკავა.

დიდ შესვენებაზე ბაირონ სკოტმა კარგად შეაფუცხუნა თავისი შეგირდები და მასპინძლებმა 27 ქულით წინ გაჭრილი სტუმრების დაწევა დაიწყეს. **პრედრაგ სტოიაკოვიჩის** ექვსი, პოლის რვა, **დევიდ უესტის** 10 ქულა და "იუტას" უპირატესობა 11 ქულამდე დავიდა. მოახლოებული კატასტროფა პირველებმა ოქურმა და ბრიუერმა იგრძნეს და მეოთხე მეოთხედის დასაწყისში "დაბომბეს" "ნიუ ორლეანის" ფარი. ამან "იუტას" დამრიგებელ **ჯერი სლოუნს** თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება მისცა, მით უმეტეს, რომ მეორე მატჩში, "ფინიქს სანზი" "დალასთან" დიდი ანგარიშით აგებდა. სწორედ "ფინიქსი" იყო ბოლო გუნდი, რომელსაც შეეძლო "იუტასთვის" პლეი ოფში გასვლაში შეეშალა ხელი.

საბოლოოდ, 21:18 ბოლო მეოთხედში და 108:94 მატჩში - "იუტამ" "ფინიქსის" ნაგების გათვალისწინებით, დასავლეთ კონფერენციაში მერვე ადგილი და შესაბამისად, პლეი ოფის საგზური გაინაღდა.

*"იუტა" ჩვენთვის ყოველთვის უხერხული მეტოქე იყო. ის მუდმივად ისეთ პრობლემებს გვიქმნის, რომელთა გადაჭრა ჩვენს გუნდს არ შეუძლია. ლიგის ყველა გუნდს შორის, "ჯაზმენებთან" ყველაზე უარესი სტატისტიკა გვაქვს"*, - განაცხადა "ნიუ ორლეანის" გამთამაშებელმა კრის პოლმა, რომლის გუნდმაც წელს ერთი თამაშიც ვერ მოუგო "ჯაზს".

*"ამ მარცხის მიზეზი სადღაც ჩვენს გონებაში უნდა ვეძიოთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩემს კალათბურთელებს არ სჯერათ "იუტაზე" გამარჯვება. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მატჩის შემდეგ ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. ვფიქრობ, პლეი ოფში თუ ასე ვითამაშებთ, იქ დიდხანს არავინ გაგვაჩერებს"*, - დაასკვნა "ჰორნეტსის" დამრიგებელმა ბაირონ სკოტმა.

## ტურის გმირი: ჩონსი ბილაპსი

"დენვერ ნაგეტსის" გამთამაშებელი **ჩონსი ბილაპსი** იმით არის ცნობილი, რომ ის კალათბურთის თამაშისგან სიამოვნებას იღებს და ამასთან, მოედანზე ზედმეტად არ იტვირთავს თავს. მაგალითად, დანკს მისი შესრულებით იშვიათად თუ ნახავთ. სწორედ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი "მინესოტასა" და "დენვერის" მატჩის მესამე მეოთხედში.

ბილაპსი გაკვირვებულ ჟურნალისტებს ირონიულად უხსნიდა თავისი "გმირობის" მიზეზებს: *"ჩემს შვილებს არ სჯეროდათ, რომ კიდევ შემეძლო დანკის შესრულება. იმედი მაქვს, ჩემი ქალიშვილი უყურებდა მატჩს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მან მსგავსი რამ, შესაძლოა, ველარ იხილოს"*.

## ტურის რიცხვი: 3250$

"დალასისა" და "ფინიქსის" მატჩში ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. გარდა იმისა, რომ **ჯეისონ კიდმა** შედეგიანი გადაცემების რაოდენობით **მეჯიქ ჯონსონს** გადაასწრო, 3250 დოლარი გამოიმუშავა ვინმე **ფიშერ ფლოიდმა**. ეს NBA-ის კალათბურთელი არ გახლავთ, რიგითი გულშემატკივარია, რომელმაც შესვენებაზე მოედნის ცენტრიდან ტყორცნების კონკურსი მოიგო.

### კლივლენდი-სან ანტონიო 101:79

28:27, 27:15, 23:21, 23:16

კ: ლ. ჯეიმსი (38+7 მოხსნა+6 პასი), დ. უესტი (22), მ. უილიამსი (22), ილგაუსკასი (8+10 მოხსნა).

ს-ა: ტ. პარკერი (24), გუდენი (15).

### დალასი-ფინიქსი 140:116

39:33, 42:26, 33:25, 26:32

დ: ნოვიცკი (28), ჯ. ჰოვარდი (24), კიდი (19+20 პასი), ტერი (18), ბასი (14), ბარეა (12), სინგლტონი (10).

ფ: ბარბოზა (24), ჰილი (23), შ. ო'ნილი (14+7 მოხსნა), ტაკერი (13), ნეში (12+8 პასი), დრაგიჩი (12), დადლი (10).

### დეტროიტი-შარლოტი 104:97

24:17, 27:27, 17:25, 36:28

დ: ბინუმი (32+7 პასი), პრინსი (14), ჰემილტონი (13), რ. უოლასი (12+6 პასი+3 ჩაჭრა), აფლალო (12).

შ: ოგუსტინი (22), ფელტონი(18), დიაო (14+7 მოხსნა+6 პასი), ოკაფორი (14+16 მოხსნა), ჯ. უოლასი (11).

### ტორონტო-ნიუ იორკი 103:112

34:33, 20:32, 22:27, 27:20

ტ: ბოში (31+14 მოხსნა), ბარნიანი (18+7 მოხსნა), ე. პარკერი (15+3 ჩაჭრა), მერიონი (13+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კალდერონი (12+6 პასი).

ნ-ი: ჩენდლერი (17), დ. ლი (16+10 მოხსნა), კ. რიჩარდსონი (16), ჯეფრისი (14), რობინსონი (13+7 პასი), დუჰონი (12), ჰარინგტონი (12+10 მოხსნა).

### ჰიუსტონი-პორტლენდი 102:88

31:25, 23:18, 18:21, 30:24

ჰ: იაო მინი (21+12 მოხსნა), სკოლა (16), არტესტი (15), ბრუქსი (14), ვაფერი (12), ჩ. ჰეიესი (9+10 მოხსნა).

პ: როი (22+6 პასი), ოლდრიჯი (22+9 მოხსნა+3 დაფარება), აუთლო (15).

### მინესოტა-დენვერი 87:110

20:27, 20:33, 22:27, 25:23

მ: ტელფეირი (18), კარნი (16), შ. უილიამსი (14+12 მოხსნა), გომესი (13), ბ. ბრაუნი (12), მ. მილერი (7+10 მოხსნა+6 პასი).

დ: ენტონი (23+8 მოხსნა), ბილაპსი (17+7 პასი), კლეიზა (14), სმიტი (12), ნენე (12+7 მოხსნა).

### ნიუ ორლეანი-იუტა 94:108

19:41, 20:25, 37:21, 18:21

ნ-ო: დ. უესტი (23+12 მოხსნა), რ. ბატლერი (21), პოლი (19+12 პასი).

ი: რ. ბრიუერი (23), დ. უილიამსი (21+11 პასი+3 ჩაჭრა), ოქური (18), კირილენკო (16), ბუზერი (10+10 მოხსნა).

### ოკლაჰომა-ინდიანა 99:117

19:31, 29:26, 19:33, 32:27

ო: დურანტი (25), კოლისონი (15+3 ჩაჭრა), უაიტი (14), უესტბრუკი (11+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჯ. გრინი (11), ლივინგსტონი (10+7 მოხსნა).

ი: გრეინჯერი (24), მერფი (22+9 მოხსნა), ჰიბერტი (17+8 მოხსნა), ჯეკი (14), ბ. რაში (13), ფორდი (12+4 ჩაჭრა).

### ნიუ ჯერსი-ფილადელფია 96:67

18:20, 32:19, 18:12, 28:16

ნ-ჯ: ვ. კარტერი (15), ბ. სიმონსი (14), დ. ჰარისი (13+7 მოხსნა+7 პასი), ჯ. ჰეიესი (13), დაგლას-რობერტსი (13), ბ. ლოპესი (13+8 მოხსნა), დულინგი (10).

ფ: ლ. უილიამსი (14+3 ჩაჭრა), დალემბერი (9+11 მოხსნა+3 დაფარება), რ. ევანსი (4+11 მოხსნა).

### საკრამენტო-გ. სტეიტი 100:105

23:18, 19:32, 27:36, 31:19

ს: ბ. ჯექსონი (17), უდრიხი (16+6 პასი), მაკენტსი (14), ტომპსონი (14+11 მოხსნა), ნოჩიონი (13+15 მოხსნა+4 დაფარება), გრინი (11), გარსია (10).

გ-ს: აზუბუიკე (30+15 მოხსნა), კროუფორდი (20+8 მოხსნა), უოტსონი (18+6 პასი+3 ჩაჭრა), მოროუ (18), ე. რენდოლფი (8+13 მოხსნა+4 ჩაჭრა).

### ლეიკერსი-კლიპერსი 88:85

30:17, 24:27, 14:12, 20:29

ლ: ბრაიანტი (18), ოდომი (18+10 მოხსნა), პ. გასოლი (14+9 მოხსნა).

კ: ე. გორდონი (24+8 მოხსნა), ზ. რენდოლფი (18+10 მოხსნა), ბ. დევისი (11), ფ. ჯონსი (10), სკინერი (7+13 მოხსნა).

ფორმულა 1

# საღამოს რბოლა არ შეიძლება

## პილოტები უკმაყოფილონი არიან ექლსტოუნის ექსპერიმენტით

ფორმულა 1-ის პილოტები უკმაყოფილონი დარჩნენ მალაიზიის გრანპრის ჩატარების დროით. მათი აზრით, რბოლის საღამოს საათებში გამართვა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. თავის მხრივ, ეტაპის საღამოს გადატანის ინიციატორი **ბერნი ექლსტოუნი** მიიჩნევს, რომ ყველაფერში წვიმა იყო დამნაშავე.

რბოლა, რომელიც პილოტებმა ერთ-ერთ სახიფათოდ მონათლეს თავიანთ კარიერაში, წვიმის გამო შეწყდა და შემდეგ ტრასაზე ჩამოწოლილი ბინდის გამო აღარ განახლდა. *„როცა რბოლა შეწყვიტეს, მისი გაგრძელება უკვე ძალიან სახიფათო იყო. ასეთ სიტუაციაში ბრძოლა შეუძლებელია, ამიტომაც სწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული“*, - განაცხადა მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **ლუის ჰემილტონმა**. *„ჩემი აზრით, ეს ყველაზე სახიფათო ეტაპი იყო, რომელშიც კი ოდესმე მიმიღია მონაწილეობა“*, - დაამატა 24 წლის ინგლისელმა.

რბოლა ადგილობრივი დროით 17 საათზე დაიწყო. ეს იმის გამო გაკეთდა, რომ ევროპაში მალაიზიის გრანპრის უფრო დიდი ტელეაუდიტორია ჰყოლოდა. ამასთან, გრანპრის ორგანიზატორებმა განათებაზე ფულის დაზოგვა გადაწყვიტეს, რამაც მრბოლელთა მხრიდან კრიტიკა გამოიწვია. *„არ მგონია, ეს გენიალური იდეა ყოფილიყო“*, - ამბობს ეტაპის ტრიუმფატორი **ჯენსონ ბატონი**.

„მაკლარენისა“ და „ბრაუნ გრანპრის“ პილოტებს ეთანხმება „ფერარის“ ნევრი ფელიპე მასა. *„რბოლა ან ღამით უნდა გაიმართოს ან დღის საათებში, და არა მათ შორის საღამოს პერიოდში. ეს ნამდვილი სიგიჟეა, რადგან ტრასაზე ძალიან ცუდი ხილვადობაა“*, - აღნიშნა ბრაზილიელმა.

მსგავსი აზრი გამოხატა „BMW-ზაუბერის“ დირექტორმა **მარიო ტიისენმა:** *„განათების გარეშე რბოლა ამ დროს არ უნდა მთავრდებოდეს“*.

შეგახსენებთ, 31-ე წრეზე შეწყვეტილი რბოლის განახლებას პილოტები დაახლოებით 45 წუთი ელოდნენ, მაგრამ რესტარტი არ შედგა. მართალია, წვიმამ იკლო, მაგრამ პილოტები ტრასაზე სწორედ ცუდი ხილვადობის გამო არ გაუშვეს. საბოლოოდ, ჩასათვლელ ზონაში მოხვედრილმა მრბოლელებმა კუთვნილი ქულების ნახევარი მიიღეს, რადგან მთლიანი დისტანციის 75 პროცენტი არ ჰქონდათ გავლილი. ფინიში 31 წრეზე დააფიქსირეს. **ბატონმა** ზედიზედ მეორე რბოლა მოიგო, **ნიკ ჰაიდფელდი** მეორეზე გავიდა, **ტიმო გლოკი** - მესამეზე. „ფერარი“ ისევ უქულოდ დარჩა, სამაგიეროდ, პირველი ქულა ჩაიწერა აქტივში „მაკლარენმა“.



### განსხვავებული აზრი

ფორმულა 1-ის მფლობელ **ბერნი ექლსტოუნს** მიაჩნია, რომ რბოლის გვიან დაწყება სავსებით ნორმალური მოვლენაა. მისი სიტყვებით, „სეპანგის“ ტრასაზე ქაოსი წვიმის ბრალი იყო.

*„მე არ მიმაჩნია, რომ პრობლემები ეტაპის დაწყების დრომ წარმოშვა. ჩვენ უბრალოდ ვერ ვიწინასწარმეტყველებდით წვიმას. თუ რბოლას 14 საათზე დავიწყებდით, მაშინაც წვიმაში მოგვიწევდა გამოსვლა. ასე რომ, მე მხოლოდ უამინდობის გამო შემიძლია ბოდიში მოგიხადოთ“*, - აღნიშნა ექლსტოუნმა.

ბრიტანელის პოზიციას იზიარებს „რენოს“ შეფი **ფლავიო ბრიატორე**. *„პრობლემა ამინდმა წარმოშვა. ეტაპის დროის მართვა შესაძლებელია, მაგრამ უამინდობას ვერაფერს მოვუხერხებთ“*, - აცხადებს იტალიელი.

ექლსტოუნის პოზიციის მიუხედავად, მალაიზიის გრანპრის ორგანიზატორები პილოტებს დაჰპირდნენ, რომ მომავალი გრანპრისთვის წელს მომხდარ ინციდენტს დეტალურად შეისწავლიან.

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბირმინგემი-ვულვზი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ბარტონი-ტორკი | 0:1 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/A** | |
| ჩეზენა-პროპატრია | 0:0 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ფრაიბურგი-ალენი | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ამიენი-ლანსი | 0:0 |
| **პორტუგალია** | |
| რიუ ავე-ნასიონალი | 0:3 |
| **დანია** | |
| ოდენსე-რანდერსი | 3:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-ტრომსიო | 2:4 |
| **შვედეთი** | |
| იურგორდენი-ერებრუ | 1:0 |
| გეფლე-კალმარი | 1:1 |
| ჰელსინგბორგი-გიოტებორგი | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| შაფჰაუზენი-ლოზანა | 0:0 |
| ვინტერტური-ლუგანო | 2:2 |
| **საბერძნეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ილისიაკოსი-ეთნიკოსი | 3:2 |
| **[illegible]** | |
| გაზიანთეფი-გალათასარაი | 0:1 |
| **[illegible]** | |
| დიარბაქირი-[illegible] | 2:0 |
| **კვიპროსი** | |
| ომონია-აპოელ | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-ლიბერეცი | 1:1 |
| **ბულგარეთი** | |
| სლივენი-მინიორი | 0:1 |
| **ისრაელი** | |
| აშდოდი-მაკაბი (ჰ) | 0:3 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-აკ ბარსი | 2:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| სკალიცა-კოშიცე | 8:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. კასაბლანკა** | |
| **ჟილი-მარტინი** | 6:3, 3:6, 7:6 |
| **ლუბიჩიჩი**-კლემანი | 7:6, 5:7, 6:4 |
| ბელუჩი-**სერა** | 3:6, 3:6 |
| **ნავარრო**-სტახოვსკი | 7:5, 6:2 |
| **ჰანესკუ**-დარცისი | 6:4, 7:5 |
| **ATP. ჰიუსტონი** | |
| მელცერი-კენდრიკი | 6:1, 7:5 |
| **WTA. მარბელია** | |
| პირონკოვა-**ვინჩი** | 7:6, 2:6, 4:6 |
| **კირსტეა**-ოლარუ | 6:4, 6:2 |
| **ვაიდიშოვა**-კერბერი | 3:6, 6:4, 6:4 |
| **WTA. პონტე ვედრა** | |
| კუდრიავცევა-**კეისი** | 5:7, 4:6 |
| **ე. ბონდარენკო**-სტრიკოვა | 7:6, 6:2 |
| **მეირი**-მორიტა | 6:3, 2:6, 6:3 |
| **ა. ბონდარენკო**-მირზა | 6:4, 6:3 |

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლოები: ოთხიდან ოთხი!

**სებასტიან ლოები** ისევ პირველია. რალის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ეტაპი გაიმართა და ლეგენდარულმა ფრანგმა მეოთხე გამარჯვებას მიაღწია.

ამჯერად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს გაუჭირდა ფინიშზე პირველი მისვლა. პორტუგალიის ეტაპის პირველი სპეცმონაკვეთის პირველივე მოსახვევში ლოებმა უხეში შეცდომა დაუშვა. მისდა საბედნიეროდ, ტრასიდან გადავარდნილი „სიტროენი“ არ დაზიანებულა და ფრანგმა ბრძოლა გააგრძელა, თუმცა საკმაოდ ბევრი დრო დაკარგა.

ლოების შეცდომით ჯერ „ფორდის“ ფინელმა პილოტმა **იარი-მატი ლატვალამ** ისარგებლა და ლიდერობა მოიპოვა, შემდეგ ის ესპანელმა **დანი სორდომ** („სიტროენი“) შეცვალა, მაგრამ საყოველთაო ყურადღება არა სორდოს, არამედ ლეგენდარული ფინელის **მარკუს გრონჰოლმისკენ** იყო მიპყრობილი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ერთწლიანი შესვენების შემდეგ ერთი რბოლისთვის დაუბრუნდა რალის და პორტუგალიაში „სუბარუს“ საჭეს მიუჯდა. პარასკევს, ოთხი სპეცმონაკვეთის შემდეგ, ვეტერანი სენსაციურად მეორე ადგილზე იმყოფებოდა და ლიდერთან მხოლოდ სამ წამს აგებდა!

მაგრამ ფინელმა 20 წამი შეალია შენელებული მეტოქის მტვერში გასწრებისას, რამაც ის მეოთხე ადგილზე ჩამოაგდო, შაბათს კი პირველ სპეცმონაკვეთზე გრონჰოლმი შეცდა და ფინიშამდე მისვლა ვერ შეძლო.

შაბათს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ლოებმა გააბათილა ახალ ლიდერთან - ფინელ **მიკო ჰირვონენთან** 18-წამიანი ჩამორჩენა და ბოლოს თითქმის ნახევარი წუთი მოუგო საერთო ჩათვლაში თავის უახლოეს კონკურენტს.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგი ეტაპი 24-26 აპრილს არგენტინაში გაიმართება. საინტერესოა, ვინ შეძლებს ამ სეზონში პირველად ლოების დამარცხებას?

**IV ეტაპი**

**პორტუგალიის რალი**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 3:53.13,1; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი“) - +24,3; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი“) - +1.45,4; 4. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“) - +2.44,6; 5. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - +5.46,3; 6. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ“) - +6.20,8; 7. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“) - +12.59.5; 8. **ხალიდ ალ ქასამი** (საემიროები, „ფორდი“) - +18.21,7.

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი“) - 40 ქულა; 2. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი“) - 30; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი“) - 23; 4-5. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სიტროენი“), **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი“) - 14; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „სტობარდი“) - 6; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი“) - 6; 8-9. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი“), **კრის ატკინსონი** (ბრიტანეთი, „სუბარუ“) - 4.




ჰოკეი

NHL რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-მინესოტა 3:2**

2:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ჰუდლერი-23 (ზეტერბერგი-39), 2:0 დაციუკი-32 (მარიან ჰოსა-30, ჰოლმსტრომი-20), 2:1 კლატერბეკი-10, 2:2 გაბორიკი-10 (კლატერბეკი-7, ოლვეცკი-4), 3:2 მარიან ჰოსა-38 (ჰოლმსტრიომი-21, დაციუკი-63).

**ვაშინგტონი-ატლანტა 6:4**

1:1, 1:2, 4:1

**გოლები:** 1:0 ფლიშმანი-18, 1:1 კ. არმსტრონგი-20 (ვიაჩ. კოზლოვი-48, პევერლი-27), 1:2 სლეიტერი-8 (პერენი-16), 2:2 კ. ოკუანი-2 (ოვეჩკინი-50, სიომინი-44), 2:3 კოვალჩუკი-42 (ბ. ლიტლი-20, ტ. უაიტი-50), 3:3 ნიულანდერი-9 (ლეიჩი-20, ფერი-13), 4:3 ფერი-12 (ლეიჩი-21, ნიულანდერი-23), 5:3 სიომინი-31 (ფლიშმანი-17, კ. ოკუანი-3), 5:4 ვიაჩ. კოზლოვი-26, 6:4 ლეიჩი-20 (ბექსტრიომი-61, ოვეჩკინი-51).

**ანაჰაიმი-სან ხოსე 2:3**

1:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ნოკელაინენი-4 (ს. ნიდერმაიერი-42, მარჩანტი-13), 1:1 რიონიკი-4 (ჯ. ტორნტონი-60, ჩიჩუ-17), 2:1 პერი-31 (სელიანე-25, გეტცლაფი-65), 2:2 პაველსკი-24 (ბოილი-40, ერჰოფი-32), 2:3 ჩიჩუ-12 (ერჰოფი-33, ბოილი-41).

**კოლამბუსი-ჩიკაგო 0:1 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 0:1

**გოლი:** 0:1 ვერსტეეგი-22 (ლედი-32).

**ფლორიდა-პიტსბურგი 4:2**

2:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ოლეში-4 (კალიმორი-8, მაკეიბი-23), 1:1 დუპუი-11 (ტ. კენედი-18, ჯ. სტაალი-22), 2:1 მაკეიბი-14 (უეისი-43, ბოუმისტერი-25), 3:1 ბუტი-28 (ბოუმისტერი-26, სტილმანი-32), 3:2 იტონი-4 (ლეტანგი-22, კუნიტცი-28), 4:2 პელტონენი-12 (ოლეში-5, სკრასტინსი-12).

**ვანკუვერი-კოლორადო 1:4**

0:1, 0:1, 1:2

**გოლები:** 0:1 გალიარდი-2 (ჰეიდუკი-30, ტაკერი-7), 0:2 გიტი-5 (ვოლსკი-28, სვატოსი-20), 0:3 ჰეიდუკი-27, 0:4 გალიარდი-3 (ჰეიდუკი-31, ტაკერი-8), 1:4 დემიტრა-20.

TV პროგრამა

**7 აპრილი. სამშაბათი**

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-პორტუ (LIVE).
**01:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:40** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**07:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**08:10** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:10** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ნიცა.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**14:10** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:20** ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:20** გასული კვირის ჰიტ-ალლუმი.
**20:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**2υ:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:30** გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი (LIVE).
**00:40** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-პორტუ.
**02:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვილიარეალი-არსენალი.
**04:50** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**05:55** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. მანჩესტერ იუნ-პორტუ.

**EUROSPORT**

**10:30** მულტისპორტი.
**10:45** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**11:30** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 62 კგ. რუმინეთი.
**13:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-გერმანია. კანადა.
**15:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ლიონი.
**16:45** ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ფრან რიბერი.
**17:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-სპორტინგი.
**18:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. 53 კგ. რუმინეთი (LIVE).
**20:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 62 კგ. რუმინეთი.
**21:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. რუმინეთი (LIVE).
**23:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ფინეთი-გერმანია. კანადა (LIVE).
**01:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. პორტუგალია.
**02:00** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. ესპანეთი.
**02:30** ავტომოტოსპორტი. ტესტ-რეიდი.
**02:40** მოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
**03:00** ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. 69 კგ. რუმინეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ავტოსპორტი. GP2-ის სერია (აზიის სერია). I რბოლა. მალაიზია.
**12:30** ავტოსპორტი. GP2-ის სერია (აზიის სერია). II რბოლა. მალაიზია.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** ექსტრემალური სპორტი.
**15:15** ახალი ამბები.
**16:00** კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". ფინალი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ხიმკი (რუსეთი).
**17:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**18:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ტელეჟურნალი.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** მოტოკროსი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბულგარეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ავტოსპორტი. ლე მანის რბოლა ამტანობაზე. 1000 კმ. ესპანეთი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** სერფინგი. ავსტრალია.
**22:15** კალათბურთი. ევროთასი. "რვათა ფინალი". ფინალი. ლეტუვოს რიტასი (ლიტვა)-ხიმკი (რუსეთი).
**23:30** ავსტრალიური ფეხბურთი. ტელეჟურნალი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:45** სერფინგი. ავსტრალია.
**02:00** ახალი ამბები.
**02:45** სერფინგი. ავსტრალია.
**03:00** ახალი ამბები.
**03:45** სერფინგი. ავსტრალია.
**04:00** ახალი ამბები.
**04:45** სერფინგი. ავსტრალია.
**05:00** ახალი ამბები.

ჩოგბურთი

# ენდი ჯოკერს ავიწროებს



მაიამის ტურნირის დაწყებამდე ცოტა ვინმეს თუ სჯეროდა, რომ ბრიტანელი **ენდი მიურეი** სეზონის მეორე მასტერსის ტრიუმფატორი გახდებოდა. ბრწყინვალე ფორმაში იყო **რაფაელ ნადალი**, წარმატებულ თამაშს ელოდნენ **როჯერ ფედერერისგან, ნოვაკ ჯოკოვიჩს** კი აშკარად ეტყობოდა, რომ ნელნელა იბრუნებდა საბრძოლო კონდიციებს. სწორედ ამის გამო, ბრიტანელ ჩოგბურთელს ბევრი არ იღებდა სათვალავში.

მაგრამ ენდიმ თქვა და გააკეთა. ინდიან უელსის მასტერსის ფინალში ნადალთან წაგების შემდეგ, მიურეიმ განაცხადა, რომ ეს ტურნირი მაიამის მასტერსისთვის მოსამზადებლად გამოიყენა.

მაშინ შოტლანდიელის ამ სიტყვებისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ. ძალიან მტკივნეული იყო მარცხი ნადალთან (1:6, 2:6), გარდა ამისა, ზედიზედ ორ ტურნირში წარმატების მისაღწევად, მიურეის თითქმის ოთხი კვირა სპორტული ფორმის პიკზე ყოფნა სჭირდებოდა, ეს კი ურთულესი საქმეა.

დაბოლოს, ტურნირის ბადეც საკმაოდ რთული ჰქონდა - **დავიდ ნალბანდიანი, ფერნანდო გონსალესი, ფერნანდო ვერდასკო**, რომელთანაც ავსტრალიის ღიაზე წააგო... მაგრამ ენდის მოტივაციაც საკმარისი გააჩნდა - მაიამის მოგების შემთხვევაში, ის კარიერაში პირველად ძალიან მიუახლოვდებოდა რეიტინგის მესამე პოზიციას. ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ბრიტანელებს მაიამიში არასოდეს გაემარჯვათ.

საბოლოოდ რა მივიღეთ? **ხუან მონაკო** მეორეში, **ნიკოლას მასუ** (შეპირებული **მარდი ფიშის** ნაცვლად) - მესამეში... მიურეის არც ნალბანდიანთან მოუწია შეხვედრამ, რადგან არგენტინელს **ვიქტორ ტროიცკი** გაუსწორდა. დაგეგმილი მეტოქეებიდან მხოლოდ ფერნანდო ვერდასკომ ივარგა და მეოთხედფინალში გადაეყარა ბრიტანელს. მაგრამ ესპანელს არ გაუმართლა: მატჩის მეორე გეიმში ზურგის ტრავმა მიიღო და ვერ შეძლო თავისი საუკეთესო თამაშის ჩვენება.

მიურეისთვის ნახევარფინალური მატჩი ყველაზე რთული გამოცდა უნდა ყოფილიყო. ბადის მიხედვით, იქ მას ნადალთან შეხვედრა ელოდა, მაგრამ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** მოუწია დუელმა. ესპანელისა და არგენტინელის მეოთხედფინალი ნებისმიერ შემთხვევაში ხელს აძლევდა ენდის, რადგან ნადალი და დელ პოტრო ერთმანეთთან ბრძოლას დიდ ენერგიას დაახარჯავდნენ. ასეც მოხდა და ხუან მარტინი დაღლილი შეხვდა მიურეისთან ნახევარფინალს. არგენტინელმა მეორე სეტში 7:5 მოიგო, მაგრამ პირველსა და მესამეში უბრძოლველად წააგო - 6:1 და 6:2.

როცა კორტზე მიურეისა და ჯოკოვიჩს ვხედავთ, ეს ნიშნავს, რომ "მასტერსის" სერიის ტურნირს ვუყურებთ - ბოლო ორ სეზონში მათ გულშემატკივრები სწორედ ამ წესს მიაჩვიეს და სხვა ტურნირებში ერთმანეთს არ გადაჰყრიან. ექვსი მატჩი: ჯოკოვიჩის ოთხი მოგება, ოღონდ დიდი ხნის წინ და მიურეის ორი მოგება შარშანდელ სეზონში. მეტოქეები მაიამიში მეორედ თამაშობდნენ. ორი წლის წინ, ბრიტანელმა "იყოჩაღა" და გეიმი მოუგო სერბს - მხოლოდ ერთი გეიმი, მაგრამ იმ მატჩის გახსენებას აზრი არ ჰქონდა. მას შემდეგ მიურეიმ უდიდეს პროგრესს მიაღწია.

ნოვაკ ჯოკოვიჩმა თავის ნახევარფინალში როჯერ ფედერერს მოუგო. უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით - მან ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ხელი არ შეეშალა შვეიცარიელისთვის ამ მატჩის წაგებაში. ისე, ამასაც ცოდნა უნდა. სერბმა უფრო რთული მეტოქეები გაიარა - **მატიო, ბერდიხი, ცონგა**, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ფინალი ყოველთვის განსაკუთრებული მატჩია.

პირველმა სეტმა ერთგვარი გაკვირვება გამოიწვია. მართალია, ფინალის წინ მიურეი ამბობდა, რომ ისწავლა ჯოკოვიჩის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ პირველ ოთხ გეიმში ორი ბრეიკის აღება - ფინალისთვის მეტისმეტი იყო. სერბმა გახურება ვერ მოასწრო, რომ უკვე 0:4-ს აგებდა. ჯოკოვიჩის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო თამაშის დალაგება, თუმცა პირველი სეტის გადარჩენა არ მოხერხდა - 2:6.

მეორე პარტიის დასაწყისი პირველის ანალოგიური იყო - მიურეიმ პირველივე ცდაზე მოიგო მეტოქის მოწოდება. ამით მსგავსება დასრულდა. ჯოკოვიჩი ზუსტად ათამაშდა. მიურეიმ კი საერთოდ დაანება თამაშს თავი. შედეგად, "ჯოკერი" 5:2 დაწინაურდა. საქმე თითქმის გაკეთებული იყო. მეტოქეებს მესამე სეტის თამაში მოუწევდათ, მაგრამ... მთელი მატჩის განმავლობაში, მიურეის არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია, ჯოკოვიჩი კი ხუთჯერ შეცდა, თანაც ერთხელ სეტ-პოინტზე. მატჩის შემდეგ, სერბმა ეს წაგება მთლიანად საკუთარ თავს გადააბრალა: *"დღეს მე საკუთარი თავის მტერი ვიყავი. ორი სეტ-პოინტი მქონდა... აუცილებლად უნდა გამომეყენებინა ეს შანსი და ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები მესამე სეტში".*

მიურეიმ ზედიზედ ხუთი გეიმის აღება მოახერხა და ამ სეზონში მესამე ტურნირი მოიგო. წელს ეს მამაკაცთა ტურში საუკეთესო მაჩვენებელია. გარდა ამისა, რეიტინგში ენდი ჯოკოვიჩს მიუახლოვდა. წინ თიხნარის სეზონია. შარშან გრუნტზე მიურეიმ უკეთ ითამაშა, ვიდრე ნოვაკმა, ამიტომაც ბრიტანელს მესამეზე გადასვლის კარგი შანსი აქვს.

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:2, 7:5.

ფოტოინფო



პაპარაცები მოსვენებას არ აძლევენ WTA-ის ტურის ყოფილ ვარსკვლავ **ანა კურნიკოვას**. რუსმა ერთ-ერთი მოდური ჟურნალისთვის მორიგი ფოტოსესია გამართა - ანამ საცურაო კოსტიუმში გადაიღო ფოტოები.

თუმცა პაპარაცები არ დაელოდნენ ფოტოების ოფიციალურ პრეზენტაციას და ინტერნეტში ფოტოსესიის საკუთარი ვერსია განათავსეს. ამ სურათებზე კურნიკოვა აუზში წყლის პროცედურებს იღებს.

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). რაფაელ ნადალი (ესპ) | 14 470 |
| 2(2). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 11 020 |
| 3(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 9 010 |
| 4(4). ენდი მიურეი (ბრიტ) | 8 840 |
| 5(7). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 4 790 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 4 340 |
| 7(8). ჟილ სიმონი (საფ) | 4 010 |
| 8(9). ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 3 760 |
| 9(5). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 3 735 |
| 10(10). გაელ მონფილსი (საფ) | 3 600 |
| 11(11). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 305 |
| 12(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 3 125 |
| 13(13). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2 825 |
| 14(16). ტომი რობრედო (ესპ) | 2 765 |
| 15(15). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2 735 |
| 16(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 2 620 |
| 17(14). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2 580 |
| 18(19). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 520 |
| 19(19). რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 2 410 |
| 20(20). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 210 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპ) | 2 263 985 |
| 2. ენდი მიურეი (ბრიტ) | 1 559 437 |
| 3. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 023 000 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 1 004 573 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 936 654 |
| 6. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 499 004 |
| 7. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) | 476 236 |
| 8. ფერნანდო ვერდასკო (ესპ) | 464 490 |
| 9. რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) | 410 058 |
| 10. ტომი რობრედო (ესპ) | 403 005 |
| 11. ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 400 282 |
| 12. დავიდ ფერერი (ესპ) | 390 909 |
| 13. მარდი ფიში (აშშ) | 372 735 |
| 14. გაელ მონფილსი (საფ) | 372 187 |
| 15. ჟილ სიმონი (საფ) | 341 237 |
| 16. მარინ ჩილიჩი (ხორ) | 308,029 |
| 17. ბობ ბრაიანი (აშშ) | 233 077 |
| 17. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 233 077 |
| 19. რიშარ გასკე (საფ) | 221 625 |
| 20. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 219 757 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). სერენა უილიამსი (აშშ) | 9 132 |
| 2(2). დინარა საფინა (რუს) | 8 951 |
| 3(4). ელენა დემენტიევა (რუს) | 7 561 |
| 4(3). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 7 290 |
| 5(6). ვენუს უილიამსი (აშშ) | 7 042 |
| 6(5). ვერა ზვონარევა (რუს) | 6 720 |
| 7(7). ანა ივანოვიჩი (სერ) | 5 174 |
| 8(10). ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 4 670 |
| 9(8). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 4 308 |
| 10(9). ნადია პეტროვა (რუს) | 3 840 |
| 11(11). აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 3 606 |
| 12(12). კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 3 430 |
| 13(13). მარიონ ბარტოლი (საფ) | 3 224 |
| 14(14). ალიზე კორნე (საფ) | 3 139 |
| 15(15). ფლავია პენეტა (იტა) | 3 040 |
| 16(16). დომ. ციბულკოვა (სლოვაკ) | 2 675 |
| 17(17). ჟიე ჟენგი (ჩინ) | 2 501 |
| 18(18). პატი შნიდერი (შვეიც) | 2 487 |
| 19(20). ამელი მორესმო (საფ) | 2 354 |
| 20(21). ანაბელ მ-გარიგესი (ესპ) | 2 325 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 2 016 697 |
| 2. ვერა ზვონარევა (რუს) | 1 175 653 |
| 3. ვიქტორია აზარენკა (ბლრ) | 1 119 797 |
| 4. დინარა საფინა (რუს) | 833 018 |
| 5. ვენუს უილიამსი (აშშ) | 712 822 |
| 6. ელენა დემენტიევა (რუს) | 526 508 |
| 7. ანა ივანოვიჩი (სერ) | 449 107 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 441 034 |
| 9. ამელი მორესმო (საფ) | 327 217 |
| 10. ვირჟინ რაზანო (საფ) | 252 054 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფ) | 228 642 |
| 12. კაროლინ ვოზნიაჩკი (დან) | 222 924 |
| 13. ა. პავლიუჩენკოვა (რუს) | 212 572 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 200 932 |
| 15. ანაბელ მ-გარიგესი (ესპ) | 188 836 |
| 16. აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) | 185 400 |
| 17. კაია კანეპი (ესტ) | 183 199 |
| 18. ივეტა ბენეშოვა (ჩეხ) | 181 638 |
| 19. აი სუგიამა (იაპ) | 177 342 |
| 20. ხისელა დულკო (არგ) | 172 176 |



# ესპანეთმა მარბელია აირჩია

ესპანეთის ჩოგბურთის ფედერაციამ დევისის თასის მეოთხედფინალური მატჩის ჩატარების ადგილი აირჩია. კაცებს შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის მოქმედი ჩემპიონი 10-12 ივლისს გერმანიის ნაკრებს უმასპინძლებს. ფედერაციის დირექტორთა საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი ქალაქ მარბელიას (მალაგას პროვინცია) კანდიდატურას. ამ ქალაქს ორი კონკურენტი ჰყავდა - სარაგოსა და ელ პუერტო დე სანტა მარია. მარბელიაში გერმანელებს თიხნარის კორტებზე მოუწევთ გამოსვლა.

მეოთხედფინალში გამარჯვების შემთხვევაში, ესპანეთის ნაკრები ნახევარფინალში ისრაელისა და რუსეთის ნაკრებებს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

სხვათა შორის, ამ კვირას მარბელიაში ქალებს შორის WTA-ის მორიგი ტურნირი იმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

